პალიტრა მედია

# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

27 მარტი **ხუთშაბათი** 2014

№058 (14 279) ფასი 80 თეთრი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა



## ვაი, გული! ანჩელოტის საქმე სანამლოდ გაუხდა

5-7,9

შუა კვირის ევროპა

## ქვედა ექვსეულში სტუმრებმა იცეკვეს

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო



2

დილა-მერანი 1:2

## სიტყვებსა და გეგმებში გახლართული

3



## თემურ ბატონო, კობიაშვილი კარიერას 10 მაისს ამთავრებს!



## ფეხბურთის ფედერაციას მცხეთიდან შეუძახეს: მიხედეთ ჩაწყობილ თამაშებს!

3



ჯანო ანანიძე როტორთან გოლს ზეიმობს

## ანანიძის შედევრი

გუშინ რუსეთში თასის მეოთხედფინალური მატჩები გაიმართა. ძალზე იოლად მოიპოვა ნახევარფინალის საგზური **ჯანო ანანიძის** „როსტოვმა", რომელმაც „როტორს" 3:0 მოუგო. შეხვედრის მე-60 წუთზე ჯანომ მცირე შედევრი შექმნა - ბურთი მარცხენა ფრთაზე მიიღო, ცენტრისკენ შეიჭრა და საჯარიმოს ხაზის სიახლოვიდან დიდებულად დაარტყა შორეულ დაბალ კუთხეში.

ანანიძე მთელი მატჩის განმავლობაში აქტიური იყო, არ უშინდებოდა დრიბლინგს და კარგად გამოსდიოდა ჩაწოდებები. ერთ-ერთ ასეთ ჩაწოდებას სტუმართა კარში პენალტი და გოლი მოჰყვა. 17 აპრილს „როსტოვი" ნახევარფინალში „ლუჩ-ენერგიას" შეხვდება.

კიდევ ერთ მეოთხედფინალურ მატჩში „ტოსნო" სტუმრად „კრასნოდართან" დამარცხდა. „ტოსნოს" რიგებში შეუცვლელად ითამაშა **მიხაილ გორელიშვილმა.**

ლიტვის ჩემპიონატში „გრანიტასი" „კრუოიას" დაუზავდა - 2:2. ამ შეხვედრაში მასპინძელთა მეორე გოლი 26-ე წუთზე **გიორგი ალავერდაშვილმა** გაიტანა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

26.03. გორი. თ. ბურჯანაძე
1500 მაყურებელი

**დილა 1**
**მერანი 2**

1:0 შალამბერიძე (51. კობახიძის პასით), 1:1 ციცხვაია (66), 1:2 მელიავა (72)
დილა (4-2-3-1): ლეგაშვილი - ქარქუზაშვილი, ო. ხიზანეიშვილი, კობახიძე (75. გაფრინდაშვილი), ნ. ჯიშკარიანი - რაზმაძე, გურ. გურეშიძე - კოშკაძე, ბოლქვაძე (46. ბერიაშვილი), შალამბერიძე - ვ. კვარაცხელია (67. წიქარიძე)
*სათადარიგოები:* ზუროშვილი, კანდელაკი, გოროზია, რაყამაშვილი.
მწვრთნელი: ვახტანგ აკოფიანი
მერანი (4-5-1): მამალაძე - მელიავა, იობაშვილი, გაბუნია, ხუბუა - ჯლამაია, ფონიავა, ბენაშვილი (59. გეგეჭკორი), ბაბუნაშვილი (80. დეკანოსიძე), კუჭუხიძე - ციცხვაია (83. გ. ჩხეტიანი).
*სათადარიგოები:* ბეგაშვილი, აშორტია, გეგია, ფაილოძე
მწვრთნელი: ზურაბ იონანიძე
გაფრთხილება: ბენაშვილი (56), ქარქუზაშვილი (64), ლეგაშვილი (90)
არბიტრი: ლ. კვარაცხელია


მწვავე მომენტი მერანის კართან — თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

# ხეირი სტუმრებისთვის

ამ გუნდებმა ერთმანეთში ათი დღის წინათ, ჩემპიონატის პირველი ეტაპის დასკვნით მატჩშიც ითამაშეს. ორივე მატჩი სტუმრების (მაშინ - „დილას", ახლა - „მერანის") გამარჯვებით და ერთნაირი ანგარიშით 2:1 დასრულდა. მწვრთნელის პოსტიდან **რამაზ სოლოლაშვილის** გადადგომის შემდეგ „დილა" პირველ თამაშს ატარებდა. ვაკანტურ თანამდებობაზე განაცხადში **ვახტანგ აკოფიანი** იყო მითითებული. აკოფიანი ამჟამინდელი „დილას" სამწვრთნელო შტაბის წევრი გახლავთ, ადრე კი ამავე გუნდის შემადგენლობაში ასპარეზობდა.

...თამაში მშვიდად დაიწყო. ფეხბურთელები, მეტადრე - მასპინძლები, აუჩქარებლად ეძებდნენ ბზარებს მეტოქის დაცვის ხაზში. საწყის ხუთ წუთში გორელებმა ორი სახიფათო „სტანდარტული" შეასრულეს „მერანის" საჯარიმოს მისადგომებიდან, თუმცა უშედეგოდ. სტუმართა მცველებს მასპინძელთა გამოკვეთილი თავდამსხმელი **ვახტანგ კვარაცხელია** საიმედოდ ჰყავდათ განეიტრალებული და მისგან ხიფათი არ შექმნილა. სამაგიეროდ, ერთ ეპიზოდში მის მიერ დაკარგული ბურთით საკმაოდ ხელსაყრელ სიტუაციაში აღმოჩნდა **პაპუნა ფონიავა**, თუმცა დარტყმული სუსტი გამოვიდა.

ორივე გუნდში თამაშს მოედნის ცენტრში მოქმედი კაპიტნები - **დავით ბოლქვაძე** და **შოთა ბაბუნაშვილი** წარმართავდნენ. ტაიმის შუაში „მერანმა", ზედიზედ ორი კუთხურით, მასპინძელთა კართან მწვავე მომენტებიც შექმნა. დროის სვლასთან ერთად, მარტვილელთა იერიშები სულ უფრო მწყობრი და თავდაჯერებული ხდებოდა და ბურთიც ერთხანს მასპინძელთა ნახევარს გაუშინაურეს.

ამ დროს კი საპირისპირო კართან, **კობა შალამბერიძეს** მიეცა ახლო მანძილიდან გატანის შანსი, მაგრამ ამაოდ. ამ ფეხბურთელმა, რომელიც ბოლო მატჩში თავის გუნდში აშკარად ყველას სჯობდა, ამჯერადაც არ ითამაშა ურიგოდ, თუმცა რამდენიმე საგოლე შანსი გაფლანგა. პირველი ნახევრის მიწურულს, როცა ერთ-ერთი იერიშისას მამალაძემ ცუდად მოიგერია ბურთი, დამატებულზე სწორედ შალამბერიძემ ვერ ივარგა. მანვე, 45-ე წუთზე, კარიდან გამოსულ მამალაძეს ბურთი თავზე გადაუგდო, მაგრამ ცარიელ კარსაც ააცილა.

საბოლოოდ, შალამბერიძემ „თავისი" გოლი მაინც შეაგდო. 51-ე წუთზე, „მერანის" მეკარის მიერ მოგერიებულიი ბურთი თავით უკან დააბრუნა **ჯიშკარიანმა**, კომბინაცია გააგრძელა **კობახიძემ** და სოლორეიდის შემდეგ მარცხნიდან საჯარიმოში შეჭრილ შალამბერიძეს მიაწოდა, ამან კი პასი ათიოდ მეტრიდან გოლად აქცია - 1:0.

შესვენების შემდეგ „დილას" მწვრთნელებმა შეტევაში კიდევ ერთი ფეხბურთელი - **გიორგი ბერიაშვილი** დაამატეს. მისმა აქტიურმა თამაშმა მასპინძელთა კომბინაციებს სიმწვავე შემატა. სტუმართა გოლკიპერმა **გურამ გურეშიძის** სახიფათო დარტყმის შემდეგ თავისი გუნდი გადაარჩინა.

არც სტუმრები ყოფილან უქმად. მეკარესთან პირისპირ გასულ **კუჭუხიძეს** წინ დროულად გამოსულმა **ლეგაშვილმა** დაასწრო. ზოგადად, მეორე ტაიმი უფრო საინტერესო სანახავი გამოდგა, რამაც გოლებშიც ჰპოვა ასახვა. 66-ე წუთზე მარტვილელთა ფლანგური ჩაწოდებისას მასპინძლების საჯარიმოში შექმნილი არეულობით **ციცხვაიამ** ისარგებლა და ანგარიშში წონასწორობა აღადგინა - 1:1.

72-ე წუთზე „მერანის" მორიგი შეტევა შედეგიანი გამოდგა - **კიჭი მელიავამ** საჯარიმოს მისადგომებიდან გადაწყვიტა დარტყმა და ბურთი მეკარისგან მარჯვენა მაღალ კუთხეში გაახვია. გოლი საკმაოდ ლამაზი გამოვიდა - 1:2.

დარჩენილ დროში „დილას" მხრიდან ქულის მოსაპოვებელი მცდელობა უშედეგო გამოდგა. უკანასკნელ წუთზე „მერანის" კართან კუთხურის მოწოდებისას „დილას" გოლკიპერიც ჩავიდა მარტვილელთა საჯარიმოში, მაგრამ ყვითელი ბარათის მეტს ვერაფერს გამორჩა. უკმაყოფილო მაყურებელმა კი, რომელიც, მიუხედავად ბოლო ხანს გორული კლუბის წარუმატებელი თამაშისა, მაინც ერთგულად რომ დადის სტადიონზე, ნაადრევად დატოვა თენგიზ ბურჯანაძის სახელობის არენა.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

23.03. თბილისი. მ.მესხი
უმაყურებლოდ

**ტორპედო 0**
**სპარტაკი 2**

0:1 კემუხტაშვილი (52), 0:2 პარუნაშვილი (84)
ტორპედო (4-4-2): რ. კვასხვაძე - თ. ჩადუნელი (46. გოგიჩაიშვილი), სავჩენკოვსი, თოდუა, ადამაძე - ჩიკვილაძე, ო. მამასახლისი, ზ. გელაშვილი (62. ლექვთაძე), ელიავა - კვერნაძე (26. მარკოზაშვილი), მ. ლონლაძე.
*სათადარიგოები:* ვალნერი, ნ. ხარაბაძე, ლ. ბერუაშვილი, ა. ადამია
მწვრთნელი: რევაზ ძოძუაშვილი
სპარტაკი (4-2-3-1): ნადირაძე - ჭაფოძე, კაკუბავა, მგელაძე, კ. ხიზანეიშვილი - შონია (81. ბურძენაძე), პარუნაშვილი - თუხარელი, თექთურმანიძე, კემუხტაშვილი (88. ცერცვაძე) - მეტრეველი (80. ეხვაია).
სათადარიგოები: მაისაშვილი, გაბაშვილი, მაქაცარია, ნანიევი
მწვრთნელი: კახა კაჭარავა
გაფრთხილება: ელიავა (18)
არბიტრი: დ. ხარიტონაშვილი

# სრული სიცარიელე და ზედმეტი სიფრთხილე


სპარტაკმა უპირატესობა გოლებშიც ასახა — გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

ჯერ ისედაც მცირე რაოდენობის გულშემატკივარი ესწრება ეროვნული ჩემპიონატის მატჩებს და სულ მთლად უმაყურებლოდ ჩატარებული შეხვედრა სამი-ოთხი ჟურნალისტისათვის როგორი საცქერი იქნებოდა, ალბათ, ახსნა არ სჭირდება!

ჰო, ასეა: სეზონის ბოლომდე დარჩენილი კდევ ოთხი „საშინაო" შეხვედრა „ტორპედომ" თბილისში, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე ცარიელი ტრიბუნების წინ უნდა ჩაატაროს და ქუთაისელთა გუნდისათვის ეს ფაქტი, შესაძლოა, სერიოზული კრახით დამთავრდეს. ყოველ შემთხვევაში, გუშინდელი შედეგებიდან გამომდინარე, უკვე ვერავინ იტყვის, რომ „ტორპედოს" უმაღლეს ლიგაში ადგილი გარანტირებული აქვსო.

თუმცა, დრო ჯერ კიდევ არის და „ტორპედოს" გამოცდილი თავკაცი **რევაზ ძოძუაშვილიც**, ალბათ, გარკვეულ კორექტივებს შეიტანს თავისი გუნდის შემადგენლობის შერჩევასა თუ კონკრეტულ მეტოქესთან ეფექტიანი ტაქტიკის შემუშავებაში. აი, როგორც გუშინ იყო:

მე-3 გვერდზე »

# იყო თუ არა პენალტი?

26.03. მცხეთა. მცხეთა პარკი
300 მაყურებელი

**ვიტ ჯორჯია 1**
**ზუგდიდი 2**

0:1 ნიტაიშვილი (31. ც. სამუშიას პასით), 0:2 გ. სამუშია (58. კირკიტაძის პასით), 1:2 გეთიაშვილი (84. კორიფაძის პასით)
ვიტ ჯორჯია (4-2-3-1): შეროზია - საბაძე, კალანდია, გეთიაშვილი, გ. მჭედლიშვილი - დავლაშელიძე, წყაროზია (46. ნ. მაისურაძე) - კორიფაძე, ლიბრაძე (62. ხვისტანი), ნ. სიჭინავა (62. კურდღელაშვილი) - ე. ლობჯანიძე.
*სათადარიგოები:* ისერგიშვილი, ჩიტიშვილი, კვირკვია, გახარია
მწვრთნელი: ზურაბ ბერიძე
ზუგდიდი (4-2-3-1): მ. ქვილითაია - ქათამაძე, აფაქიძე, მირცხულავა, ჯავაშვილი - ქებაძე, სიხარულია - კირკიტაძე, კრკელიჩი (80. დ. ქირია), ც. სამუშია (46. გ. სამუშია) - ნიტაიშვილი (60. გუგუჩია).
სათადარიგოები: ზარქუა, შ. ლომია, ლ. მჭედლიშვილი, ნ. ქირია
მწვრთნელი: გიორგი დარასელია
გაფრთხილება: კირკიტაძე (34), ლიბრაძე (59), საბაძე (62), მირცხულავა (72)
გაძევება: კირკიტაძე (82)
არბიტრი: გოგა კიკაჩეიშვილი


გიორგი დარასელიას ზუგდიდმა მნიშვნელოვანი თამაში მოიგო

ქვედა ექვსეული უცნაური ტურნირია. აქ განსაკუთრებით მოტივირებულები გასავარდნი გუნდები არიან - მთელი ინტრიგაც ესაა. „მცხეთა-პარკზე" გამართულ შეხვედრასაც ეს გამოარჩევდა. „ზუგდიდი" ბოლოდან მეორე ადგილზეა და უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად იბრძვის. „ვიტ ჯორჯიას" კი საუკეთესო ექვსეულში მოხვედრის იმედი ჰქონდა და, ეტყობა, ვერშესვლამ გუშინდელ მასპინძლებზე ფსიქოლოგიურად ცუდად იმოქმედა - ისინი თავდაჯერებულები კი გამოვიდნენ, მაგრამ პირველ ტაიმში საკმაოდ ინერტულები ჩანდნენ.

„ვეტერინარებმა" რამდენიმე სახიფათო მომენტი მაინც შექმნეს. მარჯვენა ფლანგზე აქტიურობდა მცველი **ლევან საბაძე**, რომელიც რამდენჯერმე ეფექტურად ჩაერთო შეტევაში, მაგრამ პარტნიორებმა მხარი ვერ აუბეს, ან სიზუსტე აკლდათ. სტუმართა მცველებიც საკმაოდ ფხიზლად თამაშობდნენ. ვიტელებს ზონები საკმაოდ მჭიდროდ ჩაუკეტეს და გასაქანს არ აძლევდნენ.

ამავე დროს, ზუგდიდელები კონტრშეტევებით ცდილობდნენ მიზნის მიღწევას და 32-ე წუთზე ლამაზი და სწრაფი კომბინაციით ანგარიში გახსნეს: მარცხენა ფლანგიდან **ოთარ ჯავაშვილმა** შორეულ ფლანგზე **ცოტნე სამუშია** მოძებნა, რომელმაც საჯარიმოში ბურთი თავით **კობა ნიტაიშვილს** გადააწოდა და ვეტერანმა ფორვარდმა, 14-წლიანი პაუზის შემდეგ, ეროვნულ ჩემპიონატში კვლავ გაიტანა - 0:1. ეს კომბინაცია იმდენად სწრაფად და ეფექტურად განვითარდა, „ზუგდიდს" უთუოდ ქება ეკუთვნოდა.

მასპინძლები გოლმა გამოაცოცხლა და ზუგდიდელთა კართან ორი სახიფათო მომენტიც შეიქმნა, მაგრამ **გიორგი გეთიაშვილისა** და **ირაკლი ლიბრაძის** დარტყმები მიზანს ასცდა.

მეორე ნახევარი „ვიტ ჯორჯიამ" უფრო აქტიურად დაიწყო, მაგრამ 58-ე წუთზე მცველებს ზუგდიდელთა კონტრშეტევისას „ჩაეძინათ" - **დავით კირკიტაძემ** მარჯვენა ფლანგიდან ბურთი საჯარიმოში ჩაჰკიდა, მეკარესთან მარტო დარჩა **გურამ სამუშია** (მასპინძლებს თამაშგარე ეგონათ) და ზუსტად დაარტა. მართალია, **ზურაბ ბერიძის** შეგირდებმა მომხდარი გააპროტესტეს (შემტევმა ბურთი თამაშგარეში მიიღოო), მაგრამ არბიტრმა **გოგა კიკაჩეიშვილმა** ხელი ცენტრისკენ გაიშვირა - 0:2.

არბიტრის გადაწყვეტილებამ მასპინძლები განსაკუთრებით 64-ე წუთზე ალაშფოთა, როცა მარჯვენა ფლანგიდან საბაძის ჩაწოდებული ბურთი ზუგდიდელთა ცენტრალურმა მცველმა **ნიკა აფაქიძემ** მოიგერია - ხელზე მოხვდა თუ შეგნებულად ითამაშა ხელით, ფაქტი ის იყო, რომ თავისიანები გოლისგან იხსნა. ეს იყო ამ ეპიზოდშიც და მატჩის შემდეგაც ყველაზე დიდი ვნებათაღელვის მიზეზი.

ახალგაზრდა არბიტრი დამაჯერებლად ვერ მსაჯობდა. ცოდვას ვერ დავიდებთ - შეგნებულ მიკერძოებაში მას ბრალს ვერ დავდებთ, მაგრამ მატჩის ბოლოს მომხდარმა გვაფიქრებინა, რომ ეს გადაწყვეტილება ინანა და... მისი გამოსწორება სცადა. თუმცა, ამაზე ბოლოს...

გამწარებულმა „ვიტ ჯორჯიამ" მწვავედ შეუტია. ანგარიშის შემცირება შეეძლო საჯარიმოში გახსნილ **გუჯა ლობჯანიძეს**, რომელსაც საბაძემ უპასა, მაგრამ თავდამსხმელმა ახლო მანძილიდან შანსი გაანიავა. „მაკრატელათი" ცდილობდა ანგარიშის შემცირებას **შოთა დავლაშელიძე**, **ვანო კურდღელაშვილი** - შორეული დარტყმით, შემდეგ **ნიკა მაისურაძე** და ისევ ლობჯანიძე უტევდნენ. მაგრამ ბურთი კარში არა და არ შედიოდა.

82-ე წუთზე კი, ვიტჯორჯიელთან უწყინარ ორთაბრძოლაში, არბიტრმა კირკიტაძეს მეორე ყვითელი ბარათი უჩვენა და მოედანი დაატოვებინა. ბევრს დარჩა შთაბეჭდილება, რომ ამით არბიტრმა არდანიშნული პენალტისთვის „ვიტ ჯორჯიას" ჟესტი გაუკეთა - რა გითხრათ, ამის დამტკიცება შეუძლებელია და იქნებ, ვცდებით კიდეც.

„ვიტ ჯორჯიამ" მხოლოდ ანგარიშში სხვაობის შემცირება მოახერხა: მასპინძელთა შორის ერთ-ერთი გამორჩეული მოთამაშის, **გიორგი კორიფაძის** მიერ ჩაწოდებულ კუთხურზე **მაქსიმე ქვილითაიას** მზემ თვალი მოსჭრა, ბურთი ხელიდან გაუვარდა და დამატებაზე მცველმა **გიორგი გეთიაშვილმა** მიზანში ზუსტად დაარტყა - 1:2.

დიდი მცდელობის მიუხედავად, „ვიტ ჯორჯიამ" მეტი ვერ შეძლო და 1:2 დამარცხდა, **გიორგი დარასელიას** „ზუგდიდი" კი ქულებით ცხინვალის „სპარტაკს" დაეწია და უმაღლეს ლიგაში დარჩენის შანსი შეინარჩუნა.

**მერაბ მამულაშვილი**
მცხეთა-თბილისი

**VII–XII ადგილები**

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | დილა | 23 | 8 | 8 | 7 | 29 | 24 | 32 |
| 8 | ვიტ ჯორჯია | 23 | 8 | 5 | 10 | 29 | 31 | 29 |
| 9 | ტორპედო | 23 | 8 | 5 | 10 | 24 | 32 | 29 |
| 10 | სპარტაკი | 23 | 7 | 2 | 14 | 21 | 32 | 23 |
| 11 | ზუგდიდი | 23 | 6 | 5 | 12 | 14 | 31 | 23 |
| 12 | მერანი | 23 | 5 | 3 | 15 | 18 | 42 | 18 |

*ცხრილი მომზადებული gff.ge-ს მიხედვით*

**ბომბარდირები:**

| | |
|---|---|
| ტატანაშვილი (ზესტაფონი) | 14 |
| ჩისკო (დინამო თბ) | 13 |
| გოგა (დინამო თბ) | 9 |
| მოდებაძე (დილა/დინამო თბ) | 9 |

**XXIV ტური**

**30 მარტი, კვირა**

მერანი-სპარტაკი
ზუგდიდი-ტორპედო
დილა-ვიტ ჯორჯია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სრული სიცარიელე და ზედმეტი სიფრთხილე

მე-2 გვერდიდან

„ტორპედოს" შემადგენლობაში შეცვლაზე შემოსულმა სამივე ფეხბურთელმა (**თეიმურაზ მარკოზაშვილმა, გოგი გოგიჩაიშვილმა, ირაკლი ლექვთაძემ**) თამაში მეტად და მეტად გაამწვავეს და მეორე ტაიმში ზედიზედ რამდენიმე სახიფათო მომენტიც შექმნეს მეტოქის კართან, მაგრამ ქუთაისელთა გუნდს იღბალმა აშკარად „ზურგი აქცია".

არადა, პირველი ტაიმის შემხედვარე, ეს ყველაფერი, ცოტა არ იყოს, კონტექსტიდან ამოვარდნილივით იყო: „სპარტაკს" სოლიდურზე მეტი რომ ჰქვია, ისეთი უპირატესობა ჰქონდა და ზედმეტად ფრთხილი ტაქტიკით მოასპარეზე „ტორპედოსაც" ძალიან უჭირდა ბურთზე კონტროლის დაწესება. „მასპინძელთა" ზომაზე მეტად ფრთხილი ტაქტიკა ვახსენეთ და თავდაპირველად, მართლაც ასე იყო: ოთხი მცველის წინ ნახევარდაცვის ხაზში ასევე ოთხი... ნომინალური მცველი მოქმედებდა! თუმცა, მეორე ტაიმში გაკეთებული შეცვლების (უფრო ზუსტად, პირველი გაშვებული გოლის) მერე „მასპინძელთა" განლაგება რადიკალურად შეიცვალა, მაგრამ შედეგი ვერც ამან მოიტანა...

...პირველ ტაიმში, რასაც სახიფათო მომენტი ჰქვია, მხოლოდ ერთადერთხელ ვნახეთ: **ლაშა პარუნაშვილმა** საშუალო მანძილიდან სახიფათოდ დაარტყა, მაგრამ **როინ კვასხვაძემ** ბურთი კუთხურზე მოიგერია.

აი, შესვენების შემდეგ კი თამაში აშკარად „გამოცოცხლდა" და „სპარტაკის" პირველივე სახიფათო შეტევა შედეგიანი აღმოჩნდა: **ლაშა კემუხტაშვილმა** მეტოქის საჯარიმოს მისადგომებიდან „ცაციათი" ეფექტურად „გაისროლა" და თავისი გუნდი დააწინაურა. **კახა კაჭარავას** შეგირდებს მეორე და „დამამშვიდებელი" გოლის გატანაც მალე შეეძლოთ, მაგრამ **თეიმურაზ შონიას** ერთწუთიან ინტერვალში ზედიზედ ორჯერ არ გაუმართლა. ისე როგორც **თორნიკე თუხარელს,** რომელიც **იგორ სავჩენკოვსის** უხეში შეცდომის შემდეგ „მასპინძელთა" მეკარის წინ სრულიად მარტოდმარტო აღმოჩნდა.

მოკლედ, „სპარტაკის" უპირატესობა ეჭვს არ იწვევდა, მით უფრო, რომ „ტორპედომ" მეტოქის კარში პირველად მხოლოდ 65-ე წუთზე დაარტყა. და აი, ამის შემდეგ ვიხილეთ დაახლოებით 15-წუთიანი მონაკვეთი, როცა შეცვლაზე შემოსული ირაკლი ლექვთაძე ზედიზედ... სამჯერ აღმოჩნდა დასარტყამ პოზიციაზე, მაგრამ თბილისის „დინამოს" ყოფილ გარემარბს სამჯერვე სულ მცირედი დააკლდა მიზნის მისაღწევად.

ყველაზე რეალური მომენტი კი ლექვთაძეს 83-ე წუთზე შეექმნა, როცა მარჯვენა ფლანგიდან თეიმურაზ მარკოზაშვილის გამჭოლ გადაცემას „ერთი შეხებით" ძლიერი დარტყმაც „მოაყოლა", მაგრამ ბურთი ძელმა აისხლიტა. საპასუხო შეტევაში კი სტუმრებმა... იხეირეს: ლაშა პარუნაშვილმა საჯარიმოს გარედან, ერთი შეხედვით, არცთუ რთული დარტყმა შეასრულა, მაგრამ როინ კვასხვაძემ ბურთი ვერ შეიმაგრა და თამაშიც, ფაქტობრივად, აქ დამთავრდა. „სპარტაკმა" უმნიშვნელოვანესი 3 ქულა მოიპოვა, „ტორპედოს" კი მართლაც ურთულესი ფინიში ელოდება...

**გია ტუხაშვილი**

● ახალი მწვრთნელი


გია გიგატაძე

# დილა გიას მისცეს

ორი დღის წინათ უმწვრთნელოდ დარჩენილი გორის „დილა" **გია გიგატაძეს** ჩააბარეს. გუშინ, გორელებმა საკუთარ მოედანზე „მერანთან" 1:2 რომ წააგეს, გუნდს **გიორგი ბალაშვილი,** „დილას" ყოფილი მწვრთნელის **რამაზ სოლოლაშვილის** თანაშემწე ხელმძღვანელობდა, მაგრამ მატჩის შემდეგ უფლებამოსილება მანაც მოიხსნა და დღეიდან საქმეს უკვე **გია გიგატაძე** შეუდგება, ვინც სამწვრთნელო საქმეში თავი წყალტუბოს „სამგურალში" მუშაობით გამოიჩინა. გიგატაძემ, ფაქტობრივად, დაშლილი „სამგურალი", 13 წლის წინათ პირველიდან უმაღლეს ლიგაში გადაიყვანა, ოთხი წლის წინ კი მისივე ხელში ქუთაისის „ტორპედომაც" იგივე გზა გაიარა. ამას გარდა, გიგატაძის „ტორპედომ", უმაღლეს ლიგაში გადასვლასთან ერთად, საქართველოს თასის ფინალში თამაშის უფლებაც მოიპოვა.

თავის დროზე, ის „ამერის" ასაკობრივ გუნდებს თავკაცობდა, ბოლოს კი, „ტორპედოში" ყოფნისას, **გია გეგუჩაძის** თანაშემწე გახლდათ.

გიგატაძის დანიშვნა გორული კლუბის უფროსობამ გუშინ დაგვიდასტურა, სავარაუდოდ დღეს კი ახალ თავკაცს საზოგადოებასაც წარუდგენენ. „დილა" უმაღლესი ლიგიდან, სასწაული თუ არ მოხდა, არ გავარდება, ასე რომ, ახალი მწვრთნელის უმთავრესი საზრუნავი ქვეყნის თასზე წარმატებული თამაში იქნება.

**კობა ინასარიძე**

● ვეტერანი

# ნიტაიშვილის გოლი 14 წლის შემდეგ

14-წლიანი პაუზის შემდეგ, **კობა ნიტაიშვილმა** საქართველოს ჩემპიონატში კვლავ გაიტანა. ეს გუშინ, „მცხეთა-პარკზე" მოხდა, სადაც „ზუგდიდმა" „ვიტ ჯორჯია" 2:1 დაამარცხა.

35 წლის თავდამსხმელმა ბოლოს ქართულ მოედნებზე თავი 2000 წელს გამოიჩინა, როცა თბილისის „დინამოს" ფორმით თამაშობდა. 2003 წელს საქართველოში დაბრუნდა და ფოთის „კოლხეთში" 6 მატჩი ჩაატარა, მაგრამ მაშინ გატანა ვერ მოახერხა და კარიერა ნოვოროსიისკის „ჩერნომორეცში" გააგრძელა. საერთოდ კი, ბოლო გოლი ნიტაიშვილმა 2010 წლის 13 თებერვალს, ლიმასოლის „არისს" ლარნაკას „რაფაელ გრუპის" სტადიონზე გაუტანა.

*„თითქოს გუშინ იყო თბილისის „დინამოში" რომ ვთამაშობდი და კარიერას ვიწყებდი. 2010 წელს კვიპროსში ფეხბურთს დავემშვიდობე. პირველ წრეში „ზუგდიდის" მწვრთნელიც ვიყავი და მეგონა, მოედანზე აღარ გავიდოდი. მაგრამ გუნდს რომ დასჭირდა, ოთხწლიანი პაუზის შემდეგ, ვარჯიში განვაახლე. ყველაზე მეტად წონის დაგდება გამიჭირდა, მაგრამ ნელ-ნელა ფორმაში შევედი და ახლა თავს საკმაოდ კარგად ვგრძნობ. გოლის გატანა კი მეხერხებოდა და რაც უნდა უვარჯიშებელი ვიყო, რაც ვიცი, იმას ვერავინ წამართმევს. მიხარია, რომ ჩემი გოლით გუნდს მნიშვნელოვანი 3 ქულის მოპოვებაში დავეხმარე. ვეცდები, ჩემი გამოცდილება „ზუგდიდს" მოვახმარო და უმაღლეს ლიგაში ადგილი შევინარჩუნოთ. სირცხვილი იქნება, ზუგდიდის დარი საფეხბურთო ქალაქის გუნდი რომ გავარდეს"*, - ამბობს ნიტაიშვილი.

**მერაბ მამულაშვილი**


კობა ნიტაიშვილი

● აქტუალურ თემაზე

# ზურაბ ბერიძე მიხედეთ გარიგებულ მატჩებს, ასე აღარ შეიძლება!

**ბოლო დროს, საქართველოს ჩემპიონატში შეხვედრები ნერვულ ატმოსფეროში ტარდება. გამონაკლისი არც გუშინ მცხეთაში გამართული მატჩი ყოფილა: „ვიტ ჯორჯიამ" „ზუგდიდთან" 1:2 წააგო და, მართალია, მაყურებელი ამჯერად მოედანზე არ შევარდნილა, მაგრამ მასპინძლები მსაჯობით უკმაყოფილონი დარჩნენ.**

**„ვიტ ჯორჯიას" მთავარმა მწვრთნელმა ზურაბ ბერიძემ პრეტენზიები „ლელოსთან" ინტერვიუში გამოთქვა. ის პირდაპირ ამბობს - წინასწარ ვიცოდი, რომ ამ თამაშს ვერ მოვიგებდითო...**


ზურაბ ბერიძე

**- მატჩი საკმაოდ ნერვულ ატმოსფეროში გაიმართა...**

- რა თქმა უნდა, ასეც იქნებოდა, რადგან საქმე უმაღლეს ლიგაში დარჩენა-არდარჩენას ეხება. ვალიარებ, რომ პირველი ტაიმი კარგად ვერ ჩავატარეთ და ამიტომაც წავაგეთ. მეორე ტაიმში მდგომარეობა საგრძნობლად გამოვასწორეთ, მაგრამ რად გინდა?!.

**- თქვენმა მოთამაშეებმა და წარმომადგენლებმა უკმაყოფილება არაერთხელ გამოხატეს. არდანიშნული პენალტის გარდა, მსაჯს კიდევ რას ედავებით?**

- მინდა ჩემი პოზიცია დავაფიქსირო: რომ ამბობს ფედერაცია, ჩაწყობილ თამაშებს ვებრძვითო, კარგია, მაგრამ რაც დღეს მოხდა, იმის შემდეგ რა უნდა ვიფიქროთ?!

**- რას გულისხმობთ?**

- დღევანდელი მატჩები რა შედეგებით დასრულდა?

**- დააკონკრეტეთ, რომელ შეხვედრას გულისხმობთ...**

- ვაკონკრეტებ: დღევანდელი ტურის შეხვედრებს ვგულისხმობ! თუნდაც იმას, რაც დღეს მცხეთაში მოხდა. პირდაპირ ვამბობ, რომ ამას წინასწარ ველოდით.

**- ელოდით, რომ წააგებდით?!**

- ...არ მსურს, მსაჯს რაღაც ვაკადრო, ახალგაზრდა კაცია და კარიერაში წარმატებას ვუსურვებ, მაგრამ ასე თუ გააგრძელებს, არა მგონია, ამ საქმეში რაიმე გამოუვიდეს. ეს არის, მეტი რა ვთქვა?! ყველამ ნახა, შეეძლო თუ არა მეტოქის კარში პენალტის დანიშვნა. რა, მცველმა ხელით არ ითამაშა? მე პრეტენზიებით არ ვლაპარაკობ. ვცდილობ, ცივი გონება შევინარჩუნო. ამიტომ, ჩემი მოთხოვნაა, რომ დღევანდელი შეხვედრის ამ სადავო მომენტის ფირი საჯაროდ განვიხილოთ და ყველამ თქვას, იყო თუ არა 11-მეტრიანი დასანიშნი. მერე მივალთ დასკვნამდე, თუ რა ხდება ქართულ ფეხბურთში, თორემ, ვიმეორებ - დღეს იმ დონეზე ვერ ვითამაშეთ, რაც „ვიტ ჯორჯიას" შეეფერებოდა. რამდენი წელია, ფეხბურთში ვარ და ვიცი, როგორ მიდის თამაში, ვხვდები მის მსვლელობას და არაფერი გამომეპარება. მსაჯი არ აჩქარებს მეტოქეს, პენალტს არ ნიშნავს... არადა, წესების დარღვევა იყო, ხელზე კი არ მოხვდა ბურთი, ხელით ითამაშა - როგორმე, ამ ორ მომენტს ერთმანეთისგან ვარჩევთ. სხვათა შორის, მეორე გოლიც ძალიან საეჭვო ვითარებაში გაგვიტანეს. ასე რომ, ფედერაციას ვთხოვ - მიხედეთ გარიგებულ მატჩებს! „ვიტ ჯორჯია" ამ სიბინძურეში არ მონაწილეობს, ეს ყველამ იცის და არც არავის გაურიგდება. ქართული ფეხბურთი ჩვენია - ჩემი, თქვენი, ფეხბურთის ფედერაციის, გულშემატკივრების... ასე კი ვერ განვითარდება. საერთოდ, რაც ხდება, ამაზე მე რას მეკითხებით?! ჰკითხეთ იმას, ვინც ამბობს, რომ „გაკეთებულ" თამაშებს ვებრძვით! დროა, მართლა მივხედოთ საქმეს.

**მერაბ მამულაშვილი**

# ახალი მარგალიტები

# თემურ ბატონო, კობიაშვილი კარიერას 10 მაისს ამთავრებს!

## სიტყვებსა და გეგმებში გახლართული



თემურ ქეცბაია და ლევან კობიაშვილი ხორვატიასთან მატჩის შემდეგ

საქართველოს ნაკრების მწვრთნელის მორიგი მარგალიტები: **თემურ ქეცბაიამ** ფეხბურთის ფედერაციის ჟურნალ Number One-თან ინტერვიუში თქვა, რომ ეროვნულ გუნდში, შესაძლოა, **ლევან კობიაშვილი** დააბრუნოს! აი, ფრაგმენტი ამ ინტერვიუდან:

*„ლევან კობიაშვილი ბოლო საკვალიფიკაციო ეტაპზე არ იყო ჩვენთან. მას საკმაოდ დიდი დროც გაუცდა. დღეს კი უკვე სტაბილურად თამაშობს და თუ ასე გაგრძელდება, დავფიქრდებით და შეიძლება გამოვიძახოთ. ეს ნაბიჯი (ლევან კობიაშვილის ნაკრებს მიღმა დატოვება იგულისხმება - რედ) მხოლოდ იმიტომ გადავდგით, რომ ვიცოდით, აღარ აპირებდა მომდევნო სეზონიდან თამაშს და როგორც ვიცი, თავადაც ჰქონდა ეს ნათქვამი"*, - განაცხადა ქეცბაიამ, როცა ინტერვიუერმა ნაკრებიდან გამოცდილი ფეხბურთელების დათხოვნაზე ჰკითხა.

ნაკრების მწვრთნელმა კობიაშვილზე სხვაც თქვა, თუმცა საერთოდ არ უხსენებია **ალექსანდრე იაშვილი,** რომელიც მან კობიაშვილთან ერთად „ჩამოწერა". სხვათა შორის, კობიაშვილისგან განსხვავებით, იაშვილს კარიერის დასრულებაზე ჯერ არაფერი უთქვამს...

სამაგიეროდ, ნაკრების თავკაცმა ილაპარაკა **ალექსანდრე ამისულაშვილზე** - მასთან ისეთი საუბარი მქონდა, როგორიც სხვა ფეხბურთელთან არასდროს მქონიაო.

*„რა თქმა უნდა, ვერავის აიძულებ ნაკრებში თამაშს. ძალიან ვეცადე, ყველანაირად ავუხსენი, რომ ის ძალიან სჭირდება ნაკრებს, მაგრამ, ალბათ, თვითონ გრძნობს, რომ აღარ უნდა. ყველა ფეხბურთელმა თავად უფრო იცის, რა სურს. მე ნამდვილად მჭირდება ის ნაკრებში. თუ დაფიქრდება და შეცვლის გადაწყვეტილებას, გუნდის კარი მისთვის ყოველთვის ღიაა"*, - თქვა ნაკრების თავკაცმა.

მართლაც და, ქეცბაია ალალად ამბობს, რომ ამისულაშვილთან საუბრის მსგავსი, აქამდე სხვა ფეხბურთელთან არ ჰქონია. სხვა საკითხია, რომ ის სიტყვები, რაც მწვრთნელს ამისულაშვილისთვის უთქვამს, არასდროს დასცდენია არც კობიაშვილის და არც იაშვილის მიმართ. მეტიც - ეროვნული გუნდის დამრიგებელმა საერთოდ არ ჩათვალა საჭიროდ, რომ ამ ფეხბურთელებისთვის ადრევე ეთქვა - ნაკრებში გამოძახების იმედი ნულარ გექნებათო.

ალბათ, სწორი ის იქნებოდა, ქეცბაიას კობიაშვილისთვისაც და იაშვილისთვისაც ყველაფერი გარკვევით და გულახდილად აეხსნა. როცა ბატონმა თემურმა ისინი ნაკრებს მიღმა დატოვა, ორივე 33 წლის იყო.

მე-4 გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ახალი მარგალიტები

« მე-3 გვერდიდან

ახლა კი, როცა ქეცბაიამ ამისულაშვილს დაუყვავა, ფეხბურთელი 31 წლისაა (აგვისტოში 32-ის შესრულდება). და რა გამოვიდა? ქეცბაიას წინა შესარჩევში არ სჭირდებოდა ვეტერანები და მომავლისთვის სჭირდება?! მაშ, თავადვე რატომ ამბობდა, გუნდის გაახალგაზრდავება დავიწყეო? გაახალგაზრდავება თუ დაიწყო, რაც ნაკრების სპეციფიკიდან გამომდინარე, სრულიად მიულებლად მიგვაჩნია, ახლა რატომღა ამბობს - კობიაშვილმა ასე თუ გააგრძელა, ნაკრებში ისევ მოვაბრუნებო?! გაახალგაზრდავების პროცესი შეჩერდა? მით უმეტეს, ის იმასაც ამბობს - ამ პროცესის დაწყება ჩემთვის ძალიან რთული იყო და კობაიშვილი გუნდს დააკლდაო.

ან კიდევ, როგორ დავიჯეროთ, რომ ნაკრების მწვრთნელი პრესას საერთოდ არ ეცნობა, ან ხმა ვერავინ მიაწვდინა, რომ გაეგო - კობიაშვილი უკვე ერთი წელიწადია ამბობს, რომ კარიერას მიმდინარე სეზონის დასრულების შემდეგ უსვამს წერტილს და 10 მაისს მისი ბოლო თამაში იქნება (ეს ლევანმა „ლელოსთან" ამასწინანდელ ინტერვიუში დაადასტურა)?!

როგორ დავიჯეროთ, რომ ქეცბაიამ ეს არ იცის?! ეცოდინება, მაგრამ მაინც თქვა, რადგან კარგად ხედავს, რომ კობიაშვილი, ასაკის მიუხედავად, ქეცბაიას სხვა შეგირდების უმრავლესობაზე უკეთესი ფეხბურთელია და დღეს რომ ნაკრებში ათამაშო, თანაგუნდელებისთვის სამაგალითო იქნება. ახალგაზრდა მოთამაშეებისთვის ხომ გუნდში ამხელა ავტორიტეტის ყოფნას განსაკუთრებული ფასი აქვს. ბოლოს და ბოლოს, კობიაშვილის დარი გამოცდილი ფეხბურთელი მოედანზე მწვრთნელის მარჯვენა ხელია...

ხსენებულ ინტერვიუში კიდევ ერთი მარგალიტი ამოვაჩინეთ: *„ლევან კობიაშვილი ძალიან დიდი პროფესიონალია და არ მაქვს პრობლემა, ვუთხრა, რომ - არ მეგონა, თუ კიდევ ოთხ წელიწადს ითამაშებდი და ამიტომ არ გამოგიძახე ბოლო შესარჩევში, სადაც წინასწარ იყო ცნობილი გამსვლელი გუნდების ვინაობა. ახლანდელი შესარჩევის მსგავსი გუნდები რომ ყოფილიყვნენ წინა საკვალიფიკაციოზე, ჩვენ ყველა ფეხბურთელს გამოვიძახებდით, რადგან ამ გუნდებთან უფრო რეალურია ფინალური ეტაპის საგზურისთვის ბრძოლა".*

კი, მაგრამ, ბატონო თემურ, კობიაშვილთან პრობლემა თუ არ გაქვთ, რაშიც დარწმუნებულნი ვართ, ნუთუ ძნელი იყო იმის კითხვა, კიდევ რამდენ ხანს აპირებდა თამაშს და ეგებ, ისეთი რამ ეპასუხა, ამგვარ უხერხულ მდგომარეობაში არც ამოჩენილიყავით, როგორიც შემდგომ შეიქმნა, როცა საბერძნეთთან კობიაშვილს ნაკრებში მე-100 შეხვედრა ჩაატარებინეთ და მისი ფეხბურთელობა საერთოდ დაივიწყეთ.

ან იქნებ, ახლა რომ აპირებთ კობიაშვილის ნაკრებში დაბრუნებას, წინა შესარჩევის ერთ-ორი შეხვედრისთვის მაინც რომ გამოგეძახათ, ეგებ, იმ ჯგუფში თქვენთვის სანატრელ მესამე ადგილს შესწვდენოდით?! საკითხავია - წინა შესარჩევში კობიაშვილისა და იაშვილის არყოფნით რა გააკეთეთ ნაკრებში ისეთი, რაც შემოდგომიდან ირლანდიასთან, შოტლანდიასა და პოლონეთთან მატჩებისას გამოგადგებათ?! ხომ არ ფიქრობთ, რომ ხანდახან თქვენსავე სიტყვებსა და გეგმებში იხლართებით?!

კობიაშვილისა და იაშვილის დამცველად ნამდვილად ვერ გამოვდგები, უბრალოდ, თემა რომ განვაზოგადოთ, ლაპარაკია ელემენტარულ ადამიანურ ურთიერთობებზე, დამსახურებული ფეხბურთელების პატივისცემაზე, რაც წესად უნდა დამკვიდრდეს, თორემ მომავალი თაობა, დღევანდელის შემხედვარე, კარგს ვერაფერს ისწავლის...

**P.S.** ქეცბაიას ამ ინტერვიუმ თავად კობიაშვილთან დაკავშირება გადაგვაწყვეტინა, მაგრამ ბევრი მცდელობის მიუხედავად, ვერ მოვახერხეთ. ნაკრების მწვრთნელის სიტყვებზე ის, ალბათ, გვარიანად იხარხარებდა...

**კობა ინასარიძე**

● U 17. ევროპის ჩემპიონატის ელიტრაუნდი. V ჯგუფი

# საქართველომ ოხსით წააგო

### გერმანია 4:0 საქართველო

1:0 ოხსი (4), 2:0 ოხსი (58), 3:0 ფიორე-ტაპია (78), 4:0 ჰენრიხსი (80)

გერმანია: კიონიგსმანი, ბეკერი, კლასენი, პიუტცი, გიმბერი, ბეკტიჩი, ჰენრიხსი, ფერატი, ოხსი (74. ფიორე-ტაპია), ბეზუშკოვი (50. ბიოდერი), პორატი (56. ბანი).

სათადარიგოები: **ბადე, აიდოგანი, კამერბაუერი, ეზაუერლანდი.**

მწვრთნელი: **კრისტიან ვიუკი**

საქართველო: **გოშაძე, ქობულაძე, კაკიაშვილი, ნადარაია, კომახიძე, მამუჩაშვილი, ბერიძე, ჯობავა (51. გოშთელიანი), არაბიძე (60. კიკნაძე), მიქელთაძე, ქამხაძე.**

სათადარიგოები: **ქურდაძე, მურჯიკნელი, გაფრინდაშვილი, თვარაძე, ქორიძე**

მწვრთნელი: **ნოდარ აკობია**

გაფრთხილება: **ქობულაძე (77), ნადარაია (80)**

არბიტრი: **ბ. ვერტენტენი (ბელგია)**

სერბეთის ქალაქ სტარო-პაზოვაში საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის ელიტრაუნდის პირველი მატჩი გერმანიასთან გამართა და 0:4 დამარცხდა. გუშინ, ჩვენების მატჩის გარდა, ევროპაში კიდევ 9 შეხვედრა გაიმართა 17-წლამდელებს შორის, მაგრამ ყველაზე დიდი სხვაობა სწორედ საქართველო-გერმანიის თამაშში დაფიქსირდა. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ გერმანელებმა ბოლო ორი გოლი უკანასკნელ წუთებზე (17-წლამდელები 80 წუთს თამაშობენ) გაიტანეს, ანუ მაშინ, როცა **ნოდარ აკობიას** ბიჭები ვა-ბანკზე წავიდნენ და გერმანელებს უფრო თავისუფლად შეტევის საშუალება მისცეს.

პირველი ორი გოლი ჩვენებს დაუღალავმა **ოხსმა** გაუტანა. გერმანელმა შემტევმა ჯერ მატჩის დასაწყისშივე კუთხურიდან **ფერატის** ჩაწოდებულის შემდეგ შეაგდო, ხოლო შემდეგ - მეორე ტაიმის შუაში.

ოხსმა, როგორც იტყვიან, თამაში „გააკეთა" და მერე მწვრთნელმა **კრისტიან ვიუკმა** შეცვალა კიდეც. ქართველ ჭაბუკებს ოხსის ნაცვლად შესულმა **ფიორე-ტაპიამაც** არ დააკლო ხელი, ორ წუთში კი თავი უკვე გერმანელთა კაპიტანმა **ჰენრიხსმა** გამოიჩინა.

ქართველებმა გერმანელთა მეკარე **კიონიგსმანი** მხოლოდ ორჯერ შეაწუხეს, ძალზე სახიფათო დარტყმებს შედეგი არ მოჰყოლია. ხოლო ჩვენი გუნდის მეკარე **გოშაძემ**, თავის მხრივ, გერმანელებისგან ოთხი გოლი რომ მიიღო, ერთი ამდენჯერ გუნდი ნაღდი გოლისგანაც იხსნა.

80 წუთის განმავლობაში გერმანელებმა 6 კუთხური ჩააწოდეს, რომელსაც ერთი გოლი და ერთიც ძალზე სახიფათო მომენტი მოჰყვა, ჩვენებმა კი მეტოქის კართან კუთხურიდან სულ ერთხელ ჩააწოდეს, სამაგიეროდ, აკობიას ბიჭები სამჯერ აღმოჩნდნენ თამაშგარეში, გერმანელები - ერთხელ.

მოკლედ, ჩვენმა 17-წლამდელებმა ელიტრაუნდის პირველი მატჩი წააგეს და ამით ფინალურ ეტაპზე მოხვედრის შანსი ერთიორად შეიმცირეს. მომდევნო შეხვედრას ჭაბუკი ქართველები 28 მარტს მასპინძლებთან, სერბ თანატოლებთან ჩაატარებენ, ტურნირს კი ირლანდიასთან ორშაბათის შეხვედრით დაასრულებენ.

გუშინვე, ჩვენს ჯგუფში სერბებმა 2:1 სძლიეს ირლანდიას. შეგახსენებთ, რომ ჯგუფიდან ფინალურ ეტაპზე მხოლოდ პირველადგილოსანი გადის.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 1 | 1 | 0 | 0 | 4-0 | 3 |
| სერბეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 2-1 | 3 |
| ირლანდია | 1 | 0 | 0 | 1 | 1-2 | 0 |
| საქართველო | 1 | 0 | 0 | 1 | 0-4 | 0 |

**ლუკა თალაკვაძე**

● I ლიგა

### A ზონა. XXIII ტური

**დინამო 2 (თბ)-ალგეთი 7:3**

23.03. თბილისი. დინამოს აკადემია

1:0 ნ. კვეკვესკირი (15-პენ), 2:0 ლ. შერგელაშვილი (21), 3:0 ბ. მახარობლიძე (23), 4:0 პ. ვუო (38), 5:0 ბ. ზივზივაძე (52), 5:1 ზ. ტიელიძე (55). 6:1 ბ. ზივზივაძე (61), 6:2 ა. ონუაკლისი (70-პენ), 7:2 გ. ერისთავი (77), 7:3 ზ. ტიელიძე (89)

დინამო 2: ო. მიგინეიშვილი, ო. კაკაბაძე (46. ვ. ბაჩიაშვილი), ს. გურეშიძე, გ. ფალავანდიშვილი, ლ. შერგელაშვილი (46. გ. სამხარაძე), ნ. კვეკვესკირი, გ. დიასამიძე (46. მ. ჯიშკარიანი), ბ. მახარობლიძე (67. მ. ქაჯაია), ზ. ჯაფიაშვილი, გ. ერისთავი, პ. ვუო (46. ბ. ზივზივაძე).

სათადარიგოები: ლ. ტყეშელაშვილი, ს. ლობჟანიძე

მწვრთნელი: უჩა სოსიაშვილი

ალგეთი: ლ. ეზიეშვილი, რ. კიკალიშვილი. ი. ალასანია, გ. პატარქალიშვილი, ჯ. სულაქველიძე (26. გ. ყურულაშვილი), ი. ჯოჯიშვილი, გ. ჩიქოვანი, ბ. ფოჩხუა (41. ა. ონუაკლისი), ი. სვანიძე (46. ბ. ლაბუჩიძე), ზ. ტიელიძე, გ. ტვილდიანი (46. თ. ბაკურაძე).

სათადარიგოები: მ. ძიძიგური

მწვრთნელი: ელგუჯა გუგუშვილი

გაფრთხილება: ზ. ჯაფიაშვილი - რ. კიკალიშვილი, გ. პატარქალიშვილი, ა. ონუაკლისი

არბიტრი: ჯ. ხორავა

**გაგრა-ჩხერიმელა 2:0**

23.03. თბილისი. მერანი

1:0 გ. გოგატიშვილი (24), 2:0 ზ. ქარდავა (43)

გაგრა: ჯ. რექია, ც. ხარაბაძე, გ. სიჭინავა, გ. ჯგერენაია, გ. გადრანი, ნ. ნოზაძე (86. ც. მოსიაშვილი), ვ. ჭაბუკიანი, ზ. ქარდავა (83. გ. ნიჟარაძე), ზ. ქარდავა (80. გ. მაისურაძე), გ. გოგატიშვილი (87. ი. გაბესკირია), ზ. ლირდალაძე (76. გ. მჭედლიშვილი).

სათადარიგოები: ა. მუსელიანი, გ. დობორჯგინიძე

მწვრთნელი: თენგიზ სიჭინავა

ჩხერიმელა: მ. ლომსაძე, მ. კოპალიანი, თ. ლურსმანაშვილი, გ. მეტრეველი, გ. თურმანიძე (80. გ. ჯიმშელეიშვილი), შ. ბაბუნაშვილი, გ. კიკნაძე (76. თ. კიკნაძე), გ. ხარაბაძე (54. დ. პეტავა), დ. ქარსელაძე, ლ. ჩაჩიბაია, დ. წულაია (68. გ. ზაქარაშვილი).

სათადარიგო: გ. ნიქაბაძე

მწვრთნელი: ელდარ ჯიმშელეიშვილი

გაფრთხილება: ზ. ლირდალაძე, გ. მაისურაძე - ლ. ჩაჩიბაია

არბიტრი: შ. ქუხილავა

**adeli**

**ადელი- მეშახტე 2:2**

23.03. ბათუმი. ადელი

0:1 იაგო დეისაძე (8), 0:2 გ. გოდერიძე (11), 1:2 ლ. კარაკულიანი (47-პენ), 2:2 გ. ცაბუტაშვილი (77)

ადელი: გ. თურმანიძე, ნ. წულუკიძე, ზ. მჟავანაძე, ი. ფუტკარაძე, ვ. ივანიაძე, გ. ცაბუტაშვილი, ე. ბერიძე (46. ლ. ჯინჭარაძე), ი. ლოლობერიძე (90. ფ. მოროტიე), გ. ქოქოლაძე, ლ. კარაკულიანი, ა. ვარშანიძე (78. თ. ხაბელაშვილი).

სათადარიგოები: გ. შერვაშიძე, თ. გიორგაძე, გ. ჟორდანია, ზ. კონცელიძე

მწვრთნელი: სოსო ნასუაშვილი

მეშახტე: ლ. გორდეზიანი, ი. გვეტაძე, გ. გვენეტაძე, მ. ჩხარტიშვილი, თ. გოგიჩაძე, გ. გოდერიძე, ა. გოდუაძე, ბ. ჩხეტიანი, იაგო დეისაძე, იაკობ დეისაძე (89. ო. ჩაფიძე), ბ. შარვაძე (90. გ. ჩუბინიძე).

სათადარიგოები: ბ. ჯიშიაშვილი, დ. ქასრაშვილი, დ. სოფრომაძე, მ. ქვილითაია, ნ. ნიშნიანიძე

მწვრთნელი: დავით რუხაძე

გაფრთხილება: გ. ქოქოლაძე, ი. ფუტკარაძე - გ. გოდერიძე, მ. ჩხარტიშვილი, გ. გვენეტაძე, ლ. გორდეზიანი

არბიტრი: კ. ჭაჭუა

**სქური-მერცხალი 2:1**

23.03. წალენჯიხა. საშა კვარაცხელია

0:1 გ. ზოიძე (24)1, 1:1 ი. კუტალია (64), 2:1 თ. ფურთუხია (89)

სქური: ტ. ხარჩილავა, ა. მიქენაია, ლ. მორგოშია (90. ზ. სვანიძე), გ. სალია, თ. ფურთუხია, ლ. გაბუნია, ლ. ბოჯგუა, გ. სართანია, ი. კუტალია (77. კ. სოსელია), დ. შონია, გ. კვირკვია (57. გ. შელია)

სათადარიგოები: დ. კვკელიძე, ი. ქარდავა

მწვრთნელი: გიორგი ციკოლია

მერცხალი: ი. მურუსიძე, ზ. ხურციძე, მ. ქობულაძე (74. ლ. კოტრიკაძე), გ. ზოიძე, გ. მექვაბიშვილი (69. ნ. ხინთიბიძე), ს. ვ. ჩიგოგიძე, გ. ვაშაკიძე (54. ს. გ. ჩიგოგიძე), გ. ქარჩილაძე, ი. ღლონტი (46. ლ. ქანთარია), ი. ბაჯელიძე, გ. ბერიშვილი (46. თ. ჩხატარაშვილი).

სათადარიგო: ლ. კალაჯიშვილი

მწვრთნელი: ხარიტონ ჩხატარაშვილი

გაფრთხილება: გ. სალია, ლ. გაბუნია - ი. ბაჯელიძე

არბიტრი: გ. კიკაჩეიშვილი

**იმერეთი-კახეთი 4:0**

23.03. ხონი. ცენტრალური სტადიონი

1:0 ო. ტორაძე (23), 2:0 გ. ქირია (27), 3:0 გ. ცაგარეიშვილი (53), 4:0 ნ. ჩიხლაძე (79)

იმერეთი: ნ. ბანძავა, თ. ხარებავა, გ. ქირია (71. ჯ. კილაძე), ლ. გაჩეჩილაძე (83. დ. ხაბურძანია), გ. ცაგარეიშვილი (69. ნ. ჩიხლაძე), თ. ბაბუნაშვილი. ი. ჭანკვეტაძე, ო. ტორაძე (75. დ. კუხალაშვილი), გ. გენძეხაძე, ო. გიორგობიანი, მ. აშვეთია (69. ი. გოგატიშვილი).

სათადარიგოები: ს. მეძველია, ზ. სადილიანი

მწვრთნელი: დავით ჭელიძე

კახეთი: დ. მეფარიძე, გ. აბურჯანია (31. გ. ბააკაშვილი), ზ. ვარდუაშვილი, გ. ლომიძე, გ. მურველაშვილი, თ. ვარდუაშვილი, დ. ლორთქიფანიძე, გ. კვირკველია, გ ტყეშელაშვილი, გ. ჯინიკაშვილი (46. გ. ფხაკაძე), კ. მადუბუიკე.

სათადარიგოები: გ. ჩიტალაძე, მ. უჩხუკიშვილი, ი. ხუციშვილი, ზ. დარისპანაშვილი

მწვრთნელი: როსტომ თორღაშვილი

გაფრთხილება: თ. ხარებავა - გ. მურველაშვილი, კ. მადუბუიკე

არბიტრი: ი. კვირიკაშვილი

**შუქურა-საპოვნელა 3:0**

24.03. ქობულეთი. ჩელე-არენა

1:0 გ. ჩელებაძე (64-პენ), 2:0 მ. კოპალიანი (72), 3:0 გ. ჩელებაძე (90)

შუქურა: თ. კაკალაძე, ლ. კალანდაძე, ვ. შეროზია (67. მ. კოპალიანი), ი. ხუჭუა, ზ. მალანია (80, მ. ფუტკარაძე), ლ. კუტალია (87. მ. მამულაძე), ლ. ჩალაძე (46. ზ. ტულუში), გ. ჩელებაძე, მ. გოლიხინი, მ. კაკალაძე (87. ვ. ცენტერაძე), ი. ტაკიძე.

სათადარიგოები: ა. კოტრიკაძე, ნ. ჭკუასელი

მწვრთნელი: ბესიკ შეროზია

საპოვნელა: ა. გიორგაძე, დ. ჩხიკვაძე, ზ. ენდელაძე, კ. ხუჯაძე (67. ზ. აბულაძე), ა. ბუცხრიკიძე, ლ. ცხადაძე (83. ბ. ბარბაქაძე), ვ. მურადაშვილი (77. თ. დარსაველიძე), ვ. ჭრელაშვილი, ნ. სირაძე, ბ. ფოცხვერაშვილი, ლ. გაბრიჭიძე.

სათადარიგოები: დ. არეშიძე, ვ. კახეთელიძე, ვ. ცხადაძე

მწვრთნელი: მირიან გენაძე

გაფრთხილება: ი. ხუჭუა, ლ. კუტალია - ა. ბუცხრიკიძე, ვ. ჭრელაშვილი, ნ. სირაძე

არბიტრი: ხ. გაგნიძე

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კოლხეთი (ფ) | 16 | 14 | 1 | 1 | 40-7 | 43 |
| 2. შუქურა | 16 | 13 | 2 | 1 | 54-13 | 41 |
| 3. დინამო 2 (თბ) | 17 | 9 | 3 | 5 | 46-23 | 30 |
| 4. საპოვნელა | 16 | 9 | 3 | 4 | 30-15 | 30 |
| 5. გაგრა | 17 | 7 | 6 | 4 | 30-18 | 27 |
| 6. ალგეთი | 16 | 8 | 1 | 7 | 26-23 | 25 |
| 7. მეშახტე | 16 | 6 | 5 | 5 | 28-23 | 23 |
| 8. ჩხერიმელა | 16 | 5 | 3 | 8 | 21-35 | 18 |
| 9. სქური | 17 | 5 | 2 | 10 | 18-37 | 17 |
| 10. იმერეთი | 16 | 4 | 3 | 9 | 17-35 | 15 |
| 11. ადელი | 17 | 3 | 3 | 11 | 18-49 | 12 |
| 12. მერცხალი | 17 | 3 | 2 | 12 | 12-36 | 11 |
| 13. კახეთი | 17 | 3 | 2 | 12 | 16-42 | 11 |

### მომდევნო ტური

**27 მარტი**

სქური-გაგრა
მერცხალი-იმერეთი
კახეთი-ადელი
კოლხეთი (ფ) - დინამო 2 (თბ)

**28 მარტი**

ალგეთი-შუქურა
საპოვნელა-ჩხერიმელა

### მეორე ლიგა

**დასავლეთი ზონა**

**XIV ტური**

| | |
|---|---|
| მარგვეთი-საირმე | 3:0 |
| კოლხეთი 2 (ფ)-ლაზიკა | 0:4 |
| საპოვნელა 2-ქუთაისი | 3:0 |
| შუქურა 2-მერცხალი 2 | 6:1 |
| რაჭა-კოლხეთი 2 (ხ) | 2:0 |
| დინამო 2 (ბთ)-ეგრისი | 2:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლაზიკა | 14 | 12 | 1 | 1 | 39-5 | 37 |
| 2. მარგვეთი | 14 | 9 | 3 | 2 | 36-17 | 30 |
| 3. რაჭა | 14 | 9 | 1 | 4 | 25-22 | 28 |
| 4. ეგრისი | 13 | 9 | 0 | 4 | 29-17 | 27 |
| 5. დინამო 2 (ბთ) | 14 | 8 | 3 | 3 | 28-17 | 27 |
| 6. შუქურა 2 | 14 | 7 | 2 | 5 | 27-25 | 23 |
| 7. საპოვნელა 2 | 14 | 6 | 1 | 7 | 29-28 | 19 |
| 8. კოლხეთი 2 (ფ) | 14 | 6 | 1 | 7 | 22-27 | 19 |
| 9. ქუთაისი | 14 | 5 | 3 | 6 | 32-28 | 18 |
| 10. კოლხეთი 2 (ხ) | 14 | 5 | 2 | 7 | 21-20 | 17 |
| 11. საირმე | 14 | 4 | 1 | 9 | 22-31 | 13 |
| 12. მერცხალი 2 | 14 | 0 | 1 | 13 | 9-41 | 1 |
| 13. სამეგრელო | 13 | 0 | 1 | 12 | 4-45 | 1 |

**აღმოსავლეთი ზონა**

**XIX ტური**

| | |
|---|---|
| არაგვი-ალაზანი | 3:0 |
| გოლიადორი-ლიახვი | 0:3 (ტ.წ.) |
| აბული-დინამო (ს) | 1:0 |
| ივერია-ფორვარდი | 3:1 |
| დურუჯი-ჰერეთი/საქ. უნ. | 2:4 |
| რუსთავი-ბორჯომი | 0:5 |
| ივერიონი-სასკო 2 | 3:1 |
| მარკ სტარი-იბერია | 7:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბორჯომი | 19 | 17 | 2 | 0 | 69-16 | 53 |
| 2. მარკ სტარი | 19 | 16 | 1 | 2 | 79-17 | 49 |
| 3. ლიახვი | 19 | 13 | 5 | 1 | 50-22 | 44 |
| 4. ჰერეთი | 19 | 11 | 4 | 4 | 56-30 | 37 |
| 5. ივერია | 19 | 11 | 2 | 6 | 48-33 | 35 |
| 6. არაგვი | 19 | 8 | 6 | 5 | 48-31 | 30 |
| 7. აბული | 19 | 8 | 3 | 8 | 26-31 | 27 |
| 8. გოლიადორი | 19 | 7 | 1 | 10 | 40-45 | 22 |
| 9. დურუჯი | 19 | 6 | 2 | 11 | 27-39 | 20 |
| 10. ივერიონი | 18 | 5 | 5 | 8 | 29-36 | 20 |
| 11. დინამო (ს) | 17 | 6 | 1 | 10 | 24-40 | 19 |
| 12. ალაზანი | 19 | 5 | 4 | 10 | 29-47 | 19 |
| 13. რუსთავი | 18 | 5 | 2 | 11 | 32-67 | 17 |
| 14. ფორვარდი | 19 | 4 | 3 | 12 | 23-51 | 15 |
| 15. იბერია | 18 | 3 | 1 | 14 | 24-66 | 10 |
| 16. სასკო 2 | 19 | 2 | 2 | 15 | 17-50 | 8 |

საფეხბურთო კლუბი ლანჩხუთის „გურია" ღრმა სამძიმარს უცხადებს ამავე კლუბის დირექტორს კობა მირზაშვილს შვილის სერგის ტრაგიკულად დაღუპვის გამო.

● დიდი ფეხბურთის კარიბჭესთან



ვანო შენგელიძე

## ტრადიციის გამგრძელებლები

„ნორჩი დინამოელი" სახელოვან ტრადიციას აგრძელებს. ამ სკოლის აღზრდილები არიან **ზურაბ ხიზანიშვილი, უჩა ლობჟანიძე, აკაკი ხუბუტია, ძმები გრიგალაშვილები...** ამჯერად ყურადღების ცენტრშია 1996 წელს დაბადებულთა გუნდი, რომელიც წარმატებით ასპარეზობს ჭაბუკთა ლიგაში.

მწვრთნელი **ავთანდილ შენგელია** არაერთ შეგირდს უწინასწარმეტყველებს წარმატებულ საფეხბურთო კარიერას.

*„დღეს თანატოლებიდან განსაკუთრებით ვანო შენგელიძე და ბექა უგულავა იქცევენ საერთო ყურადღებას. ვანო მაღალი (190 სმ), ფიზიკურად ძლიერი აღნაგობის ფორვარდია და ხშირად გააქვს გოლები. არის შრომისმოყვარე, დისციპლინირებული, გამოირჩევა პროფესიონალი ფეხბურთელის თვისებებით"*, - ამბობს მწვრთნელი.

**ზურაბ ცქიტიშვილი**

R

### ჭაბუკთა ლიგა

**XVIII ტური**

**1996/97 წ.დ.**

| | |
|---|---|
| დინამო (ბთ)-მერანი | 1:2 |
| 35-ე სს- ტორპედო | 3:1 |
| სპარტაკი-სიონი | 1:1 |
| ნ. დინამო-საბურთალო | 1:2 |
| მეტალურგი-დინამო (თბ) | 5:1 |
| გურია-ზუგდიდი | 0:0 |
| ვიტ ჯორჯია-ზესტაფონი | 1:1 |
| ჩიხურა-დილა | 0:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მეტალურგი | 18 | 17 | 1 | 0 | 61-11 | 52 |
| 2. ტორპედო | 18 | 11 | 5 | 2 | 33-18 | 38 |
| 3. დინამო (თბ) | 18 | 11 | 2 | 5 | 42-21 | 35 |
| 4. დილა | 18 | 9 | 7 | 2 | 32-12 | 34 |
| 5. საბურთალო | 18 | 9 | 4 | 5 | 32-20 | 31 |
| 6. 35-ე სს | 18 | 9 | 2 | 7 | 35-25 | 29 |
| 7. ვიტ ჯორჯია | 18 | 8 | 5 | 5 | 35-28 | 29 |
| 8. დინამო (ბთ) | 18 | 8 | 4 | 6 | 29-26 | 28 |
| 9. მერანი | 18 | 7 | 2 | 9 | 21-40 | 23 |
| 10. სიონი | 18 | 6 | 3 | 9 | 29-36 | 21 |
| 11. ზუგდიდი | 18 | 4 | 8 | 6 | 20-23 | 20 |
| 12. ნ. დინამო | 18 | 5 | 4 | 9 | 27-33 | 19 |
| 13. ზესტაფონი | 18 | 4 | 4 | 10 | 20-32 | 16 |
| 14. სპატაკი | 18 | 4 | 4 | 10 | 21-37 | 16 |
| 15. გურია | 18 | 2 | 3 | 13 | 4-48 | 9 |
| 16. ჩიხურა | 18 | 1 | 0 | 17 | 10-41 | 3 |

**1998/99 წ.დ.**

| | |
|---|---|
| დინამო (ბთ)-მერანი | 4:0 |
| 35-ე სს-ტორპედო | 3:0 |
| სპარტაკი-სიონი | 2:1 |
| ნ. დინამო-საბურთალო | 0:3 |
| მეტალურგი-დინამო (თბ) | 0:1 |
| გურია-ზუგდიდი | 1:1 |
| ვიტ ჯორჯია-ზესტაფონი | 3:1 |
| ჩიხურა-დილა | 0:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო (თბ) | 18 | 15 | 2 | 1 | 71-8 | 47 |
| 2. საბურთალო | 18 | 13 | 5 | 0 | 551-4 | 44 |
| 3. 35-ე სს | 18 | 13 | 1 | 4 | 40-19 | 40 |
| 4. დილა | 18 | 12 | 3 | 3 | 27-17 | 39 |
| 5. ტორპედო | 18 | 10 | 2 | 6 | 32-18 | 32 |
| 6. ზუგდიდი | 18 | 8 | 4 | 6 | 28-24 | 28 |
| 7. ვიტ ჯორჯია | 18 | 8 | 3 | 7 | 29-24 | 27 |
| 8. ნ. დინამო | 18 | 6 | 7 | 5 | 20-26 | 25 |
| 9. მეტალურგი | 18 | 7 | 3 | 8 | 22-25 | 24 |
| 10. სპარტაკი | 18 | 7 | 1 | 10 | 24-34 | 22 |
| 11. დინამო (ბთ) | 18 | 6 | 3 | 9 | 19-23 | 21 |
| 12. ზესტაფონი | 18 | 3 | 7 | 8 | 15-22 | 16 |
| 13. სიონი | 18 | 3 | 4 | 11 | 20-37 | 13 |
| 14. მერანი | 18 | 3 | 3 | 12 | 11-48 | 12 |
| 15. გურია | 18 | 3 | 2 | 13 | 10-64 | 11 |
| 16. ჩიხურა | 18 | 1 | 2 | 15 | 7-33 | 5 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაიერნი

# მოკრძალებული ტრიუმფატორი

## მიუნხენელთა მთავარი საფიქრალი ამიერიდან მანჩესტერ იუნაიტედი და ჩემპიონთა ლიგაა

2014 წლის 25 მარტი გერმანული ფეხბურთის ისტორიაში განსაკუთრებული დღის სტატუსით შევიდა: გუშინწინ, მიუნხენის „ბაიერნმა" დედაქალაქ ბერლინში „ჰერტა" 3:1 დაამარცხა და ბუნდესლიგის ისტორიაში ყველა დროის ყველაზე სწრაფი ჩემპიონობა გაინაღდა. ჩემპიონობა 27-ე ტურში მართლაც განუმეორებელი შედეგია და ახლა კიდევ უფრო ინტენსიური გახდება საუბრები იმის შესახებ, რომ ეს ყველა დროის საუკეთესო „ბაიერნია". გუნდი, რომელიც გერმანიის ჩემპიონატში და ჩემპიონთა ლიგაში ქვას ქვაზე არ ტოვებს და ყველა მეტოქეს იოლად უგებს.

ბავარიელთა თავკაცი **ხოსეპ გვარდიოლა** მატჩის შემდეგ ჩვეულებისამებრ, მოკრძალებული იყო: *„კმაყოფილი ვარ, რომ ეს მოვახერხეთ. ვულოცავ ბიჭებს და ყველას, ვინც „ბაიერნს" ქომაგობს,"* - აღნიშნა პეპმა „სქაისთვის" მიცემულ ინტერვიუში და იქვე დასძინა: *„ფაქტია, რომ შარშანდელი გრანდიოზული სეზონის შემდეგ ამ გუნდმა პროგრესი გააგრძელა და მიიღო ის, რასაც იმსახურებდა და როგორც იმსახურებდა."*



ხოსეპ გვარდიოლამ პირველივე გერმანულ სეზონში ჩემპიონობა იზეიმა

ბავარიული კმაყოფილება რეკორდმაისტერის სპორტული დირექტორის, **მათიას ზამერის** კომენტარშიც გამოიხატა: *„მიუხედავად იმისა, რომ წინა სეზონში ყველა ტიტული მოვიგეთ, მუშაობა მაინც მიზანმიმართულად და, როგორც ხედავთ, ნაყოფიერად გავაგრძელეთ. პროგრესი აშკარაა, რადგან წელს უფრო ადრე გავხდით ჩემპიონები, ვიდრე შარშან..."*

მართალია, ტიტულების რაოდენობიდან გამომდინარე, წინა სეზონთან შედარება ჯერ ძალიან ნაადრევია, მაგრამ თუ ციფრებითა და ფაქტებით ვიმსჯელებთ, დღევანდელი „ბაიერნი" მართლაც სჯობია შარშანდელს. წინა სეზონში, 27 ტურის შემდეგ, იუპ ჰაინკესის „ბაიერნს" ბუნდესლიგაში 72 ქულა ჰქონდა და მეორე ადგილზე მყოფ „დორტმუნდს" 20 ქულით უსწრებდა. ერთი წლის შემდეგ მიუნხენელების ანგარიშზე 77 ქულაა და „დორტმუნდს", რომელიც ახლაც მეორე პოზიციაზეა, 25 ქულით უსწრებენ. მართალია, გერმანელი ექსპერტების დიდი ნაწილი კლასში განსხვავებაში „ინფლაციაზე" საუბრობენ, მაგრამ ფაქტი ისაა, რომ უმრავლესობის აზრით, „ბაიერნი" დღესდღეობით სხვა ლიგაში, ასე ვთქვათ, „ბუნდესლიგა პლუსში" თამაშობს და მიუნხენურ გრანდს დანარჩენები ფეხს ვერ უწყობენ.

ეს ყველაფერი „ბაიერნმა" ბერლინშიც დაამტკიცა: „ჰერტასთან" მატჩის ბედი ნაადრევად გადაწყდა, რადგან მიუნხენელები მე-6 წუთზე, **ტონი კროოსის** გოლით დაწინაურდნენ, მე-14 წუთზე კი **მარიო გიოტცემ** სხვაობა ორამდე გაზარდა. „ბაიერნის" ქომაგებმა განსაკუთრებით ექსდორტმუნდელის გოლი იზეიმეს – არა მარტო იმიტომ, რომ მარიოს გოლი შესანიშნავ კომბინაციას მოჰყვა და თანაც, ტანდაბალმა „გიოტცინიომ" თავით გაიტანა, არამედ, პირველ რიგში იმის გამო, რომ სწორედ გიოტცეს გოლმა აუწყა ყველას, რომ „ბაიერნი" ჩემპიონობას გაინაღდებდა.



ასე ზეიმობდნენ მიუნხენელები ბერლინში

მარტში ჩემპიონობის გაფორმება, რა თქმა უნდა, ბუნდესლიგის რეკორდია, მაგრამ ბერლინში „ბაიერნმა" სხვა რეკორდიც „დადო": მიუნხენური გრანდის კაპიტანმა **ფილიპ ლამმა** 90 წუთის განმავლობაში 134 პასი გააკეთა და 134-ივე ზუსტი (!) იყო. საერთო ჯამში, ბავარიელებმა „ჰერტასთან" 1078 პასი გააკეთეს და აქედან 1004 ზუსტი იყო, რაც, რა თქმა უნდა, ასევე აბსოლუტური რეკორდია. ყველაფერზე მეტყველებს „ჰერტასთან" შეხვედრაში დაფიქსირებული ბურთის ფლობის მაჩვენებელიც: 82%-18%. თუმცა ამ ყველაფერზე გვარდიოლას კომენტარი არ გაუკეთებია - პეპმა იმ კაცის გახსენება ამჯობინა, რომელიც ბოლო 45 წლის განმავლობაში პირველად ვერ იზეიმა „ბაიერნთან" ერთად - ალბათ მიხვდით, რეკორდმაისტერის ექსპრეზიდენტ **ული ჰიონესს** ვგულისხმობთ.

*„ამ ჩემპიონობას ული ჰიონესს ვუძღვნით. ადამიანს, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვანია მიუნხენის „ბაიერნში",* - თქვა გვარდიოლამ.

ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა პეპს, რა თქმა უნდა, ისიც ჰკითხეს, თუ როგორ ითამაშებს „ბაიერნი" ბუნდესლიგის დარჩენილ ტურებში. გვარდიოლას პასუხი: *„ჩვენ გვინდა, რომ თითოეული ვარჯიშის ან თამაშის შემდეგ იმაზე უკეთესები ვიყოთ, ვიდრე მანამდე ვიყავით. ამიერიდან პრიორიტეტი, რა თქმა უნდა, ჩემპიონთა ლიგას და გერმანიის თასს მიენიჭება, სადაც ნახევარფინალში „კაიზერსლაუტერნს" ვხვდებით. დღეიდან ჩვენი უმთავრესი საფიქრალი „მანჩესტერ იუნაიტედთან" დუელები იქნება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ბუნდესლიგაში მოვდუნდებით - ყველა თამაშის მოგება გვინდა!"*

### ლუდით წუწაობის დროც მოვა

*„ვულოცავ „ბაიერნს" და, რა თქმა უნდა, პირველ რიგში ხოსეპ გვარდიოლას. ფაქტია, რომ მიუნხენურმა კლუბმა მის ხელში პროგრესი გააგრძელა და გერმანიაში აბსოლუტური დომინანტია,"* - ეს გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის, **იოახიმ ლიოვის** სიტყვებია, რომელიც „ბაიერნის" მორიგ წარმატებაში მთავარი როლის შემსრულებლად სწორედ გვარდიოლას მიიჩნევს.

*„ჩემპიონობის ასე ადრე განაღდება დაუჯერებელი და განუმეორებელი მოვლენაა,"* - დასძენს ლიოვი, რომელსაც, რა თქმა უნდა, ისიც ახარებს, რომ „ბაიერნის" ფეხბურთელების იდეალურ ფორმაში ყოფნა გერმანიის ნაკრებსაც ძალიან წაადგება. **მანუელ ნოიერი, ჟერომ ბოატენგი**, კაპიტანი ლამი, მარიო გიოტცე, ტონი კროოსი, **თომას მიულერი** და **ბასტიან შვაინშტაიგერი** - აი, „ბაიერნის" იმ მოთამაშეების ჩამონათვალი, რომლებიც მსოფლიოს ჩემპიონატზე გერმანიის დროშის ქვეშ იასპარეზებენ.

„ბაიერნის" ნაადრევ ჩემპიონობას დორტმუნდის „ბორუსიას" დამრიგებელი **იურგენ კლოპიც** გამოეხმაურა. მისი თქმით, რეკორდმაისტერის ასეთი ნაადრევი ჩემპიონობა ასი პროცენტით დამსახურებული მიღწევაა: *„მართალია, „ბაიერნი" თვალთახედვის არეში გვყავს, მაგრამ მათ დასანახად ბინოკლი გვჭირდება,"* - აღნიშნა კლოპმა. „ვოლფსბურგის" სპორტული დირექტორი **კლაუს ალოფსი** მიიჩნევს, რომ ბუნდესლიგისთვის უმჯობესი იქნებოდა, „ბაიერნს" ჩემპიონობა ოდნავ მოვვიანებით რომ გაენაღდებინა.

გულშემატკივრებსა და ზოგადად ფეხბურთის მოყვარულებს კი ერთი კითხვა დარჩათ პასუხგაუცემელი: რატომ ვერ ვნახეთ ბერლინში ტრადიციული ლუდის შხაპი? ამ კითხვას „ჰერტასთან" მატჩის შემდეგ არიენ რობენმა უპასუხა: *„ნუ ნაღვლობთ, მაგის დროც მოვა!"*

მოსალოდნელი ტრანსფერები

# შალკემ ფირმინო დაადასტურა

რამდენიმე კვირაა, გერმანულ პრესაში არ წყდება სპეკულაციები იმის შესახებ, რომ „ჰოფენჰაიმის" ბრაზილიელი ნახევარმცველი **რობერტო ფირმინო** „შალკეში" გადავა. გელზენკირხენული კლუბის მთავარმა მწვრთნელმა იენს კელერმა ჟურნალ „შპორტ ბილდისთვის" მიცემულ ინტერვიუში ოფიციალურად დაადასტურა, რომ ფირმინოთი სერიოზულადაა დაინტერესებული:

*„რობერტო ფირმინო ძალიან კარგი ფეხბურთელია, რომელსაც ჩემს გუნდში სიამოვნებით ვნახავდი,"* - უთხრა „შალკეს" მწვრთნელმა ჩვენს გერმანელ კოლეგებს. გელზენკირხენელები ბრაზილიელს **იულიან დრაქსლერის** ღირსეულ შემცვლელად განიხილავენ. როგორც იცით, დრაქსლერის „შალკედან" წასვლა თითქმის გადაწყვეტილია. ფირმინოს „ჰოფენჰაიმთან" კონტრაქტი 2015 წლამდე აქვს გაფორმებული, რაც იმას ნიშნავს, რომ „სოფლელებს" მისი გაყიდვით ფინანსური ხეირის ნახვა ამ ზაფხულსვე შეუძლიათ.

ექსდორტმუნდელი

# ყოფილი ჩემპიონი დღეს მიმტანად მუშაობს!

2002 წელს **ჯუზეპე რეინა** დორტმუნდის „ბორუსიას" არცთუ მეორეხარისხოვანი ფეხბურთელი იყო. თავდამსხმელი, რომელსაც ბილი რეინასაც ეძახდნენ და რომელიც დღეს 41 წლისაა, 2002-ში „დორტმუნდთან" ერთად გერმანიის ჩემპიონი გახდა და „ვერცხლის სინი" აღმართა. დღეს ჯუზეპე რეინა ჩვეულებრივი სინით ხელში დადის - ლანგრით ლუდს, პიცას, ჭიქებს და თეფშებს დაატარებს. პარადოქსია, მაგრამ ფაქტი: რეინა მიმტანად მუშაობს!

ავსტრია, სათხილამურო კურორტი ბუხენშტაინვანდი კიტცბიუჰელთან ახლოს, რესტორანი „ბუახბლიკი" - აქ მშიერი და მწყურვალი სპორტსმენები და თხილამურებით სრიალის მოყვარულები შედიან. რეინაც აქაა. ყოფილი ფეხბურთელი, რომელიც საკმაოდ მაღალი დონის მოთამაშე იყო, სასმელებსა და საჭმელებს დაატარებს. პარალელურად, სტუმრებს ელაპარაკება, ეხუმრება და თვითონაც ძალიან კარგ ხასიათზეა. *„ეს საქმე ნამდვილად მსიამოვნებს,"* - ამბობს რეინა და დასძენს: *„ერთხელ აქ ახლობლებთან ერთად შვებულება გავატარე და აქაურობა ისე მომეწონა, რომ გადავწყვიტე, მუშაობა დამეწყო."*

უკვე მეორე წელია, რაც „ბილი" ამ რესტორანში მუშაობს, მისი ოჯახი კი ამ დროს დიუსელდორფშია: *„ჩემს ცოლს დიუსელდორფში მშვენიერი სამსახური აქვს, ჩემი ქალიშვილი კი სკოლაში დადის. ხანდახან ჩავდივარ ხოლმე,"* - აცხადებს რეინა.

ყოფილი ჩემპიონი ახლა მიმტანია - ეს, ცხადია, ბევრს უკვირს, მაგრამ რეინა იფიცება, ასე ფინანსური სიდუხჭირის გამო კი არ ვიქცევი, არამედ, უბრალოდ, სხვა რაღაცის გაკეთება მინდოდა და აქაურობა მართლა ძალიან მომეწონაო.

*„მხიარული ადამიანი ვარ და აქ ყოფნა მსიამოვნებს. აქაც ყველა ბილის მეძახის. ოდნავადაც არ შევცვლილვარ,"* - ამბობს რეინა, რომელიც წარმოშობით იტალიელია, „დორტმუნდის" გარდა ბილეფელდის „არმინიაში" და ბერლინის „ჰერტაში" თამაშობდა. რეინას ბუნდესლიგის 171 მატჩში 34 გოლი აქვს გატანილი. აღსანიშნავია, რომ თავად ბილის თხილამურებით სრიალი არ შეუძლია - ორივე მუხლზე ისეთი ტრავმები აქვს გადატანილი, რომ დატვირთვები არ შეიძლება.

გერმანია. ბუნდესლიგა. XXVII ტური

**ნიურნბერგი–შტუტგარტი 2:0**

**გოლები:** 1:0 დრმიჩი (43), 2:0 დრმიჩი (54)

**ნიურნბერგი (4-1-4-1):** რ. შეფერი – ანგა, შტარკი, პოგატეცი, პლატენჰარდტი – ფრანტცი – ფოილნერი (84. მაკი), კამპანა (75. ბალიჩი), კიოტაკე, პლუსეკი – დრმიჩი (87. პეკჰარტი).

**შტუტგარტი (4-2-3-1):** ულრაიხი – შვააბი, რიუდიგერი, ნიდერმაიერი, გ. საკაი (68. გრუეზო) – გენტნერი, ბოკა – ჰარნიკი (46. მაქსიმი), ტრაორე, რაუში (46. ტი. ვერნერი) – იბიშევიჩი.

**გაფრთხილება:** შტარკი – გ. საკაი

**კუთხური:** 6-4; **ჯარიმა:** 17-11; **თამაშგარე:** 6-4; **კარში დარტყმა:** 11(5)-13(5); **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 38 188

**ჰოფენჰაიმი–ჰანოვერი 3:1**

**გოლები:** 0:1 ანდრეასენი (10), 1:1 პოლანსკი (13), 2:1 მოდესტე (51), 3:1 რუდი (93)

**ჰოფენჰაიმი (4-3-2-1):** გრალი – ფ. ჯონსონი, შტრობლი, ვესტერგაარდი, ბეკი – რუდი, სალიჰოვიჩი (69. ჰერდლინგი), პოლანსკი – ფოლანდი (89. ელიუნუსი), რობერტო ფირმინო – მოდესტე (86. ზიულე).

**ჰანოვერი (4-2-2-2):** ცილერი – ჰ. საკაი, ჰოფმანი, კ. შულცი, პოკონიოლი (85. პრიბი) – შმიდებახი, ანდრეასენი – შტინდლი, ჰუსტი – ბიტენკური (65. შლაუდრაფი), რუდნევსი (80. ია კონანი).

**გაფრთხილება:** ბეკი - ჰუსტი

**გაძევება:** შმიდებახი (76. ჰანოვერი)

**კუთხური:** 5-1; **ჯარიმა:** 16-15; **თამაშგარე:** 5-1; **კარში დარტყმა:** 20(8)-8(1); **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

**მაყურებელი:** 21 319

**აუგსბურგი–ლევერკუზენი 1:3**

**გოლები:** 0:1 კისლინგი (11), 1:1 ტო. ვერნერი (59), 1:2 სონი (80), 1:3 ჩანი (83)

**აუგსბურგი (4-1-4-1):** ჰიტცი – ფიპლი (61. ვერჰეგი), კალსენ-ბრაკერი, კლავანი, ოსტრცოლეკი – ბაიერი – ფოგტი (84. მიოლდერსი) – ჰანი, ჰალილ ალთინთოფი, ტო. ვერნერი – ბობადილია (72. მილიკი).

**ლევერკუზენი (4-1-2-2-1):** ლენო – დონატი, თოფრაქი, სპაჰიჩი, ბოონიში – ჩანი – ლ. ბენდერი, გუარდადო (88. ვოლშაიდი) – კასტრო (67. ბრანდტი), სონი (85. როლფესი) – კისლინგი.

**გაფრთხილება:** ბაიერი, ჰანი – ჩანი, გუარდადო

**კუთხური:** 10-3; **ჯარიმა:** 14-17; **თამაშგარე:** 2-5; **კარში დარტყმა:** 22(3)-13(7); **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 27 114

**ჰამბურგი–ფრაიბურგი 1:1**

**გოლები:** 0:1 დარიდა (50), 1:1 ლასოგა (55)

**ჰამბურგი (4-1-2-1-2):** ადლერი – დიკმაიერი, ჯერუ, მანსიენი, ვესტერმანი – ბადელი – არსლანი, ირაჩეკი (62. ტეშე) – ვან დერ ვაარტი – ზუა, ლასოგა.

**ფრაიბურგი (4-2-2-2):** ბაუმანი – მუიჯა (34. გიუნტერი), კრმასი, გინტერი, ზორგი – შუსტერი, დარიდა – კლაუსი, ფერანდესი (63. შმიდი) – გუედე, მეჰმედი (91. კერკი).

**გაფრთხილება:** ბადელი – მეჰმედი, კლაუსი

**კუთხური:** 6-3; **ჯარიმა:** 17-15; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 21(5)-11(4); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 44 629

**აინტრახტი–გლადბახი 1:0**

**გოლი:** 1:0 ხოსელუ (16)

**აინტრახტი (4-1-2-1-2):** ტრაპი – ს. იუნგი, სამბრანო, მადლუნგი, ჯაპკა (92. ჩელოცი) – რუსი – ლანიგი, ფლუმი – ბარნეტა (88. შტენდერა) – აიგნერი (83. კადლეცი), ხოსელუ.

**გლადბახი (4-2-2-1-1):** ტერ შტეგენი – კორბი (79. რუპი), შტრანცლი, ალვარო დომინგესი, დემსი – ნორდტვეიტი, კრამერი – ჰერმანი (55. ჰრგოტა), არანგო (78. იუნესი) – რაფაელი – კრუზე.

**გაფრთხილება:** რუსი, ფლუმი, კადლეცი - დემსი

**კუთხური:** 11-7; **ჯარიმა:** 11-12; **თამაშგარე:** 7-1; **კარში დარტყმა:** 14(4)-9(2); **ბურთის ფლობა:** 40%-60%.

**მაყურებელი:** 48 000

**მომდევნო ტური**

28 მარტი: შალკე-ჰერტა.

29 მარტი: ბაიერნი-ჰოფენჰაიმი, ლევერკუზენი-ბრაუნშვაიგი, შტუტგარტი-დორტმუნდი, ვოლფსბურგი-აინტრახტი, მაინცი-აუგსბურგი, ფრაიბურგი-ნიურნბერგი.

30 მარტი: გლადბახი-ჰამბურგი, ჰანოვერი-ვერდერი.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 27 | 25 | 2 | 0 | 79-13 | 77 |
| 2. დორტმუნდი | 27 | 16 | 4 | 7 | 59-29 | 52 |
| 3. შალკე | 27 | 15 | 6 | 6 | 51-37 | 51 |
| 4. ლევერკუზენი | 27 | 15 | 2 | 10 | 46-33 | 47 |
| 5. ვოლფსბურგი | 27 | 13 | 5 | 9 | 46-41 | 44 |
| 6. გლადბახი | 27 | 12 | 6 | 9 | 46-33 | 42 |
| 7. მაინცი | 27 | 12 | 5 | 10 | 38-43 | 41 |
| 8. აუგსბურგი | 27 | 11 | 6 | 10 | 40-40 | 39 |
| 9. ჰერტა | 27 | 10 | 6 | 11 | 36-37 | 36 |
| 10. ჰოფენჰაიმი | 27 | 9 | 8 | 10 | 60-59 | 35 |
| 11. აინტრახტი | 27 | 8 | 8 | 11 | 34-46 | 32 |
| 12. ჰანოვერი | 27 | 8 | 5 | 14 | 35-49 | 29 |
| 13. ვერდერი | 27 | 7 | 8 | 12 | 31-53 | 29 |
| 14. ნიურნბერგი | 27 | 5 | 11 | 11 | 32-49 | 26 |
| 15. ფრაიბურგი | 27 | 6 | 8 | 13 | 30-48 | 26 |
| 16. ჰამბურგი | 27 | 6 | 6 | 15 | 42-56 | 24 |
| 17. შტუტგარტი | 27 | 6 | 6 | 15 | 40-54 | 24 |
| 18. ბრაუნშვაიგი | 27 | 5 | 6 | 16 | 24-49 | 21 |

**ბომბარდირები:** 17 – მარიო მანჯუკიჩი (ბაიერნი); 16 – რობერტ ლევანდოვსკი (დორტმუნდი), ადრიან რამოსი (ჰერტა); 15 – იოზიპ დრმიჩი (ნიურნბერგი); 13 – პიერ-ემერიკ ობამეიანგი (დორტმუნდი), რაფაელი (გლადბახი), რობერტო ფირმინო (ჰოფენჰაიმი), შტეფან კისლინგი (ლევერკუზენი).

მოსალოდნელი ტრანსფერები

# ბაიერნმა ბენატიას დაუმიზნა

## გადავა რომას მცველი მიუნხენში?

გერმანულ მედიაში გავრცელებული ცნობების თანახმად, ზაფხულის სატრანსფერო პერიოდში „ბაიერნის" უპირველესი ამოცანა დაცვის ხაზის გაძლიერება იქნება. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, მიუნხენელებს „რომას" მცველის, **მეჰდი ბენატიას** გადაბირება უნდათ. 26 წლის ბენატია იტალიის ჩემპიონატში შესანიშნავ სეზონს ატარებს და როგორც ჩანს, მიუნხენური გრანდის ხელმძღვანელებიც დააინტერესა.

იტალიელი ჟურნალისტი და სატრანსფერო ექსპერტი **ჯანლუკა დი მარძიო**, რომელიც პირველი იყო, ვინც **ხოსეპ გვარდიოლას** „ბაიერნში" დანიშვნის ამბავი გაახმაურა, აცხადებს, რომ ბავარიული გრანდი ბენატიას დიდი ხანია აკვირდება. მისივე თქმით, ბენატიას „მანჩესტერ იუნაიტედიც" უმიზნებს.

ბენატია რომაში გასულ ზაფხულს, „უდინეზედან" გადავიდა და რომაელებს ეს ტრანსფერი 13.5 მილიონი ევრო დაუჯდათ, ამ სეზონში კი უმაღლესი კლასის მცველად ჩამოყალიბდა. ცნობისათვის, ბენატიას „რომასთან" კონტრაქტი 2018 წლამდე აკავშირებს.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტალია. სერია A. XXX ტური

# ტოტის მე-700 მატჩი



## და ახალი სტადიონის მაკეტი

„რომას“ ახალი სტადიონის მაკეტის პრეზენტაცია

**30-ე ტური „სტადიო ოლიმპიკოზე“ გამართული მატჩით გაიხსნა, რომელშიც „რომამ“ „ტორინოს“ უმასპინძლა და მინიმალური ანგარიშით დაამარცხა - 2:1. გამარჯვების გოლი მასპინძლებმა მსაჯის მიერ დამატებულ წუთზე გაიტანეს, ეს საგმირო საქმე კი ალესანდრო ფლორენციმ ითავა.**

## მთავარი გმირი

მართალია, გამარჯვების გოლი **ალესანდრო ფლორენციმ** შეაგდო, მაგრამ მთავარი გმირი მაინც **ფრანჩესკო ტოტი** გახლდათ - 36 წლის ლეგენდარულმა კაპიტანმა „რომას“ შემადგენლობაში მე-700 შეხვედრა გამართა (!). დიახ, „იმპერატორი“ ყურადღების ცენტრში იყო და ეს მიუხედავად იმისა, რომ საუკეთესო მატჩი არ ჩაუტარებია, როდესაც 70-ე წუთზე ფრანჩესკო მოედნიდან გადიოდა, ოლიმპიკოზე შეკრებილი თითქმის 50 ათასი ადამიანი ფეხზე იდგა და ტაშს უკრავდა. მოკლედ, ტოტი კიდევ ერთ სიმაღლეს შეწვდა: 700 მატჩი ერთი გუნდის შემადგენლობაში, უდავოდ გამოსარჩევი მოვლენაა.

თვითონ თამაში მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა და წესით, რომაელებს ბოლო წუთამდეც უნდა დაებევებინათ გამარჯვება. სტუმართაგან **ჩირო იმობილე** გამოირჩა, რომელიც ბომბარდირთა დავაში დაწინაურდა, მასპინძელთა რიგებში კი ფლორენცისთან ერთად **მატია დესტრომ** გაიბრწყინა. აღვნიშნოთ ისიც, რომ **ჟერვინიომ** ორი საგოლე პასი მიითვალა აქტივში და „ჯალოროსის“ გამარჯვებაში ლომის წილი დაიდო.

„რომა“-“ტორინოს“ შეხვედრას იტალიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ჩეზარე პრანდელი** დაესწრო, რომელმაც არ დამალა, რომ უპირველესად მატია დესტროს და ჩირო იმობილეს აკვირდებოდა. ორივე ფორვარდმა გოლი გაიტანა და მთლიანობაში, კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

**რუდი გარსია** (რომა): *„მეტოქემ დიდი წინააღმდეგობა გაგვიწია, მაგრამ საბედნიეროდ, სასურველ შედეგს მივაღწიეთ. უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენი მიზანი მეორე ადგილის შენარჩუნებაა და ამ გზაზე დიდი ნაბიჯი გადავდგით. „იუვე“ რომ ასეთი ძლიერი არ იყოს, სკუდეტოსთვისაც ვიბრძოლებდით, მაგრამ არსებულ რეალობას თვალი უნდა გავუსწოროთ“.*

## რომას ახალი სტადიონი

ამასობაში, „რომას“ მესვეურებმა ახალი სტადიონის პროექტის პრეზენტაცია მოაწყვეს და მაკეტი წარმოადგინეს. გადაწყვეტილია, რომ 2016-2017 წლების სეზონიდან „ჯალოროსი“ ახალ არენაზე ივასპარეზებს, რომლის აშენება 300 მილიონი ევრო დაჯდება.

მაკეტი „რომას“ პრეზიდენტმა **ჯეიმს პალოტამ** წარადგინა და განაცხადა, რომ არენა 52 ათას გულშემატკივარზე იქნება გათვლილი და ბუნებრივია, თანამედროვე ტექნოლოგიით აღიჭურვება. პალოტას თქმით, სტადიონი სუფთა საფეხბურთო იქნება, ტრიბუნები მინდორთან მაქსიმალურად ახლოს განთავსდება და ტიფოზებს საყვარელი გუნდის მხარდაჭერა საუკეთესო გარემოში მოუწევთ.

**ლაშა წიკლაური**

## წუხანდელი მატჩები

**ატალანტა–ლივორნო 2:0**

**გოლები:** 1:0 დე ლუკა (22), 2:0 დენისი (59).

**ატალანტა (4-4-1-1):** კონსილი – რაიმონდი (85. ნიცა), იეპესი, ლუკინი, დელ გროსო – ესტიგარიბია, ჩიგარინი (65. ბაზელი), ბონავენტურა, კარმონა – დე ლუკა (74. ლივაია) – დენისი.

**ლივორნო (3-5-2):** ბარდი – ჩეკერინი, ვალენტინი, კასტელინი - მბაიე, ჯემიტი (63. ბელფოდილი), ბიაჯანტი (85. სილიგარდი), გრეკო, ბენასი – ემეგარა (77. დუნკანი), პაულინიო.

**გაფრთხილება:** კასტელინი (ლივორნო).

**კუთხური:** 5-3; **ჯარიმა:** 15-19; **თამაშგარე:** 0-1; **კარში დარტყმა:** 7-8(3-3); **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 20 000

**კალიარი–ვერონა 1:0**

**გოლი:** 1:0 ნენე (31).

**კალიარი (4-3-2-1):** ავრამოვი – პიზანო, როსეტინი, ასტორი, აველარი – ვეჩინო, ერიკსონი, ეკდალი – იბრაიმი (70. კოსუ), კაბრერა (54. იბარბო) – ნენე (78. პინილია).

**ვერონა (4-3-3):** რაფაელი – გონსალესი (72. რომულო), მარკესი, მაიეტა, აგოსტინი – სალა, ჩირილიანო, მარკინიო – იანკოვიჩი (82. რაბუშიჩი), მარტინიო (57. იტურბე), ტონი.

**გაფრთხილება:** აველარი, ეკდალი, ერიკსონი, პინილია – სალა, რომულო.

**კუთხური:** 10-5; **ჯარიმა:** 13-12; **თამაშგარე:** 0-1; **კარში დარტყმა:** 13-6(4-2); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 4 000

**კატანია–ნაპოლი 2:4**

**გოლები:** 0:1 საპატა (17), 0:2 კალეხონი (27), 0:3 ენრიკე (40), 0:4 საპატა (43), 1:2 მონძონი (52), 2:4 გომბერი (75).

**კატანია (3-4-1-2):** ანდუხარი – ბელუში, ლეგროტალიე (46. პეტკოვიჩი), გომბერი – პერუცი (83. ფედატო), ისკო, მონძონი, რინაუდო (46. პლაშილი) – ლოდი - კეკო, ბერგესიო.

**ნაპოლი (4-2-3-1):** რეინა – ენრიკე (59. ალბიოლი), ფერნანდესი, ბრიტოსი, რევეილერი – ჯემაილი, ფრელო – კალეხონი, ჰამშიკი (66. რადოშევიჩი), ინსინიე – საპატა (79. იგუაინი).

**გაფრთხილება:** კეკო (კატანია).

**კუთხური:** 6-0; **ჯარიმა:** 13-11; **თამაშგარე:** 5-3; **კარში დარტყმა:** 13-14(10-6); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 14 000

**კიევო–ბოლონია 3:0**

**გოლები:** 1:0 პალოსკი (7-პენ.), 2:0 პალოსკი (78), 3:0 რიგონი (89).

**კიევო (4-3-1-2):** აგაცი – რუბინი (66. სარდო), დაინელი, ცეზარი, ფრეი – რადოვანოვიჩი, რიგონი, გუარენტე – ჰეტემაი (84. ბენტივოლიო) – ობინა (71. ლაზარევიჩი), პალოსკი.

**ბოლონია (4-3-3):** კურჩი – სორენსენი, ნატალი, კერუბინი, მორლეო – გარიჩი (30. ლაქსალტი), პაციენცა (57. იბსონი), კრჰინი – ხრისტოდოლოპულოსი – ბიანკი (57. კრისტალდო), აკვაფრესკა.

**გაფრთხილება:** რიგონი, პალოსკი – კერუბინი, მორლეო, იბსონი.

**კუთხური:** 5-0; **ჯარიმა:** 23-17; **თამაშგარე:** 3-0; **კარში დარტყმა:** 12-7(5-1); **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 11 000

**ფიორენტინა–მილანი 0:2**

**გოლები:** 0:1 მექსე (23), 0:2 ბალოტელი (64).

**ფიორენტინა (4-3-3):** ნეტო – ტომოვიჩი (67. ვოლსკი), გონსალო, სავიჩი, პასკუალი (18. რონკალია) – ფერნანდესი, ამბროზინი, ბორხა ვალერო – ხოაკინი (78. მატოსი), კუადრადო, მატრი.

**მილანი (4-2-3-1):** აბიატი – ბონერა, მექსე, რამი, კონსტანტი – დე იონგი, მუნტარი – ჰონდა, კაკა, ტაარაბტი (79. ბირსა) – ბალოტელი (90. ძაკარდო).

**გაფრთხილება:** გონსალო, ამბროზინი, რონკალია – აბიატი, ბონერა, მექსე, კონსტანტი, დე იონგი, ტაარაბტი, ბალოტელი.

**კუთხური:** 10-3; **ჯარიმა:** 16-29; **თამაშგარე:** 2-0; **კარში დარტყმა:** 7-7(1-3); **ბურთის ფლობა:** 60%-40%.

**მაყურებელი:** 31 000

**ჯენოა–ლაციო 2:0**

**გოლები:** 1:0 ჯილარდინო (65), 2:0 ფეტფატციდისი (83).

**ჯენოა (3-4-1-2):** ბიძარი – მარკეზე, პორტანოვა, ანტონელი - მოტა, კოფიე (57. ფეტფატციდისი), სტურარო, დე ჩელიე (57. კერუბინი) – ბერტოლაჩი – სკული (73. კაბრალი), ჯილარდინო.

**ლაციო (4-3-1-2):** ბერიშა – კონკო, ნოვარეტი, ბიავა, რადუ – ონაზი, გონსალესი (75. ანდერსონი), ლედესმა – მაური (87. პერეა) – კეიტა (70. პოშტიგა), კანდრევა.

**გაფრთხილება:** პორტანოვა, სტურარო - ნოვარეტი.

**გაძევება:** ლედესმა (90. ლაციო).

**კუთხური:** 5-3; **ჯარიმა:** 17-20; **თამაშგარე:** 4-1; **კარში დარტყმა:** 7-13(4-5); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 20 000

**იუვენტუსი–პარმა 2:1**

**გოლები:** 1:0 ტევესი (25), 2:0 ტევესი (32), 2:1 მოლინარო (62).

**იუვენტუსი (3-5-2):** ბუფონი – კასერესი, ბონუჩი, კიელინი – ლიხტშტაინერი (71. ისლა), ვიდალი, პოგბა, პირლო (66. მარკიზიო), ასამოა – ტევესი, ლორენტე (74. კვალიარელა).

**პარმა (3-5-2):** მირანტე – პალეტა, ლუკარელი (60. კასანი), ფელიპე – ბიაბიანი, ობი (61. ასკუა), პაროლო, მოლინარო, მარკიონი (79. სკელოტო) - კასანო, ამაური.

**გაფრთხილება:** ვიდალი, ასამოა, ტევესი – ობი, ასკუა.

**გაძევება:** ამაური (65. პარმა).

**კუთხური:** 6-2; **ჯარიმა:** 14-12; **თამაშგარე:** 4-1; **კარში დარტყმა:** 7-7(5-2); **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 38 000

**სასუოლო–სამპდორია 1:2**

**გოლები:** 0:1 სანსონე (1), 1:1 ლონგი (16), 1:2 ოკაკა (66).

**სასუოლო (4-3-3):** პეგოლო – გაცოლა, კანავარო (61. მენდესი), არიაუდო, ლონგი – ჩიბსა (73. სანაბრია), მანიანელი, მისიროლი – ფლოკარი (56. მაზუჩი), ბერარდი, ძაძა.

**სამპდორია (4-3-3):** და კოშტა – დე სილვესტრი, მუსტაფი, კოსტა (83. გასტალდელო), რეჯინი – ბარნასონი, ობიანგი, ვრსოლეკი (58. ედერი) – რენანი, სანსონე (69. გაბიადინი), ოკაკა.

**გაფრთხილება:** კანავარო (სასუოლო).

**გაძევება:** რეჯინი (88. სასუოლო).

**კუთხური:** 6-1; **ჯარიმა:** 17-21; **თამაშგარე:** 0-4; **კარში დარტყმა:** 11-11(4-5); **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 12 000

**27 მარტი**

ინტერი-უდინეზე 23.45

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 30 | 26 | 3 | 1 | 67-20 | 81 |
| 2. რომა | 29 | 20 | 7 | 2 | 56-15 | 67 |
| 3. ნაპოლი | 30 | 18 | 7 | 5 | 57-32 | 61 |
| 4. ფიორენტინა | 30 | 15 | 6 | 9 | 49-32 | 51 |
| 5. ინტერი | 29 | 12 | 11 | 6 | 47-21 | 47 |
| 6. პარმა | 29 | 12 | 11 | 6 | 47-34 | 47 |
| 7. ატალანტა | 30 | 13 | 4 | 13 | 35-39 | 43 |
| 8. ლაციო | 30 | 11 | 9 | 10 | 37-38 | 42 |
| 9. სამპდორია | 30 | 11 | 7 | 12 | 40-43 | 40 |
| 10. ვერონა | 30 | 12 | 4 | 14 | 43-52 | 40 |
| 11. ტორინო | 30 | 10 | 9 | 11 | 43-39 | 39 |
| 12. მილანი | 30 | 10 | 9 | 11 | 44-43 | 39 |
| 13. ჯენოა | 30 | 10 | 9 | 11 | 34-36 | 39 |
| 14. უდინეზე | 29 | 10 | 4 | 15 | 33-42 | 34 |
| 15. კალიარი | 30 | 7 | 11 | 12 | 28-39 | 32 |
| 16. კიევო | 30 | 7 | 6 | 17 | 26-43 | 27 |
| 17. ბოლონია | 30 | 5 | 11 | 14 | 24-46 | 26 |
| 18. ლივორნო | 30 | 6 | 6 | 18 | 32-56 | 24 |
| 19. სასუოლო | 30 | 5 | 6 | 19 | 29-59 | 21 |
| 20. კატანია | 30 | 4 | 8 | 18 | 23-54 | 20 |

**ბომბარდირები:** 18 - კარლოს ტევესი (იუვენტუსი); 17 – ჩირო იმობილე (ჯენოა); 14 – ჯუზეპე როსი (ფიორენტინა), გონსალო იგუაინი (ნაპოლი); 13 – ლუკა ტონი (ვერონა), როდრიგო პალასიო (ინტერი), ალბერტო ჯილარდინო (ჯენოა); 12 – დომენიკო ბერარდი (სასუოლო).

**მომდევნო ტური**

**29 მარტი:** ბოლონია-ატალანტა, მილანი-კიევო;

**30 მარტი:** სასუოლო-რომა, ტორინო-კალიარი, სამპდორია-ფიორენტინა, ვერონა-ჯენოა, ლაციო-პარმა, ნაპოლი-იუვენტუსი;

**31 მარტი:** უდინეზე-კატანია, ლივორნო-ინტერი.

**ლაშა წიკლაური**

კვირა ციფრებში

# დერბი, დებიუტი და ჩამწარებული იუბილე

**კვირის დღევანდელ მიმოხილვაში ძველ სახეებთან ერთად, ახალ მოთამაშესაც შევხვდებით. ისა ბარაჯის, ლიონელ მესის, არსენ ვენგერის, ანტონიო დი ნატალეს გარდა, ზალცბურგის „რედ ბულის“ შესახებაც ვისაუბრებთ...**

**1 000** - მატჩი ჩაატარა **არსენ ვენგერის** ხელმძღვანელობით „არსენალმა“ შაბათს. ფრანგის საიუბილეო შეხვედრა დაუვიწყარი გამოდგა, ოღონდ უარყოფითი მიზეზით - „მეთოფეებმა“ „ჩელსისთან“ ისტორიაში ყველაზე დიდი ანგარიშით წააგეს - 0:6. ამ წაგებით, „არსენალმა“ ვენგერის ეპოქის ანტირეკორდიც გაიმეორა. აქამდე, ფრანგის ხელში ლონდონელებს 6-ბურთიანი სხვაობით მხოლოდ ერთხელ, 2011 წლის აგვისტოში, „მანჩესტერ იუნაიტედთან“ ჰქონდათ წაგებული - 2:8. ლონდონში კი „არსენალს“ 6 გოლი ბოლოს 1960 წელს ჰქონდა გაშვებული, როდესაც 0:6 „ვესტ ჰემთან“ წააგო. გამარჯვება ისტორიული იყო **ჟოზე მოურინიოსთვისაც**, ვისაც ასეთი ანგარიშით პრემიერლიგაში აქამდე არასდროს ემარჯვა.

**6** გოლი გაიტანა „ლივერპულმაც“, **ლუის სუარესმა** კი ჰეთთრიქი შეასრულა. ურუგვაელმა 28 გოლი დააგროვა და რობი ფაულერის საკლუბო რეკორდი (სეზონში გატანილი გოლების მიხედვით) გაიმეორა.

**324** - მატჩი სერია A-ში - **ანტონიო დი ნატალემ** „უდინეზეს“ რეკორდი დაამყარა. 36 წლის ფორვარდმა **ვალერიო ბერტოტოს** შედეგი გააუმჯობესა და ეს ფაქტი ჩვეულ სტილში - გოლით აღნიშნა. ეს ბურთი „ტოტოსთვის“ 186-ე იყო და ახლა, ყველა დროის ბომბარდირთა დავაში, **ალესანდრო დელ პიეროს და ჯუზეპე სინიორის** ის მხოლოდ ორ-ორი გოლით ჩამორჩება.

დასრულდა „ინტერის“ 6-მატჩიანი წაუგებელი სერია, რომელიც „ატალანტამ“ დაამარცხა. ბერგამოელებმა 1995 წლის დეკემბრის შემდეგ პირველად შეძლეს ჩემპიონატში ზედიზედ ოთხი გამარჯვების მოპოვება. „ვერონამ“ კი „სამპდორიასთან“ 0:5 წააგო, მიუხედავად იმისა, რომ გუნდმა მეტოქის კარისკენ 20-ჯერ დაარტყა. ვერონელების უგოლო სერია უკვე ექვსი საათი და 45 წუთია გრძელდება.

**27** - ქულით და 70 გოლით უკეთესმა შედეგმა, ვიდრე მეორე ადგილზე მყოფ „გრიოდიგს“ აქვს, საშუალება მისცა „ზალცბურგს“, რომ სეზონის დასრულებამდე 8 ტურით ადრე, ავსტრიის ჩემპიონის ტიტული დაებრუნებინა. ამაზე ადრე ქვეყნის ისტორიაში ჩემპიონის ტიტული არავის მოუპოვებია. პირველობა „რედ ბულმა“ ტრადიციულად, ბევრი გოლით აღნიშნა და საჩემპიონო შეხვედრაში „ნოიშტადტს“ 5:0 მოუგო. 2007 წლიდან მოყოლებული „ზალცბურგი“ ავსტრიის ჩემპიონი მეხუთედ გახდა, კიდევ სამი ტიტული კი კლუბმა ზალცბურგის „აუსტრიას“ სახელით 90-იან წლებში მოიპოვა. უფრო მეტჯერ, ქვეყნის ჩემპიონები მხოლოდ ვენის „რაპიდი“ (32), ვენის „აუსტრია“ (24) და ინსბრუკის „ვაკერი“ (10) ხდებოდნენ.

**21** - გოლი აქვს გატანილი „ელ კლასიკოში“ **ლიონელ მესის** და ის ამ დაპირისპირების ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. **ალფრედო დი სტეფანოს**, რომელსაც 18 გოლი გაუტანია, მესიმ კვირას, „სანტიაგო ბერნაბეუზე“ შესრულებული ჰეთთრიქის წყალობით გადაასწრო. „რეალთან“ გასვლით შეხვედრაში სამი გოლი „ბარსას“ ფეხბურთელს აქამდე არ გაეტანა. გარდა ამისა, ამ გოლების წყალობით მესიმ პრიმერა დივიზიონის ყველა დროის ბომბარდირებში **უგო სანჩესს** (234 გოლი) გადაასწრო და 236 გოლით მეორე ადგილზე დამკვიდრდა. ლიდერ **ტელმო სარას** არგენტინელი მხოლოდ 15 გოლით ჩამორჩება.

თავისი გოლი გაიტანა **კრიშტიანო რონალდომაც**, რომელსაც „რეალის“ მაისურით 243 ბურთი დაუგროვდა. პორტუგალიელმა კლუბის ბომბარდირებში **ფერენც პუშკაში** ჩამოიტოვა და მეოთხე ადგილზე გადავიდა. აღსანიშნავია, რომ ლა ლიგაში, „სამეფო კლუბს“ აქამდე არ წაეგო ის მატჩი, რომელშიც რონალდო გოლს იტანდა. ეს საოცარი სერია 101 მატჩის განმავლობაში გრძელდებოდა.

**2** - გოლი გაიტანა სამ წუთში 18 წლის **ისა ბარაჯიმ** და სადებიუტო შეხვედრაში საკუთარ გუნდს გამარჯვება მოუტანა. „ვალანსიენთან“ გამართულ მატჩში ბარაჯიმ მოედანზე ბოლო 36 წუთი გაატარა და შეხვედრის დასრულებამდე ორი წუთით ადრე პირველი გოლიც გაიტანა, რასაც რამდენიმე წუთში მეორეც მიაყოლა. „აიაჩო“ ბარაჯის გმირობამდე 1:2-ს აგებდა, საბოლოოდ კი კორსიკულმა გუნდმა 3:2 მოიგო.

„ნანტის“ ფეხბურთელი **კოფი ჯიჯი** გახდა ამ სეზონის პირველი მოთამაშე, რომელმაც ლიგა 1-ის შეხვედრაში ორივე გუნდის კარში გაიტანა, მისმა კლუბმა კი „მონპელიეს“ 2:1 მოუგო. „მონპელიეს“ წაგების მთავარი მიზეზი ორი გაძევება იყო. აღსანიშნავია, რომ ამ გუნდის ფეხბურთელებს უკვე 13 წითელი ბარათი აქვთ მიღებული. ამ მხრივ, 6-6 გაძევებით მეორე ადგილზე „ბორდო“ და „ბასტია“ არიან.

**ტატო ბაციკაძე**



არსენ ვენგერს იუბილე ჩაუმწარეს

ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ეტაპი. V ტური

**IV ჯგუფი**

**სამორა–ნასიონალი (ა) 2:0**

გოლები: 1:0 ფალკონი (58), 2:0 მურილიო (55)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ატლ. მინეირო | 4 | 2 | 2 | 0 | 6-4 | 8 |
| 2. სამორა | 5 | 2 | 1 | 2 | 6-5 | 7 |
| 3. ნასიონალი (ა) | 5 | 1 | 2 | 2 | 5-8 | 5 |
| 4. სანტა ფე | 4 | 1 | 1 | 2 | 7-7 | 4 |

**VIII ჯგუფი**

**სანტოს ლაგუნა–პენიაროლი 4:1**

გოლები: 0:1 ტოლედო (1), 1:1 კინტერო (9), 2:1 ოროსკო (59), 3:1 კინტერო (78), 4:1 რენტერია (79)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სანტოს ლაგუნა | 5 | 4 | 1 | 0 | 11-2 | 13 |
| 2. არსენალი | 4 | 2 | 0 | 2 | 5-3 | 6 |
| 3. პენიაროლი | 5 | 1 | 1 | 3 | 4-9 | 4 |
| 4. დეპ. ანსოატეგი | 4 | 0 | 2 | 2 | 2-8 | 2 |

**ბომბარდირები:** 4 - ხულიო დოს სანტოსი (სერო პორტენიო), ფალკონი (სამორა), ფელიპე ფედოსი (დეფენსორი); 3 - ევერტონი (ფლამენგო), ჟო (ატლეტიკო მინეირო), ესკალადა (ემელეკი), ხ. ფერეირა (ბოტაფოგო), რიკარდო გულარტი (კრუზეირო), ო. პერალტა (სანტოს ლაგუნა), ო. პერესი (სანტა ფე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამწვრთნელო საკითხი

# სპარტაკი მწვრთნელს ვერ პოულობს



ვალერი კარპინის შემცვლელის პოვნა „სპარტაკის" ხელმძღვანელობას გაუჭირდა

იდუმალებით არის მოცული მოსკოვის „სპარტაკის" გარშემო შექმნილი სიტუაცია. თითქოს გუნდი **სტანისლავ ჩერჩესოვს** უნდა ჩაებარებინა, იგი „სახალხო გუნდის" პრეზიდენტსაც შეხვდა, მაგრამ მხარეები რალაცაზე ვერ შეთანხმებულან და რუსულ პრესაში ისიც კი დაიწერა, „სპარტაკის" ოფისიდან გამოსული ჩერჩესოვის მანქანას, უკან სხვა ავტომობილი აედევნა და მიყვებოდა, რადგან გაეგო სად წავიდოდა ჩერჩესოვიო. ამ უკანასკნელმა ისევ ჩვეულად ჩაატარა ვარჯიში „ამკართან" ერთად. შემდეგ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ჩერჩესოვი დედაქალაქის მეორე კლუბს „დინამოს" უნდა, მაგრამ კლუბის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, არანაირი მოლაპარაკება არ გვქონიაო.

შემდგომ, ჩერჩესოვი „რუბინს" დაუკავშირეს, მაგრამ ყაზანელებმაც შორს დაიჭირეს თავი. მოკლედ, ერთი რამ ნათელია, 50 წლის სპეციალისტი ახლავე თუ არა, სეზონის ბოლოს აუცილებლად გამოიცვლის გუნდს, მას მსურველები არ აკლია და ამბობენ, რომ მისი ახალი კლუბი მაინც „დინამო" იქნება. აი „სპარტაკი" კი ისევ უმწვრთნელოდაა, უფრო სწორად, დროებითი თავკაცის **დიმიტრი გუნკოს** ამარა. თურმე სპარტაკელები „შახტარის" რუმინელ დამრიგებელს **მირჩა ლუჩესკუსაც** შეეხმიანენ, მაგრამ მისგანაც უარი მიიღეს.

## ამბები

### კრიშიტო ფიორენტინასაც მოუნდა

„რაი სპორტის" ცნობით, **დომენიკო კრიშიტოს** თვალი ფლორენციის „ფიორენტინამ" დაადგა. აქამდე, იტალიის ნაკრების მცველით „ნაპოლი" იყო დაინტერესებული, მაგრამ ახლა ჰორიზონტზე „იებიც" გამოჩნდნენ. კრიშიტო 2011 წლიდან „ზენიტში" თამაშობს, მაგრამ ამ სეზონს კარგად ვერ ატარებს და კლუბის ხელმძღვანელობა, ფანებითურთ უკმაყოფილოა მისი თამაშით. რუსეთში არც თავად 27 წლის ფეხბურთელი გრძნობს თავს ბედნიერად და სამშობლოში დაბრუნება უნდა.

### დაუმი გაუშვეს

**კრისტოფ დაუმის** მორიგი თურქული თავგადასავალი ძალიან ხანმოკლე გამოდგა. 2013 წლის აგვისტოში „ბურსაში" მისული გერმანელი მწვრთნელი ისევ უმუშევარია. კლუბის ხელმძღვანელობას შედეგები არ მოეწონა და 60 წლის დაუმი სამსახურიდან გაათავისუფლა. თურქეთის ჩემპიონატში „ბურსა" ახლა 26 ტურის მერე მოგროვილი 34 ქულით მე-12 ადგილზე იმყოფება, მაგრამ, მაგალითად, მე-5 ადგილოსანს მხოლოდ 5 ქულით ჩამორჩება.

### გურპეგის სეზონი დასრულდა

„ბილბაოს" ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელი **კარლოს გურპეგი** ამ სეზონში ველარ ითამაშებს. „ხეტაფესთან" შეხვედრაში მიღებული ტრავმა საკმაოდ სერიოზული გამოდგა და 33 წლის ნახევარმცველს ოპერაცია სჭირდება. გეტყვით, რომ მიმდინარე სეზონში ვეტერანმა 27 მატჩში ჰქონდა მონაწილეობა მიღებული.

### ჩელსი დიეგო კოშტას არ ეშვება

ლონდონის „ჩელსი" **დიეგო კოშტას** არ ივიწყებს და როგორც ამბობენ, ზაფხულში 30 მილიონ ფუნტსაც გადაიხდის ბრაზილიელ-ესპანელის ხელში ჩასაგდებად. თანაც, „ლურჯებმა" იციან, რომ „ათლეტებს" **ფერნანდო ტორესის** დაბრუნება სურთ და შესაძლოა, ეს ფაქტორიც გამოიყენონ. ლონდონელებს დიეგო კოშტას გამოსყიდვა იანვარშიც უნდოდათ, მაგრამ ტრანსფერი თავად ფეხბურთელმა არ ისურვა. ვნახოთ, რას გადაწყვეტს ამჯერად 25 წლის ფორვარდი.

### მილანი რაიოლას ებრძვის

იტალიურმა „მილანმა" **მარიო ბალოტელის** თავის აგენტთან, **მინო რაიოლასთან** თანამშრომლობის განყვეტა მოსთხოვა. „როსონერის" აზრით, ერთ-ერთი ყველაზე პრინციპული და გაქნილი საფეხბურთო აგენტი ბალოს „ტვინს ურევს". შეგახსენებთ, რომ რაიოლა ასევე **პოლ პოგბას, მარეკ ჰამშიკისა და ზლატან იბრაჰიმოვიჩის** აგენტია. ახლა ყველაფერი თავად ბალოტელიზეა დამოკიდებული. რა თქმა უნდა, შეთანხმების შეწყვეტის შემთხვევაში რაიოლა სოლიდურ კომპენსაციას მიიღებს.

### მენეზი იუვენტუსს აქებს

„პარი სენ-ჟერმენის" შემტევს **ჟერემი მენეზს** ისევ ტურინის „იუვენტუსს" უკავშირებენ და ისიც თადარიგს იჭერს... 26 წლის ფრანგმა „ბებერი ქალბატონისადმი" საქებარი სიტყვები არ დაიშურა.

*„მე მართლაც ძალიან მომწონს „იუვენტუსი", რომელიც დამსახურებულად ითვლება ერთ-ერთ უძლიერეს გუნდად. ტურინელთა რიგებში ბევრი ნამდვილი ჩემპიონია და ამ კლუბს უახლოეს წლებში ჩემპიონთა ლიგაზე დომინირება უნერია. „რომაში" გატარებული წლები ჩემთვის ძალიან სასარგებლო იყო. კარგად ვიცნობ სერია A-ს და ვიცი იტალიური ენა. აკლიმატიზაცია არ გამიჭირდება. ახლა მთავარი შესაბამისი გუნდის პოვნაა. ვნახოთ, რა მოხდება ივნისში"* - განაცხადა მენეზმა.

### სქოულზს ფელაინი არ მოსწონს

ინგლისის ნაკრებისა და „მანჩესტერ იუნაიტედის" ყოფილი ნახევარმცველი **პოლ სქოულზი მარუან ფელაინის** თამაშითაა უკმაყოფილო. შეგახსენებთ, რომ ბელგიელი **დევიდ მოიესმა** „ევერტონიდან" მოიყოლა, ხოლო სქოულზი გუნდიდან სერ **ალექს ფერგიუსონთან** ერთად წავიდა.

*„იგი იდიალური თამაშისგან შორსაა. ამას უნდა შევეგუოთ. ვიცი, რომ ტრავმა ჰქონდა და ამის გამო ბევრი მატჩი გაუცდა, მაგრამ სიმართლე ითქვას, იმ თანხის გათვალისწინებით, რომელიც მასშია გადახდილი, ცოტა მეტს ველოდი - რამდენიმე გოლს მაინც. დიახ, გასაკვირს ვერაფერს ვერ ვხედავ იმაში, რომ ცენტრალური ნახევარმცველისგან, რომელშიდაც 27 მილიონი ფუნტია გადახდილი, რამდენიმე გოლს ველოდი"* - ამბობს სქოულზი.

### სიმეონეს რეალზე ეცინება

მადრიდის „ატლეტიკოს" მთავარ მწვრთნელს **დიეგო სიმეონეს** სასაცილოდ არ ჰყოფნის ის კომენტარები, რომლებიც „რეალის" წარმომადგენლებმა **ალბერტო უნდიანო მალენკოს** მისამართით გააკეთეს „ბარსელონასთან" წაგებული მატჩის მერე. „ჩოლომ" თავისი გუნდის შანსებზეც ისაუბრა.

*„რეალის" ბრალდებებზე უბრალოდ გამეცინა. თუმცა, როგორც „რეალი", ასევე „ბარსელონა" ფავორიტებად რჩებიან. ჩემპიონატის დამთავრებამდე 2-3 მატჩი რომ რჩებოდეს ყველაფერი სხვაგვარად იქნებოდა. ყველა დარჩენილი შეხვედრა უნდა მოვიგოთ და ეს ადვილი არ იქნება. შევხედოთ გავუძლებთ თუ არა იმ ზეწოლას, რომელიც ლიდერებზეა ხოლმე. ბოლო 40 წლის განმავლობაში „ატლეტიკო" მხოლოდ ერთხელ გახდა ჩემპიონი... ვნახოთ, რა სიტუაცია იქნება 5 ტურით ადრე და მერე ვისაუბროთ შანსებზე"* - აღნიშნა სიმეონემ.

### აიაქსი უორისს ეპატიჟება

**აბდულ მაჯიდ უორისით** რომ პრემიერლიგის გუნდები არიან დაინტერესებულნი, უკვე გაუწყეთ. ახლა კი „ვალანსიენში" მოთამაშე და მოსკოვის „სპარტაკის" საკუთრებაში მყოფი თავდამსხმელის გადაბირება ამსტერდამის „აიაქსმაც" მოინდომა. ჰოლანდიური კლუბის სკაუტები ასევე რამდენჯერმე დასწრებიან 22 წლის განელის თამაშს და შეთავაზებაც გაუმზადებიათ. ასე რომ, „ევერტონს", „ფულჰემსა" და „ნიუკასლს" გააქტიურება მოუწევთ, თორემ „აიაქსი" ძალიან ჩქარობს.

### ვის უნდა შოუ და ლალანა?

„საუთჰემპტონის" ახალგაზრდა ტალანტებზე ნადირობაა დაწყებული. ამ ეტაპზე ახალი მსურველები **ლუკ შოუსა** და „წმინდანების" კაპიტან **ადამ ლალანსას** გამოუჩნდნენ. შეგახსენებთ, რომ შოუს „მანჩესტერ იუნაიტედი" უტრიალებდა, მაგრამ „საუთჰემპტონმა" „წითელი ეშმაკები" უარით გაისტუმრა და 18 წლის ფეხბურთელთან ახალი კონტრაქტი გააფორმა. ახლა კი შოუს თვალი „რეალმა" დაადგა და მადრიდელები მზად არიან ჯიბეზე ხელი გვარიანად გაიკრან. რაც შეეხება ლალანას, მისი წაყვანა ლონდონის „ჩელსის" მოუნდა. თუ „საუთჰემპტონი" რომელიმე ფეხბურთელს შეელევა არანაკლებ 15-20 მილიონი ევროს სანაცვლოდ.

### ეტოო აზარის აღზრდითაა დაკავებული

„ჩელსის" ნიჭიერმა ბელგიელმა შემტევმა ნახევარმცველმა **ედენ აზარმა** განაცხადა, რომ მისი თანაკლუბელი **სამუელ ეტოო** მუდმივად ამხნევებს და ფსიქოლოგიურად აძლიერებს.

*„ეტოო ყოველდღე მარწმუნებს, რომ მე შემიძლია მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი გავხდე. მატჩებამდე იგი ჩემთან მოდის და მეუბნება, რომ საკუთარი თამაში უნდა ვაჩვენო და სურს, რომ ყველა შეხვედრაში გოლი გავიტანო"* - თქვა 23 წლის აზარმა.

### ვიდალის მისია

**არტურო ვიდალი** ამბობს, რომ „ბარსელონაში" და „რეალში" მის შესაძლო გადასვლასთან დაკავშირებულ ინფორმაციებს არანაირ ყურადღებას არ აქცევს და ტურინში რჩება. რატომ?

*„ჭორებს ყურს არ ვუგდებ. ჩემი ოჯახი ტურინში ბედნიერია და რამდენჯერმე უკვე აღვნიშნე, რომ აქ ყველაფერი მაკმაყოფილებს და არსად წასვლას არ ვაპირებ. „იუვენტუსში" ვრჩები, რადგან პრეზიდენტმა ანდრეა ანიელიმ ჩემპიონთა ლიგის მოგება დამავალა"* - აღნიშნა 26 წლის ჩილელმა ნახევარმცველმა.

### ბენიტესის კადრი

„ნაპოლიმ" შესაძლოა მადრიდის „რეალის" მცველი **ალვარო არბელოა** შეიძინოს. **რაფაელ ბენიტესი** უკანა ხაზის გაძლიერებას გეგმავს და ამის გაკეთებას კიდევ ერთი „თავისი კაცით" აპირებს. შეგახსენებთ, რომ ბენიტესსა და არბელოას ერთად „ლივერპულში" აქვთ ნამუშევარი. „ვეზუვიანი" მზადაა არბელოას წელიწადში 2 მილიონი ევრო გადაუხადოს, ხოლო „რეალს" მის სანაცვლოდ 7-8 მილიონი.

### დემბა ბას იტალიაში უნდა

ლონდონის „ჩელსის" ფორვარდი **დემბა ბა** არ მალავს, რომ გუნდის გამოცვლა უნდა. როგორც ირკვევა, 28 წლის სენეგალელს გული იტალიისკენ მიუწევს.

*„სათამაშო პრაქტიკა მაკლია. ფეხბურთელი ვარ და მუდმივად თამაში მინდა. იმედია, ამას მომავალ სეზონში მოვახერხებ. ინგლისში დარჩენაზე უარს არ ვიტყოდი, მაგრამ სხვა წინადადებებსაც განვიხილავ, კარგი იქნებოდა, იტალიაში მეცადა ბედი. სერია A-ში ბევრი საინტერესო გუნდია, რომლებიც კარგ ფეხბურთს თამაშობენ"* - თქვა ბამ.

**გიორგი კაკაბაძე**

## ესპანეთი

### ლა ლიგა. XXX ტური

#### ბარსელონა-სელტა 3:0

**გოლები:** 1:0 ნეიმარი (6), 2:0 მესი (30), 3:0 ნეიმარი (67)

**ბარსელონა** (4-3-3): ვალდესი (23. პინტო) – ადრიანო, ბარტრა, მასკერანო, ალბა – ა. სონგი, ფაბრეგასი, ინიესტა (46. სერხი რობერტო) – ა. სანჩესი, მესი, ნეიმარი (71. პედრო)

**სელტა** (4-3-2-1): იოელი – უგო მალიო, კაბრალი (38. ინიგო ლოპესი), აურტენეჩე, ჯონი კასტრო – მადინდა, ფონტასი (74. ბორხა ოუბინია), ალექს ლოპესი – ა. ფერნანდესი, ფ. ორელიანა (64. ბერმეხო) – სანტი მინა

**გაფრთხილება:** ადრიანო, ალბა – ა. ფერნანდესი, უგო მალიო

**კუთხური:** 4-6; **ჯარიმა:** 11-8; **თამაშგარე:** 6-2; **კარში დარტყმა:** 14-8 (6-6); **ბურთის ფლობა:** 67%-33%

**მაყურებელი:** 67 162

#### ვალეკანო-ოსასუნა 1:0

**გოლი:** 1:0 ლარივეი (90-პენ)

**ვალეკანო** (4-2-3-1): რუბენი – არბილია, ზე კასტრო, გალვესი, რაცი – საულ ნიგესი, ტრაშორასი – რუბენ როჩინა (67. ხოსე კარლოსი), ბუენო (67. ხ. ვიერა), იაგო ფალკე (90. ლონგო) – ლარივეი

**ოსასუნა** (4-2-3-1): ანდრეს ფერნანდესი – ოიერი, არიბასი, ლოტიე, დამია – პუნიალი, ფ. სილვა (77. ხ. აკუნია) – სეხუდო, ლოე, რობერტო ტორესი (86. ჟოან ორიოლი) – ორიოლ რიერა

**გაფრთხილება:** გალვესი, ლონგო – ფ. სილვა, დამია, არიბასი, პუნიალი

**კუთხური:** 9-3; **ჯარიმა:** 11-12; **თამაშგარე:** 6-3; **კარში დარტყმა:** 14-6 (4-2); **ბურთის ფლობა:** 64%-36%

**მაყურებელი:** 10 330

#### სევილია-რეალი 2:1

**გოლები:** 0:1 კრიშტიანო რონალდო (14), 1:1 ბაკა (19), 2:1 ბაკა (72)

**სევილია** (4-2-3-1): ბეტუ – კოკე, ფასიო, პარეხა, ა. მორენო – მბია, იბორა – ხ. რეიესი (76. ფ. ნავარო), რაკიტიჩი, მარინი (71. ვიტოლო) – ბაკა (83. გამეირო)

**რეალი** (4-3-3): დიეგო ლოპესი – დანიელ კარვახალი, ვარანი, პეპე, მარსელო – მოდრიჩი (90. მორატა), ჩაბი ალონსო, ილიარამენდი (67. ისკო) – ბეილი, ბენზემა, კრიშტიანო რონალდო

**გაფრთხილება:** იბორა, მარინი, პარეხა – ბეილი, ვარანი, ჩაბი ალონსო

**კუთხური:** 2-9; **ჯარიმა:** 13-13; **თამაშგარე:** 1-4; **კარში დარტყმა:** 12-26 (3-8); **ბურთის ფლობა:** 31%-69%

**მაყურებელი:** 38 100

#### ატლეტიკო-გრანადა 1:0

**გოლი:** 1:0 დიეგო კოშტა (63)

**ატლეტიკო** (4-4-2): კურტუა – ხუანფრანი, მირანდა, გოდინი, ე. ინსუა – არდა თურანი (60. დიეგო), ტიაგო, გაბი, კ. როდრიგესი (56. ხ. სოსა) – ვილია (70. რაულ გარსია), დიეგო კოშტა

**გრანადა** (4-3-2-1): რობერტო – ნიომი, კოეფი (81. იგალო), მურილიო, ანგულო (46 ფულკიე) – რესიო, იტურა, ფრან რიკო – რიკი (73. ბუონანოტე), ბრაჰიმი – ელ-არაბი

**გაფრთხილება:** გაბი – ანგულო, კოეფი, ბრაჰიმი

**კუთხური:** 14-4; **ჯარიმა:** 12-12; **თამაშგარე:** 7-0; **კარში დარტყმა:** 16-7 (5-0); **ბურთის ფლობა:** 48%-52%

**მაყურებელი:** 41 200

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ატლეტიკო | 30 | 23 | 4 | 3 | 67-21 | 73 |
| 2. ბარსელონა | 30 | 23 | 3 | 4 | 88-25 | 72 |
| 3. რეალი | 30 | 22 | 4 | 4 | 81-32 | 70 |
| 4. ბილბაო | 30 | 16 | 8 | 6 | 52-32 | 56 |
| 5. სევილია | 30 | 14 | 8 | 8 | 55-45 | 50 |
| 6. სოსიედადი | 29 | 13 | 7 | 9 | 52-43 | 46 |
| 7. ვილიარეალი | 29 | 13 | 6 | 10 | 49-36 | 45 |
| 8. ესპანიოლი | 30 | 11 | 7 | 12 | 34-35 | 40 |
| 9. ვალენსია | 29 | 11 | 6 | 12 | 41-40 | 39 |
| 10. ლევანტე | 29 | 9 | 10 | 10 | 26-35 | 37 |
| 11. გრანადა | 30 | 10 | 4 | 16 | 28-40 | 34 |
| 12. სელტა | 30 | 9 | 6 | 15 | 33-44 | 33 |
| 13. ვალეკანო | 30 | 10 | 3 | 17 | 34-63 | 33 |
| 14. მალაგა | 30 | 8 | 8 | 14 | 29-38 | 32 |
| 15. ელჩე | 30 | 7 | 10 | 13 | 24-41 | 31 |
| 16. ალმერია | 29 | 8 | 5 | 16 | 31-55 | 29 |
| 17. ოსასუნა | 30 | 8 | 5 | 17 | 25-51 | 29 |
| 18. ხეტაფე | 29 | 7 | 7 | 15 | 26-46 | 28 |
| 19. ვალიადოლიდი | 29 | 5 | 12 | 12 | 31-49 | 27 |
| 20. ბეტისი | 29 | 4 | 7 | 18 | 23-58 | 19 |

**ბომბარდირები:** 27 – კრიშტიანო რონალდო (რეალი); 24 – დიეგო კოშტა (ატლეტიკო); 22 – ლიონელ მესი (ბარსელონა); 17 – ალექსის სანჩესი (ბარსელონა), ქარიმ ბენზემა (რეალი); 15 – ანტუან გრიზმანი (სოსიედადი); 14 – პედრო (ბარსელონა), კარლოს ბაკა (სევილია)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველაზე შემოსავლიანი ფეხბურთელები

# ჩვენი ძვირფასი ლეო



ლიონელ მესიმ სპორტიდან ბექჰემის წასვლით ისარგებლა და მსოფლიოში ყველაზე შემოსავლიანი ფეხბურთელი გახდა

„ფრანს ფუტბოლმა" ყველაზე შემოსავლიანი ფეხბურთელების ტრადიციული რეიტინგი გამოაქვეყნა. 2013 ფინანსური წლის მონაცემებით, მსოფლიოს 20-მა ყველაზე შემოსავლიანმა ფეხბურთელმა ჯამში საკლუბო და სარეკლამო კონტრაქტებით 391,8 მილიონი ევრო იშოვეს. ეს, რა თქმა უნდა, მსოფლიოს ახალი რეკორდია.

ახალ-ახალი ტრანსფერების წყალობით, მდიდარი ფეხბურთელების ტოპსია სულ უფრო ხშირად იცვლება და დინამიური ხდება. სწორედ ამით აიხსნება, რომ „ფრანს ფუტბოლის" რეიტინგში ერთბაშად 4 ფეხბურთელი მოხვდა ლიგა 1-დან, მაშინ, როცა 15 წლის განმავლობაში სულ 5 ფეხბურთელი იყო ოცეულში საფრანგეთის ჩემპიონატიდან: **ფაბიენ ბარტეზი** (1999), **ნიკოლა ანელკა** (2001), **კრისტიან ვიერი** (2006), **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** (2013) და **დევიდ ბექჰემი** (2013).

რას ვიზამთ, მსოფლიოში ყველაფერი სწრაფი ტემპებით იცვლება, **ლიონელ მესი** (ბარსელონა) კი საუკეთესოა. ალსანიშნავია, რომ 26 წლის არგენტინელი „საბაზო ხელფასით" მხოლოდ მეექვსეა მსოფლიოში და მეორე (!) კლუბში. 2013 წელს მან შემოსავალს კიდევ 6 მილიონი ევრო დაუმატა (წინა წელთან შედარებით) და 40-მილიონიან ზღვარს გაცდა (41 მილიონი ევრო 2013 წელს).

მეორე ადგილზე **კრიშტიანო რონალდოა** (რეალი), რომელსაც მსოფლიოში ყველაზე მაღალი ხელფასი ჰქონდა ფეხბურთელთა შორის - წელიწადში 17 მილიონი ევრო! ეს მას პირველობისთვის არ ეყო, რადგან რეკლამებით „მხოლოდ" 22 მილიონი ევრო იშოვა. ჯამში კრიშტიანოს შემოსავალმა 2013 წელს 39,5 მილიონ ევროს მიაღწია.

მესამე ადგილზეა **ნეიმარი** 29 მილიონი ევრო წელიწადში. გეტყვით, რომ ნეიმარის ხელფასი „ბარსელონაში" 2013 წელს მესის ხელფასზე 2,5 მილიონი ევროთი მეტი იყო.

მეოთხე ადგილზე **უეინ რუნია** (მანჩესტერ იუნაიტედი) - 24 მილიონი ევრო. მომავალ რეიტინგში რუნი კიდევ უფრო წინ წაიწევს, რადგან ახალი კონტრაქტით წელიწადში 18,9 მილიონ ევროს მიიღებს ხელფასის სახით.

**ზლატან იბრაჰიმოვიჩი**, რომლის წლიური შემოსავალი ხელფასით და სარეკლამო საქმიანობით 23,5 მილიონ ევროს შეადგენს.

ათეულის სხვა წევრები: 6. **რადამელ ფალკაო** (მონაკო) - 21,2 მილიონი ევრო; 7. **სერხიო აგუერო** (მანჩესტერ სიტი) - 19,7; 8. **ტიაგო სილვა** (პარი სენ-ჟერმენი) - 17; 9. **ედენ აზარი** (ჩელსი) - 16,8; 10. **ფრანკ რიბერი** (ბაიერნი) - 16,5.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

სტატისტიკა

# ხუთ სეზონში დახარჯული 12,5 მილიარდი

„ფეხბურთის ობსერვატორიამ" გამოაქვეყნა იმ კლუბთა სია, რომელთაც ყველაზე მეტი შემოსავალი მიიღეს ტრანსფერებიდან 2008/09 წლების სეზონიდან მოყოლებული, დღემდე. სიას სათავეში ლონდონური „ტოტენჰემი" უდგას - ხუთი სეზონის განმავლობაში „ტოტენჰემმა" გაყიდვებისგან 322,1 მილიონი ევრო მიიღო. ბუნებრივია, აქედან ლომის წილი **გარეთ ბეილის** „რეალში" გაყიდვაზე მოდის - 94 მილიონი ევრო. მეორე ადგილზეა მადრიდის „რეალი" - 303,7 მილიონი ევრო, მესამეზე - „პორტუ" (282,7 მლნ).

* ამ ხნის განმავლობაში 30-მა კლუბმა მიიღო ტრანსფერებიდან 100 მილიონი ევრო და მეტი.



მარტო გარეთ ბეილის გაყიდვით „ტოტენჰემმა" ბიუჯეტი 94 მილიონით შეივსო

* 30-დან მხოლოდ 5 კლუბი არ არის ტოპ-5 ლიგის წარმომადგენელი. საუკეთესო ათეულში კი ასეთი მხოლოდ „პორტუა", რომლის სატრანსფერო მარიფათი საქვეყნოდ ცნობილია. სულ 3 კლუბი არ წარმოადგენს ტოპ-5 ლიგების ქვეყნებს: „პორტუ", „ბენფიკა" და „აიაქსი".

* სიაში ერთი გერმანული კლუბიც არ არის. შესაბამისად, გერმანულ კლუბებს ტრანსფერებიდან დიდი შემოსავლები არა აქვთ.

* 100 და მეტი მილიონი ევრო ხუთი სეზონის განმავლობაში 11-მა ინგლისურმა კლუბმა მიიღო. აქედან ერთი ამჟამად პრემიერლიგაში აღარ თამაშობს (პორტსმუთი).

* ტოპ-5 ლიგების (ინგლისი, ესპანეთი, გერმანია, იტალია, საფრანგეთი) კლუბებმა ჯამში 12,49 მილიარდი (!) ევრო გადაიხადეს.

* 12,49 მილიარდიდან 8,4 მილიარდი (68%-მდე) ისევ ტოპ-5 ლიგების კლუბების ბიუჯეტებში წავიდა.

* 12,49 მილიარდი ევროდან მხოლოდ 0,96 მილიარდი გადაიხადეს არაევროპულ კლუბებში.

კლუბების შემოსავალი ტრანსფერებიდან 2008/09 წლების სეზონიდან დღემდე

| კლუბი | ქვ. | თან. (მლნ. ევ) |
|---|---|---|
| 1. ტოტენჰემი | ინგლისი | 322 |
| 2. რეალი | ესპანეთი | 304 |
| 3. პორტუ | პორტუგალია | 283 |
| 4. ლივერპული | ინგლისი | 240 |
| 5. მილანი | იტალია | 230 |
| 6. ინტერი | იტალია | 225 |
| 7. უდინეზე | იტალია | 220 |
| 8. არსენალი | ინგლისი | 208 |
| 9. რომა | იტალია | 203 |
| 10. ვალენსია | ესპანეთი | 203 |

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

● არსენალი. გამოხმაურება

# ისევ მომავლის იმედად?


ეს წამია, მატიო ფლამინიმ (№20) ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა

„არსენალი“ საჩემპიონო რბოლას პრაქტიკულად უკვე ჩამოშორდა. სხვაობა პირველადგილოსან „ჩელსისთან“ 6 ქულაა, 7 ტურში კი „მეთოფეებისთვის“ ამხელა დეფიციტის აღმოფხვრა წარმოუდგენელია. მით უმეტეს, თუკი არსენ ვენგერის გუნდის თამაშის ხარისხს გავითვალისწინებთ. „სუონსიმ“ „ემირეიტსზე“ მასპინძელს ქულები ბრმა გოლით წაართვა, მაგრამ ცხრილში ამას ვინ დაგიდევთ? მთავარი შედეგია.

## არსენ ვენგერი: შევცდით

თამაშის დასრულების შემდეგ ჩრდილოლონდონელთა თავკაცი გულდაწყვეტილი იყო. აი, რა თქვა მან:

- შედეგით უსაზღვროდ იმედგაცრუებული ვარ, თუმცა იმის თქმაც აუცილებელია, რომ გუნდმა თამაში 0:1-ის შემდეგ დიდი მონდომების ხარჯზე შემოაბრუნა. ასეთმა მოტივირებულმა ასპარეზობამ კი შედეგი მომდევნო შეხვედრებში მაინც უნდა გამოიღოს. დანინაურების შემდეგ ზეწოლა არ უნდა შეგვეწყვიტა. ანგარიშის შენარჩუნებაზე ზრუნვა ნამდვილად შეცდომა აღმოჩნდა. უბრალოდ, ძალიან შებოჭილები ვიყავით, რაკი შაბათის მარცხის გავლენას ჯერ კიდევ ვგრძნობდით. ამ ეტაპზე საჩემპიონო რბოლაზე მეტად იმ გუნდებზე უნდა ვიფიქროთ, რომლებიც კვალში გვიდგანან და ჩვენი დაწევის შანსი აქვთ.

მსაჯის რამდენიმე გადაწყვეტილებამ გამაოცა. მაგალითად, მიმაჩნია, რომ მეორე გოლზე მეტოქე ბურთისთვის ბრძოლაში წესებს არღვევდა, თუმცა მსგავსი რამ ფეხბურთში ხდება და ფეხბურთელებს სასტვენის იმედად ბრძოლა არ უნდა შეეწყვიტათ. ასეთ სიტუაციებში გოლების გაშვება არ შეიძლება. უცნაური იყო, რომ ლი პრობერტმა საფინალო სასტვენით „სუონსის“ შეტევის დასრულების საშუალებაც კი არ მისცა.

## ვენგერს დასცინიან

არსენ ვენგერმა უკანასკნელი ტიტული 2005 წლის 21 მაისს მოიგო. „კარდიფის“ „მილენიუმზე“ ასოციაციის თასის ფინალში მისმა გუნდმა პენალტების სერიაში „მანჩესტერ იუნაიტედი“ 5:4 დაამარცხა. მას შემდეგ ფეხბურთში მთელი ეპოქა შეიცვალა. ერთ-ერთ უცხოურ ვებგვერდზე მოვლენების საინტერესო ჩამონათვალს წავაწყდით. ვფიქრობთ, 64 წლის ფრანგმა ასოციაციის თასის მიმდინარე გათამაშებაში ყველას უნდა გასცეს პასუხი სარკაზმის ამ დოზისთვის. თუმცა ჩამონათვალი მაინც სახალისოდ მოგვეჩვენა. მაშ ასე:

1. **პეპ გვარდიოლამ** დაასრულა აქტიური საფეხბურთო კარიერა, ფეხბურთისგან ერთი წელიწადი დაისვენა, შეუდგა მწვრთნელობას და სამშაბათ სალამოს მოგებულ ბუნდესლიგასაც თუ მივათვლით, 17 ტიტული მოიგო. უფრო მეტი, ვიდრე ვენგერმა მთელი კარიერის განმავლობაში.
2. **პოლ სქოულზი** ფეხბურთიდან წავიდა, დაბრუნდა ისევ წავიდა და საერთო ჯამში 10 ტიტული მოიგო.
3. **ზლატან იბრაჰიმოვიჩმა** 2005 წლის შემდეგ სამი კლუბი გამოიცვალა, თამაშობს მეოთხეში და ამ კლუბებში 14 ტიტულს დაეუფლა.
4. „მანჩესტერ სიტის“ მესაკუთრეებმა ფეხბურთში ერთ მილიარდ ფუნტზე მეტი დახარჯეს.
5. **უეინ რუნის** თმები შეუთხელდა, გადაინერგა, ცვენა ისევ დაეწყო და მელოტი თავი ალბათ მალევე გამოუჩნდება.

● იუნაიტედი-სითი. გამოხმაურება

# ზედიზედ მესამედ ოლდ ტრეფორდზე

„მანჩესტერ სითიმ“ „ოლდ ტრეფორდზე“ თანაქალაქელ „იუნაიტედს“ ზედიზედ მესამე შეხვედრა მოუგო და აქედან ორჯერ დიდი ანგარიშით. 2011 წლის ოქტომბერში შეხვედრა 6:1 დასრულდა, 2013-ის აპრილში 2:1, უკანასკნელი მატჩის ანგარიში კი ისედაც გეცოდინებათ - 3:0. მსგავსი სერია „ქალაქელებს“ უკანასკნელი 42 წლის განმავლობაში არ ჰქონიათ. დერბიში „სიტიმ“ თანაბრად ძლიერად ითამაშა თავდასხმაში და დაცვაში, რამაც მთავარი მწვრთნელი აღაფრთოვანა.

**მანუელ პელეგრინი** (მანჩესტერ სიტი): ჩემი აზრით, შესანიშნავი შეხვედრა ჩავატარეთ. სამი გოლის გარდა ერთი ამდენი ან მეტი შანსი კიდევ გვქონდა. „იუნაიტედს“ კი ჩვენთვის სერიოზული პრობლემები არ შეუქმნია. პირველივე წამებიდან აგრესიულად ვთამაშობდით. აშკარა იყო, რომ მხოლოდ სამ ქულაზე ვიყავით თანახმა. ფსიქოლოგიურად მნიშვნელოვანი იყო, რომ არ გაგვეშვა, რადგან გოლების გატანა რომ ვიცით, ეს ისედაც ცხადია, უკანა ხაზის საიმედო თამაში კი საკუთარი ძალების რწმენას გვმატებს. მეორე წრის დაწყების შემდეგ მხოლოდ ექვსი გოლი გავუშვით, რაც მართლა კარგი შედეგია.

გამარჯვება მნიშვნელოვანი იყო, უპირველესად ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, თანაც ისეთ მეტოქესთან, როგორიც „იუნაიტედია“. ჩემპიონატში ცხრა თამაში დაგვრჩა. ამიტომ დღეს იმაზე მსჯელობა, რამდენი ქულა გვეყოფა ჩემპიონობისთვის, ნაადრევია. მთავარია, იმავე დონეზე ვითამაშოთ, როგორც დღეს მოვახერხეთ.

**დევიდ მოიესი** (მანჩესტერ იუნაიტედი): - „სიტიმ“ ძალიან სწრაფად დაიწყო თამაში, გოლი 40 წამში გაგვიტანა და თავიდანვე მძიმე მდგომარეობაში ჩაგვაგდო. გონზე მოსასვლელად გარკვეული დრო დაგვჭირდა და მხოლოდ უიღბლობის ბრალია, რომ ანგარიში ვერ გავათანაბრეთ. შეტევაში თამამად მივდიოდით, მაგრამ კომბინაციების დალაგება, ბოლო პასის გაკეთება გვიჭირდა. მეორე გოლი ისევ ჩვენი შეცდომის გამო გავიდა. საერთოდ დაცვაში ძალიან სუსტად გამოვიყურებოდით. გადამწყვეტი სწორედ ეს მომენტები აღმოჩნდა. ნამდვილად ვერ ვიფიქრებდი, რომ სეზონის განმავლობაში ასე ძალიან გაგვიჭირდებოდა. ვფიქრობდი, რომ უფრო მეტს გავაკეთებდით.


ედინ ჯეკომ სამირ ნასრის (მარჯვნივ) პასით ანგარიში 2:0 გახადა

### ინგლისი
### პრემიერლიგა
### გადატანილი მატჩები

**ვესტ ჰემი-ჰალი 2:1**

**გოლები:** 1:0 ნოუბლი (26-პენ), 1:1 იელავიჩი (48), 2:1 ჩესტერი (54-ს.კ-ში)

**ვესტ ჰემი** (4-4-2): ადრიანი - დემელი, კოლინსი (9. ჯონსონი), ტომკინსი, მაკარტნი - ნოუბლი, ტეილორი - დაუნინგი, ნოლანი, დიამე (69. ჯ. კოული) - კეროლი

**ჰალი** (4-4-2): მაკგრეგორი - ფიგეროა (59. როსენიორი), ჩესტერი, ბრუსი (25. ჰარპერი), დევისი - ჰადლსტოუნი, ლივერმორი, მეილერი, ელ მოჰამადი - ლონგი, იელავიჩი (82. საგბო)

**გაფრთხილება:** - ლივერმორი

**გაძევება:** - მაკგრეგორი (23)

**კარში დარტყმა:** 9-10 (3-3) **კუთხური:** 4-5 **თამაშგარე:** 1-4 **ჯარიმა:** 12-9 **ბურთის ფლობა:** 44%-56%

**მაყურებელი:** 31 033

**ლივერპული-სანდერლენდი 2:1**

**გოლები:** 1:0 ჯერარდი (29), 2:0 სტარიჯი (48), 2:1 კი (76)

**ლივერპული** (4-3-1-2): მინიოლე - გ. ჯონსონი, შკრტელი, აგერი, ფლენაგანი - ალენი, ჯერარდი, ჰენდერსონი - კოუტინიო - სუარესი, სტარიჯი (77. სტერლინგი)

**სანდერლენდი** (4-1-4-1): მანონე - ბერდსლი, ოში, ბრაუნი, დოსენა (83. კოლბეკი) - ბრიდკატი – ვერხინი, კატერმოული, ჯაკერინი (61. ა. ჯონსონი), უიკჰემი (61. კი) - ალტიდორი

**გაფრთხილება:** - ვერხინი, ბერდსლი

**კარში დარტყმა:** 21-12 (7-4) **კუთხური:** 3-4 **თამაშგარე:** 2-2 **ჯარიმა:** 4-14 **ბურთის ფლობა:** 62%-38%

**მაყურებელი:** 44 524

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩელსი | 31 | 21 | 6 | 4 | 62-23 | 69 |
| 2. ლივერპული | 31 | 21 | 5 | 5 | 84-39 | 68 |
| 3. სიტი | 29 | 21 | 3 | 5 | 79-27 | 66 |
| 4. არსენალი | 31 | 19 | 6 | 6 | 55-36 | 63 |
| 5. ევერტონი | 30 | 16 | 9 | 5 | 46-30 | 57 |
| 6. ტოტენჰემი | 31 | 17 | 5 | 9 | 40-40 | 56 |
| 7. იუნაიტედი | 31 | 15 | 6 | 10 | 48-37 | 51 |
| 8. ნიუკასლი | 31 | 14 | 4 | 13 | 38-43 | 46 |
| 9. საუთჰემპტონი | 31 | 12 | 9 | 10 | 45-40 | 45 |
| 10. სტოკი | 31 | 9 | 10 | 12 | 36-45 | 37 |
| 11. ვესტ ჰემი | 31 | 9 | 7 | 15 | 34-41 | 34 |
| 12. ასტონ ვილა | 30 | 9 | 7 | 14 | 33-42 | 34 |
| 13. ჰალი | 31 | 9 | 6 | 16 | 33-39 | 33 |
| 14. ნორვიჩი | 31 | 8 | 8 | 15 | 26-48 | 32 |
| 15. სუონსი | 31 | 7 | 9 | 15 | 42-48 | 30 |
| 16. ვესტ ბრომვიჩი | 30 | 5 | 13 | 12 | 33-45 | 28 |
| 17. პალასი | 30 | 8 | 4 | 18 | 19-39 | 28 |
| 18. სანდერლენდი | 29 | 6 | 7 | 16 | 27-46 | 25 |
| 19. კარდიფი | 31 | 6 | 7 | 18 | 26-58 | 25 |
| 20. ფულჰემი | 31 | 7 | 3 | 21 | 30-70 | 24 |

**ბომბარდირები:** 28 - ლუის სუარესი (ლივერპული), 20 - დენიელ სტარიჯი (ლივერპული), 17 - იაია ტურე (მანჩესტერ სიტი)

● ამბები


ჰარი კიუელი

## კიუელმა კარიერა დაასრულა

„ლიდსის“, „ლივერპულისა“ და ავსტრალიის ნაკრების 35 წლის ყოფილმა ნახევარმცველმა **ჰარი კიუელმა** აქტიური საფეხბურთო კარიერის დასრულების შესახებ ოფიციალურად განაცხადა. 2011 წელს სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ფეხბურთელმა ცოტა ხანი ყატარშიც ითამაშა, შარშან კი „მელბურნ ჰარტთან“ გააფორმა კონტრაქტი იმის იმედად, რომ ფორმაში შევიდოდა და ბრაზილიაში მსოფლიოს ჩემპიონატზე ეროვნული გუნდის განაცხადში მოხვდებოდა. კიუელს ტრავმებმა ამის საშუალება არ მისცა. *„კარიერის დასრულება ურთულესი გადასაწყვეტი იყო, რადგან ფეხბურთის თამაში ერთადერთია, რაც ვიცი,“* - განაცხადა მან.

## ევრას არჩევანი


პატრის ევრა

„მანჩესტერ იუნაიტედში“ გატარებული 8 წლისა და 300-ზე მეტი შეხვედრის ჩატარების შემდეგ 33 წლის **პატრის ევრა** კარიერის გაგრძელებას ახალ კლუბში აპირებს, სადაც უკვე მშვიდად შეეძლება პენსიაზე გასვლა. ფეხბურთელს „ემმაკებთან“ კონტრაქტი სეზონის ბოლოს უმთავრდება. მასთან თანამშრომლობით რამდენიმე ამბიციური კლუბია დაინტერესებული, მათ შორის „იუვენტუსი“, „ინტერი“ და „მონაკო“. ევრას აგენტის თქმით, ფეხბურთელს სამშობლოსკენ მიუწევს გული. ვეტერანმა სახელი „მონაკოში“ გაითქვა. გასაკვირი არ იქნება, თუკი ის არჩევანს სწორედ ყოფილ კლუბზე შეაჩერებს.

**ლევან ბიბილაშვილი**

## ერთა ლიგა - ახალი სანაკრებო ტურნირი 2018-დან

უეფა უახლოეს წლებში სანაკრებო ფეხბურთში რევოლუციურ ძვრებს აპირებს. ევროპული ფეხბურთის მამები ამჟამად ამუშავებენ ახალი ტურნირის - „ერთა ლიგის“ კონტურებს. ეს ტურნირი, სავარაუდოდ, 2 წელიწადში ერთხელ ჩატარდება. უეფას აღმასკომმა ზოგადი პრინციპი მოიწონა, თუმცა ფორმატი ჯერ არ ჩამოყალიბებულა.

როგორი იქნება ერთა ლიგა? ევროპული ნაკრებები 4 დივიზიონად გაიყოფიან. ელიტის 4 საუკეთესო გუნდი ოთხთა ფინალს ნეიტრალურ ქვეყანაში ითამაშებს. რაც შეეხება ქვედა დივიზიონების გამარჯვებულებს, მათ შესაძლოა, ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზურები მიიღონ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

სამთო თხილამურები



# ჯაფარიძის ოქრო და ვერცხლი

ქართველი სამთო მოთხილამურეები განაგრძობენ საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით გამართულ შეჯიბრებებში გამოსვლას და რეიტინგებს იუმჯობესებენ. ბოლო ტურნირებში წარმატებით იასპარეზა **სოსო ჯაფარიძემ**. საკურორტო ქალაქ კორტინა დ,ამპეცოში 17 წლის ქართველმა მოთხილამურემ იტალიის იუნიორთა პირველობაში მოსინჯა ძალები. 133 მონაწილეს შორის მან გიგანტურ სლალომში მე-2 ადგილი დაიკავა და 48.57 სარეიტინგო ქულა ერგო. პირველ და მესამე ადგილებზე, შესაბამისად, ავსტრიელი ლინუს ვალხი და იტალიელი მარკო მაროკო გავიდნენ. აი, ალეგეში (იტალია) კი, ასევე, გიგანტურ სლალომში ჯაფარიძემ ყველას აჯობა (38.18 ქულა). უცხოეთში ეს ჯაფარიძის პირველი გამარჯვება იყო. მეორე-მესამე ადგილები მასპინძლებმა - ფედერიკო პელოსიმ და რიკარდო კაუდორომ გაიყვეს. **ნიკოლოზ კოზანაშვილი** მეხუთე ადგილზე გავიდა.

ვაჟა დანელია

ჩოგბურთი

# მარცხიანი დღე

ქართველი ჩოგბურთელი ქალები გუშინ საფრანგეთისა და თურქეთის საერთაშორისო ტურნირებში ცდიდნენ ძალებს, მაგრამ ორივეგან დამარცხებულებმა დატოვეს კორტები. სამფეროვანთა ქვეყნის 50.000-იან ტურნირის მე-2 წრეში **სოფიო შაფათავა** მე-6 ნომრად განთესილ ონს ჯაბერთან ორ სეტში დამარცხდა - 6:7, 3:6 და შეჯიბრებას გამოეთიშა, რადგან წინა დღით ჩვენებურმა გერმანელ ქრისტინა შაკოვეცთან ერთად წყვილებშიც წააგო.

ანტალიის 10.000-იანი ტურნირის სტარტზე **ეკატერინე გორგოძე**, რომელსაც მერვე განთესვა ჰქონდა, სლოვაკ ჩანთალ სკამლოვას ვერ გაუმკლავდა. მართალია, პირველი სეტი მშრალი ანგარიშით მოიგო - 6:0, მაგრამ მომდევნო ორი დათმო - 4:6, 3:6 და ერთეულებში, **სოფიო ქვაცაბაიას** მსგავსად, მაყურებლებში გადაინაცვლა. სამაგიეროდ, გორგოძე-ქვაცაბაიას დუეტმა წყვილებში პირველი წრე გუშინწინ გადალახა და დღეს შვედების - ელენ ალგურინისა და პაულინა ვულკენის ტანდემთან გაარკვევს ურთიერთობას.

ვაჟა დანელია

ხელბურთი

# სამი ფინალისტი გამოვლინდა

1998-1999 წლებში დაბადებულ ხელბურთელ ვაჟთა საქართველოს პირველობის საგაზაფხულო ეტაპზე მედლებისთვის მებრძოლი ექვსეულის გამოსავლენად სამი ტურის შეხვედრები გაიმართა. ასპარეზობის დასრულებამდე 2 დღით ადრე ფინალური ეტაპის 3 მონაწილის ვინაობა გაირკვა. ესენი არიან - „ქარიშხალა", „პეგასი" და „იმედი". გადამწყვეტი რაუნდის დანარჩენი სამი საგზურისთვის „მამული", „გორი", „ზუგდიდი" და „ფოთი" იბრძოლებენ, ხოლო „ყვარელმა", „თელავმა" და „სამტრედიამ" ეს შანსი დაკარგეს.

პირველი-ორი დღის პაექრობები ასე დამთავრდა: „გორი" - „იმედი" 33"41, „მამული" - „თელავი" 34:30, „პეგასი" - „ფოთი" 39:24, „ქარიშხალა" - „სამტრედია" 31:21, „ზუგდიდი" - „ყვარელი" 27:20; „ზუგდიდი" - „მამული" 23:27, „თელავი" - „ქარიშხალა" 25:37, „ყვარელი" - „პეგასი" 20:34, „იმედი" - „ფოთი" 27:18, „გორი" - „სამტრედია" 22:17. გუშინ მე-3 ტურის შეხვედრები გაიმართა:

**მამული-პეგასი 21:29**

**მამული:** დავითაშვილი, წულიაშვილი, კორაშვილი-9, ისმაილოვი-5, შევჩენკო-3, სხვიტარიძე-2, ტალახაძე-2, თოდუა, ძაგანია, სექანია, ცხვედიანი, არუთინიანი, სამადაშვილი.

**პეგასი:** ზურაბიშვილი, მჭედლიძე, გაწერელია-11, გოგავა-6, ცხოვრებაძე-5, მაისურაძე-4, ნაზლაიძე-2, ზარნაძე-1, ლაპიაშვილი, კალანდაძე, კაჭკაჭაშვილი, ალბუთაშვილი, ხვადაგიანი, ბაბუციძე.

**ყვარელი-იმედი 20:30**

**ყვარელი:** მამუკიშვილი, ჭერაშვილი-6, ხაჩიშვილი-6, ჯიქურიშვილი-5, ბეჟანიშვილი-2, ბურკაძე-1, მეტრეველი, ელოშვილი.

**იმედი:** ხარაიშვილი, როკაშვილი, ჰუსეინოვი-10, მლებრიშვილი-5, საძაგლიშვილი-4, მიქავა-3, რუსტამოვი-2, დვალიძე-2. ბაინაზაშვილი-2, თურქაძე-1, მელაშვილი-1, იობაშვილი, კვირკველია, ჯაბანაშვილი.

**თელავი-გორი 30:37**

**თელავი:** ლილუაშვილი, ერგემლიძე, დანელიშვილი-14, ბაჩიაშვილი-6, ყორიაული-4, სალირაშვილი-3, კაიშაური-2, გიგაური-1, ალვინოვი, ხელაშვილი, მესხიშვილი, გაგნიძე.

**გორი:** ვათიაშვილი, მჭედლიშვილი-9, ნიაზაშვილი-8, მურადაშვილი-8, დალაქიშვილი-3, ტიელიძე-3, ლვინიაშვილი-3, ქესანაშვილი-2, ტარუაშვილი-1, გახოკიძე, ბეთლემიშვილი, თომაშვილი.

**ზუგდიდი-ქარიშხალა 32:45**

**ზუგდიდი:** ხასია, გრიგოლია-21, კუკავა-3, ესართია-3, კვარაცხელია-2, ბულია-2, ხურციძე 1, ძაძამია, თოდუა, ჩიქობავა, ეხვაია, გოგოხია.

**ქარიშხალა:** ხანდოლიშვილი, ხიდაშელი, კბილაშვილი-12, ბულბულაშვილი-7, არსენაშვილი-6, ფერაძე-6, მამულაშვილი-4, კვირკველია-3, გოგუა-2, ჯინჭარაძე-2, ფხაკაძე-2, ფარესიშვილი-1, არომიძე, წიკლაური.

**სამტრედია-ფოთი 18:21**

**სამტრედია:** გოგუა, ცხვარაძე-5, ანტონოვიჩი-4, ბოცვაძე-3, ზურაბიანი-2, ძნელაძე-2, ჯორბენაძე-2, ხვიჩია.

**ფოთი:** ზარგინავა, ბაჯალაძე-6, მიქაძე-5, ბერაია-3, ლორთქიფანიძე-3, ბიბილეიშვილი-2, გურეშიძე-2, ჯიქია, მიქაია, წულაია, გვასალია.

**მსაჯები:** ელენე არაბული, ინა ჭკუასელი, ზურაბ ქოქოსაძე, გია წივწივაძე, გიორგი სამყურაშვილი.

| | მ | ფ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| ქარიშხალა | 7 | 0 | 0 | +87 | 14 |
| პეგასი | 7 | 0 | 0 | +76 | 14 |
| იმედი | 6 | 0 | 1 | +45 | 12 |
| გორი | 4 | 0 | 3 | +24 | 8 |
| მამული | 4 | 0 | 3 | -16 | 8 |
| ზუგდიდი | 3 | 0 | 4 | -22 | 6 |
| ფოთი | 3 | 0 | 4 | -36 | 6 |
| სამტრედია | 1 | 0 | 6 | -38 | 2 |
| თელავი | 0 | 0 | 7 | -48 | 0 |
| ყვარელი | 0 | 0 | 7 | -72 | 0 |

27 მარტი. „თელავი" - „ყვარელი", „მამული" - „სამტრედია", „პეგასი" - „გორი", „ფოთი" - „ზუგდიდი", „ქარიშხალა" - „იმედი".

ვაჟა დანელია



ჭადრაკი

## კაისას თასი 154-ე სკოლას

საქართველოს სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაციის ინიციატივით თბილისის 84-ე საჯარო სკოლაში (დირექტორი **მანანა ბაციკაძე**) დედაქალაქის ღია პირველობა გაიმართა ჭადრაკში - „კაისას თასი". შეჯიბრებაში საჯარო სკოლების მოსწავლეები, პედაგოგები და მშობლები მონაწილეობდნენ. დაძაბული პაექრობების შემდეგ პირველი ადგილი 154-ე სკოლის გუნდმა (დირექტორი **მაია ხახალეიშვილი**, მოჭადრაკეები **- ქეთევან ხომერიკი, საბა ჟორდანია, სანდრო მუმლაძე, გიორგი ხომერიკი**) დაიკავა. მეორე-მესამე



ადგილებზე 21-ე და 115-ე სკოლის გუნდები გავიდნენ. გამარჯვებულები და პრიზიორები მედლებითა და თასებით მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადების ორგზის მედალოსანმა, ევროპის ვიცე-ჩემპიონმა, საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ნაკრების წევრმა დიდოსტატმა **სალომე მელიამ** დააჯილდოვა.

## ფინიშის წინ

ქართველმა დიდოსტატებმა — **ლევან ფანცულაიამ** და **მიხეილ მჭედლიშვილმა** გუშინ კოლკატის (ინდოეთი) მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირის ვერც ბოლოსწინა მე-9 ტურში იყოჩაღეს: წინა დღით თუ ფანცულაია დაუზავდა მეტოქეს, ხოლო მჭედლიშვილი დამარცხდა, ამჯერად მათ როლები გაცვალეს: მიხეილმა მასპინძელ პრასად არუნთან გაიყო ქულა, ხოლო ლევანმა დიპენთან (ინდოეთი) წააგო. არადა, ჩვენებურები ორივეს რეიტინგში საგრძნობლად უსწრებენ.

როგორც გაუწყეთ, 8 ტურის შემდეგ კოლკატაში 8 მოჭადრაკე მეწინავეობად 6-6 ქულით. მე-9 ტურში ოლივერ ბარბოსამ (ფილიპინები) კონსტანტინ ლანდა (რუსეთი) დაამარცხა, ხოლო სანტოშ ვიდითმა (ინდოეთი) თანამემამულე სეტურამანს აჯობა. ორივე დიდოსტატი 7-7 ქულით ლიდერობს. 4-4 მოჭადრაკეს 6,5 და 6 ქულა აქვს. მჭედლიშვილმა 5,5, ფანცულაიამ კი 5 ქულას მოუყარა თავი. ბოლო ტურში ისინი, შესაბამისად, რაო პრასანასა და კარტიკეინს (ორივე-ინდოეთი) გაუწევენ მეტოქეობას.

ვაჟა დანელია

უმაღლესი სკოლა



გურამ ძაგანია

# სპეციალისტთა მომზადების კერა გვიბრუნდება

28 მარტს ერთი წელი შესრულდება მას შემდეგ, რაც ქვეყნის მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა ხელი მოაწერა დადგენილებას საქართველოს სპორტის უნივერსიტეტის დაარსების თაობაზე. რა მდგომარეობაა დღეს ამ უმაღლეს სასწავლებელში, ამის შესახებ გვესაუბრება საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, სპორტის დამსახურებული მოღვაწე, ხელბურთში საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **გურამ ძაგანია:**

- ცნობილია, რომ ჩვენთან სპორტის უმაღლესი სასწავლებლის იდეა მე-20 საუკუნის 30-იან წლებში ჩაისახა. 1935 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა სპორტის ფაკულტეტი, რომელიც 1938 წელს დედაუნივერსიტეტს გამოეყო და დაფუძნდა როგორც დამოუკიდებელი უმაღლესი სასწავლებელი - საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის სახელწოდებით. 1994 წელს მას სახელი შეეცვალა და სპორტის აკადემიის სტატუსი მიენიჭა. 2007 წლის 11 ივლისს მთავრობის დადგენილებით სპორტის აკადემია გაუქმდა და იგი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს ფაკულტეტად მიუერთეს. რამდენიმე წლის შემდეგ კი ამ უმაღლესმა სასწავლებელმა სპორტის ფაკულტეტზე მიღებაზეც უარი თქვა. ეს არის მოკლე ისტორია 70-წლიანი სასპორტო უმაღლესი სასწავლებლისა, რომლის იუბილეს აღნიშვნაც ვერ მოვასწარით, ისე გაგვიუქმა იგი წინა მთავრობამ. საგულისხმოა ისიც, რომ 2006 წელს საქართველოში პირველებმა გავიარეთ ბოლონიის პროცესთან მისადაგებული პროგრამული აკრედიტაცია, რომლის შედეგებითაც 5 წელიწადი შეგვეძლო ფუნქციონირება 2007 წლის სექტემბრიდან, მაგრამ ამ პროცესებს მაშინდელმა მთავრობამ დაასწრო. უწინაც მითქვამს და გავიმეორებ - სპორტის აკადემიის გაუქმება და მისი სხვა უმაღლესი სასწავლებლისთვის ფალკუტეტის ფორმით მიერთება, როგორც მაშინდელი სპორტისა და კულტურის მინისტრი გოკა გაბაშვილი ბრძანებდა, სპეციალისტების უკეთ მომზადების მიზნით, რბილად რომ ვთქვა, ხალხის მოტყუება იყო. რადგან სპორტის აკადემიის ტერიტორიის გამოთავისუფლება და შემდეგ მისი აუქციონზე გაყიდვა ჰქონდათ გამიზნული. საწადელს ვერ მიაღწიეს, რადგან ჩვენი საქმე სასამართლოში განიხილებოდა და ამ ადგილის შეძენის მსურველები აუტკივარი თავის ატკივებას მოერიდნენ. თუ მიერთება და კარგი საქმის გაკეთება უნდოდათ, თავისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით მიეერთებინათ ილიას უნივერსიტეტისთვის სპორტის აკადემია, მით უმეტეს, რომ ამ ორ უმაღლეს სასწავლებელს მხოლოდ ერთი ქუჩა ჰყოფდა.

ექვსი წელიწადი პერმანენტულად ვიბრძოდით სამართლიანობის აღსადგენად. მივაღწიეთ იმას, რომ 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, რაც მთავრობა შეიცვალა - საქართველოში სამართლიანობის აღდგენა ჩვენი უმაღლესი სასწავლებლის რეაბილიტაციით დაიწყო. პარლამენტის სხდომაზე სპორტისა და ახალგაზრდობის კომიტეტის თავმჯდომარემ, სახელოვანმა ფალავანმა ლერი ხაბელოვმა დააყენა საკითხი სპორტის აკადემიის აღდგენის შესახებ. როგორც კი ახალი მთავრობა შეიქმნა, სპორტის სამინისტრომ ოფიციალური განაცხადი შეიტანა და 2013 წლის 28 მარტს საქართველოს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ხელი მოაწერა განკარგულებას საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის უნივერსიტეტის დაფუძნების შესახებ. მოგეხსენებათ, უნივერსიტეტი სამსაფეხურიანია - ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა. რადგანაც ჯერჯერობით დოქტორანტების მიღების საშუალება არ გვაქვს, სასწავლო უნივერსიტეტის (ორსაფეხურიანი - ბაკალავრიატი, მაგისტრატურა) სტატუსი მოგვენიჭა. ეს დროებითია. სამომავლოდ აუცილებლად გვექნება სამსაფეხურიანი სწავლება.

**ფიზკულტურის 4176 მასწავლებლიდან, რომლებიც დღეს განათლების სამინისტროს სისტემაში მუშაობენ, ფიზიკური აღზრდის სპეციალისტია - 1637, ანუ მასწავლებელთა საერთო რაოდენობის 39, 2 პროცენტ?, ხოლო დარჩენილი კონტიგენტიდან 800-ს საერთოდ უმაღლესი სასწავლებელი არც კი დაუმთავრებია**

**- უკვე დასრულდა აბიტურიენტთა რეგისტრაცია, თქვენს სასწავლებელს კი ჯერ არ გაუვლია ავტორიზაცია. წლეულს სტუდენტთა მიღება არ გექნებათ?**

- უნივერსიტეტის დაფუძნების შემდეგ წესრიგში იყო მოსაყვანი სასწავლო პროგრამები, უნდა ჩამოგვეყალიბებინა სტრუქტურა და შეგვექმნა უამრავი დოკუმენტაცია. ამიტომ ხუთკაციანი კომისია შევქმენით და შარშანდელი მაისიდან ინტენსიურ მუშაობას შევუდექით ავტორიზაციის გასავლელად.

ყველაზე მტკივნეული და საძნელო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოწესრიგება იყო. 2007 წლის შემდეგ აქ ყველაფერი გაუჩანაგებიათ: იატაკი აყრილი,

გაგრძელება მე-11 გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე-10 გვერდიდან

კარ-ფანჯრები ჩალენილი. მსგავს რამეს, ალბათ, ბარბაროსებიც არ ჩაიდენდნენ. სასწავლო კორპუსის მე-4 სართულზე ლტოლვილთა ორი ოჯახი, ხოლო სასწავლო კორპუსის მიმდებარე გასახდელებსა და სპორტულ ბაზებზე კიდევ 6 ოჯახი ცხოვრობს. განათლების სამინისტროს ვთხოვეთ, რომ მათ გამოუნახონ საცხოვრებელი ადგილი, რომ სასწავლებლის სრულ რეაბილიტაციასა და სასწავლო პროცესის დაწყებაში ხელი არ შეგვეშალოს.

ამ ეტაპისთვის სრულ წესრიგშია ჩვენი სასწავლებლის პირველი და მეორე სართულები. 12-15 მაისს ავტორიზაციის გასავლელად განათლების სამინისტროს სპეციალური კომისია შეგვამოწმებს და დადებითი პასუხის შემდეგ, რაც არც გვეეჭვება, გამოვაცხადებთ მიღებას. იცით, რომ შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა რეგისტრაცია 21 მარტს დაასრულა, მაგრამ ჩვენ უფლება დაგვრთეს, გამოვაცხადოთ მიღება 20-დან 30 მაისამდე და სპორტის სასწავლო უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელების მსურველებს ხელახალი რეგისტრაციის საშუალება მიეცემათ.

უმაღლესი სასწავლებლის ფუნქციონირებისთვის აუცილებელია მაღალკვალიფიციური კადრები. სპორტის აკადემიას შესანიშნავი სპეციალისტები ჰყავდა, მაგრამ სასწავლებლის გაუქმების შემდეგ ბევრმა კვალიფიკაცია შეიცვალა, ზოგიც გარდაიცვალა. ახლა გამოვაცხადეთ კონკურსი. იმედია, სპორტის უნივერსიტეტს კარგი პროფესორ-მასწავლებლებით დავაკომპლექტებთ..

**- არაფერი გვითქვამს სტუდენტთა კონტინგენტზე...**

- სპორტის უნივერსიტეტში პირველ კურსზე მიღებას თავიდან მწვრთნელთა, პედაგოგიურ, ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტებზე ვგეგმავდით. სამივე სპეციალობაზე საკმაოდ დიდი მოთხოვნილებაა. განსაკუთრებით კატასტროფული მდგომარეობაა საჯარო სკოლებში, სადაც საგანგაშო სიტუაციაა: სტატისტიკური მონაცემებით, ფიზკულტურის 4176 მასწავლებლიდან, რომლებიც დღეს განათლების სამინისტროს სისტემაში მუშაობენ, ფიზიკური აღზრდის სპეციალისტია 1637, ანუ მასწავლებელთა საერთო რაოდენობის 39, 2 პროცენტი, ხოლო დარჩენილი კონტინგენტიდან 800-ს საერთოდ უმაღლესი სასწავლებელი არც კი დაუმთავრებია. სკოლებში სპეციალისტების დეფიციტითაა განპირობებული მოზარდების სუსტი ფიზიკური აღზრდა, სქოლიოზი, მომრავლებული ნარკომანია. საქართველოში ოფიციალურად დარეგისტრირებულია 250.000 ნარკომანი, რომელთა შორის 80 პროცენტი 13-დან 23 წლამდე ახალგაზრდაა. ეს ოფიციალურად და ახლა არაოფიციალურად? გენოფონდი ილუპება. როგორც უწინ, ამჯერადაც სპორტის უმაღლეს სასწავლებელს ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა-დამკვიდრებაში უდიდესი მისია დაეკისრება.

ფიზკულტურის ინსტიტუტი 70-წლიანი არსებობის განმავლობაში 20.000-ზე მეტმა სპეციალისტმა დაამთავრა და დღეს ისინი 60-ზე მეტ ქვეყანაში მუშაობენ. ჩვენი უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულებს უცხოეთში სამუშაოდ „პერეკვალიფიკაცია“ არ სჭირდებოდათ. ჩვენი მიზანი, უპირველესად, იმ სიმაღლეების მიღწევა და სახელის მოხვეჭა იქნება, რომლებიც უწინდელ დიდებას დაუბრუნებს ჩვენს სასწავლებელს და ახალი გამოწვევების გზაზე ევროპული საგანმანათლებლო სივრცის სრულუფლებიანი წევრი გახდება.

> **ფიზკულტურის ინსტიტუტი 70-წლიანი არსებობის განმავლობაში 20.000-ზე მეტმა სპეციალისტმა დაამთავრა და დღეს ისინი 60-ზე მეტ ქვეყანაში მუშაობენ**

ამ გადახვევის შემდეგ ისევ თქვენს შეკითხვას დავუბრუნდები: როგორც გითხარით, სამი ფაკულტეტის გახსნა გვქონდა გამიზნული, მაგრამ განათლების სამინისტრომ პედაგოგიურ ფაკულტეტზე თავი შეიკავა - ეს არისო რეგულირებადი სპეციალობა, რომელსაც, ავტორიზაციის გარდა, აკრედიტაციაც სჭირდება, რასაც წლეულს ვერ მოვასწრებდით, ამიტომ ორ სპეციალობაზე შევჩერდით - მწვრთნელთა და ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია. ბაკალავრიატის პროგრამით 300-დან 400-მდე სტუდენტი ისწავლის. ზუსტ რაოდენობას ავტორიზაციის კომისია გადაწყვეტს. მათთვის ახალი ინვენტარით აღჭურვილი აუდიტორიები გვაქვს პირველ-მეორე სართულებზე, მზად არის უახლესი კომპიუტერული ცენტრი, ბიბლიოთეკა, საპროფესორო. ასე რომ, სასწავლო წელს მზად შევხვდებით.

**- მესამე-მეოთხე სართულების კეთილმოწყობა რატომ ვერ მოხერხდა?**

- 2015 წელს თბილისი ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალს უმასპინძლებს. მისი დამთავრების შემდეგ, როგორც სამინისტროში გვითხრეს, ოლიმპიური სოფლის მთელი ინფრასტრუქტურა და სპორტული ბაზები სპორტის უნივერსიტეტს გადაეცემა და ჩვენი უმაღლესი სასწავლებელი იქ გადავა.

ბაკალავრიატის გარდა, მაგისტრატურის სამ მიმართულებაზე გვექნება წლეულს მიღება - ესენია: მწვრთნელთა ფაკულტეტი, ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია და სპორტის მენეჯმენტი, რომელზეც უდიდესი მოთხოვნილებაა.

**- სპორტულ ბაზებზეც მინდა გკითხოთ...**

- მთავრობის დადგენილებით, ჩვენ დაგვიბრუნდა ყველაფერი, რაც უწინ სპორტის აკადემიას ეკუთვნოდა. კერძოდ, 40.000 კვადრატული მეტრი ტერიტორია ოთხი საჩოგბურთო კორტით, სტადიონი ოთხი სარბენი ბილიკით, მინიფეხბურთის მოედანი, ძალოსნობის დარბაზი. სასწავლო კორპუსში ოთხი დარბაზია, მაგრამ ისინი ისეა გაპარტახებული, რომ მათი აღდგენა წლეულს ვერ მოესწრება, ამიტომ სასპორტო კომპლექს „არენის“ ხელმძღვანელობასთან გავაფორმეთ მემორანდუმი, რომლის მიხედვითაც ჩვენი სტუდენტები იქაური ბაზებით ისარგებლებენ...

**P.S.** საქართველოს სპორტის უნივერსიტეტის მომავალ საქმიანობასთან დაკავშირებით ჩვენს მკითხველებს, ცხადია, სხვა საკითხებიც აინტერესებთ, რომლებზეც კონკურსის შედეგებისა და ავტორიზაციის გავლის შემდეგ ამომწურავი პასუხების მიღება უფრო უპრიანი იქნება.

**ვაჟა დანელია**

ავტორის ფოტო

## პაატა გიგინეიშვილი

გარდაიცვალა პაატა გრიგოლის ძე გიგინეიშვილი. როგორც იტყვიან, ცხოვრების შუადღისას შემოაღამდა. მაგრამ მოასწრო ყოფილიყო კარგი მეოჯახე, თბილი მეუღლე და მამა, ერთგული მეგობარი და საყვარელი ადამიანი ყველასთვის, ვინც მას იცნობდა.

დაიბადა 1950 წელს, აბაშის რაიონის სოფ. პირველ მაისში. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სხვადასხვა დროს ფეხბურთს თამაშობდა სამტრედიის ახალგაზრდულ ნაკრებში, ხონის „ფეიქარში“, აბაშის „განთიადში“. იყო ფეხბურთის ფედერაციის თავკაცი, ქალაქ პეტროზავოდსკში კი, სადაც ის რამდენიმე წელი ცხოვრობდა - ფიზკულტურის კომიტეტის თავმჯდომარე.

იცხოვრა სისხლსავსე ცხოვრებით და არასოდეს შეუბღალავს პატიოსანი კაცის სახელი.

პაატა გიგინეიშვილის გარდაცვალება ტრაგიკული იყო ოჯახისათვის, მეგობრებისთვის, კოლეგებისთვის, მეზობლებისთვის, ნაცნობებისთვის, რომლებიც დიდხანს ვერ დაივიწყებენ მის სახელს.

ღმერთმა გაანათლოს!

მეგობრების ჯგუფი

ძიდაობა
ჩვენი, ქართული

## სამტრედიამ უმასპინძლა

ლეგენდარული მოჭიდავის, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის, „ჭიდაობის პროფესორად“ აღიარებული ვახტანგ ბალავაძის მშობლიურ სამტრედიაში ჩატარდა ქართულ ჭიდაობაში ზონალური პირადი პირველობა 1998-1999 წლებში დაბადებულთა შორის მესტიის, ცაგერის, ქუთაისის, ზესტაფონის, თერჯოლის, ლანჩხუთის, ფოთის, ჭიათურის, საჩხერის და სამტრედიის 80-მდე ჭაბუკის მონაწილეობით.

გამარჯვებულები და პრიზიორები დაჯილდოვდნენ ქართული ჭიდაობის ფედერაციის დიპლომებითა და მედლებით. 1-4 ადგილზე გასულები მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს პირადი პირველობის ფინალში, რომელიც 4-6 აპრილს ქ. ახმეტაში გაიმართება.

**კვარცხლბეკი.**

**46კგ.** 1. ავთანდილ კუტალაძე – სამტრედია, 2. გიორგი ბენდელიანი – ცაგერი, 3. გიორგი ვარდოსანიძე – ზესტაფონი; **50კგ.** 1. გიორგი ოსაძე – ზესტაფონი, 2. ზვიად გირგვლიანი – მესტია, 3. თენგიზ გეგენიძე – ფოთი; **55კგ.** 1. ემურ შარვაშიძე, 2. ირაკლი კუხალაშვილი (ორივე – ქუთაისი) 3. რაფაელ ბენდელიანი – ცაგერი; **60კგ.** 1.გიგა კაკაურიძე, 2. გიორგი გოგოლიძე (ორივე - ქუთაისი), 3. პეტრე არჩვაძე –საჩხერე; **66კგ.** 1. გიორგი ბრეგვაძე, 2. Bბადრი გრძელიძე, 3. გოდერძი მახვილაძე (სამივე – ქუთაისი); **73კგ.** 1. რეზო ჯიაძე – ქუთაისი, 2. სერგო გოგიშვილი, 3. თორნიკე დოლიძე (ორივე – სამტრედია); **81 კგ.** 1. ბაქარ უკლება – თერჯოლა, 2. ბექა ციხილაძე – ცაგერი, 3. პაატა ტოგონიძე – ქუთაისი; **+81კგ.** 1. ამირან წიქორიძე, 2. დავით არწივიძე (ორივე – ქუთაისი) 3.საბა გაბრიჩიძე - მესტია.

„ლელოს“ კორ.

ტყვიის სროლა

## დუეტით – ამერიკაში

ამერიკულ ფორტ ბენინგში იწყება მსოფლიოს თასის პირველი ეტაპი ტყვიის სროლაში – დღეს ოფიციალური ვარჯიშია, ხვალ კი პირველი სტარტია. ტურნირში ჩვენგან ორი მსროლელი იასპარეზებს – ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი **ნინო სალუქვაძე** და **ლევან ქადაგიძე**.

სალუქვაძე ხვალვე ჩაებმება შეჯიბრებაში – სტარტზე პირველად პნევმატური პისტოლეტით მსროლელი ქალები დადგებიან. ქადაგიძე ზეგ ისვრის ასევე პნევმატურში. ამის შემდეგ სპორტული პისტოლეტით შეჯიბრების დრო დგება – სალუქვაძე იქ 30 მარტს ისვრის, ქადაგიძე – 1 აპრილს.

**ირაკლი თავაძე**

შეკითხვა „ლელოს“

**შეკითხვა:** დიდი ხანია ლაპარაკობენ ქართული სპორტის კლუბურ სისტემაზე გადასვლის აუცილებლობაზე, მაგრამ ჯერჯერობით პრაქტიკული ნაბიჯები არ ჩანს. რატომ?

**გურამ ეზანოიძე**
თბილისი

**პასუხი:** კლუბური სისტემა მსოფლიოს ბევრ ქვეყანაშია დანერგილი და წარმატებითაც. ახლახან საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში, მინისტრის მოადგილემ **თამაზ თევზაძემ** საგანგებო თათბირი ჩაატარა სპორტული ფედერაციების ხელმძღვანელებთან და მედიის წარმომადგენლებთან, რომელზედაც კიდევ ერთხელ განიხილეს ხსენებული საკითხი. საყურადღებოა, რომ ეს უკვე პრეზენტაცია იყო - „თანამედროვე სპორტის რეალობა საქართველოში, სამართლებრივი და სხვადასხვა კუთხით“, რაც უდავოდ წინგადადგმული ნაბიჯია.

## 80

# გაზეთი მემატიანე

### დრო, მოვლენები და ფაქტები

პუბლიკაციები ეძღვნება გაზეთ „ლელოსა“ და ქართული სპორტის თანაცხოვრების 80 წლის საიუბილეო თარიღს

დასაწყისი „ლელო“ № 16-19, 21-23, 38-39, 41-43, 46-49, 51-52, 55-56

### ხიზნად

გაზეთ „სპორტის“ ერთ-ერთ ოპერატორ-დამკაბადონებელად მუშაობდა შესანიშნავი პიროვნება **დავით გეგეჭკორი**, რომელიც ამავე დროს გაზეთ „განათლების“ თანამშრომელი იყო. „ლელოსთან“ „სპორტის“ შემოერთების შემდეგ, დავითი შეთავსებით კვლავ დარჩა ჩვენთან. მისი შემწეობით, 2007 წლის იმ ტრაგიკული 7 ნოემბრის ღამეს ნომრის ჩავარდნის მეორე დღესვე „განათლების“ რედაქციაში შევძელით გაზეთის გამოცემის გაგრძელება. საკუთარი აღარაფერი გაგვაჩნდა, გარდა ინტელექტუალური რესურსისა. „განათლებამ“ და კოლეგებმა დათრგუნვილები გაგვამხნევეს, უშურველად მოგვცეს თავიანთ კომპიუტერულ ტექნიკაზე მუშაობის შესაძლებლობა. იქ, კინოსტუდიის ტერიტორიაზე კი „ლელოს“ რედაქცია დიდხანს იყო დალუქული, ან რა აზრი ჰქონდა კაბინეტებსა და ოთახებზე ლუქის ახსნას, როცა მუშაობის გაგრძელება იქ უკვე შეუძლებელი იყო. რამდენიმე თვე დაგვჭირდა ფეხზე წამოსადგომად, წელში გამართვა - ნურას უკაცრავად!

პრობლემების მარწუხები ყელში გვწვდა, ხსნა კი ჯერაც არსაიდან ჩანდა.

### მედიაპალიტრაში

2007 წლის გაზაფხული იყო. იმ დღეს და რიცხვს, „ლელოს“ ახალი სიცოცხლის ათვლის წერტილად რომ იქცა, ზუსტად ვერ ვიხსენებ - ერთ სოლიდურ ღონისძიებაზე ვიყავით მიწვეულები მასმედიის წარმომადგენლები. მე და **კობა სვინტრაძეც** წავედით. რაღაც მომენტში „მედიაპალიტრის“ ხელმძღვანელებთან ერთად მოვხვდით. გავიხსენე, დიდი გაჭირვების ჟამს როგორ იზიარებდა ჩვენს პრობლემებს მათი სტამბა. იქვე ვთქვი, რომ ურიგო არ იქნებოდა, „მედიაპალიტრის“ საგამომცემლო სახლის ქოლგის ქვეშ „ლელოც“ თუ გაერთიანდებოდა. მეტი იქ ნამდვილად არაფერი გვითქვამს, მაგრამ შემდეგ, სხვა დროს, თემა კობას განუვრცია. ჩვენი სურვილების დამთხვევის შემდეგ დრო დავთქვით, საორგანიზაციო საკითხების მოსაგვარებლად. პრობლემას მხოლოდ „იმედის“ დარბევისას განადგურებული ბულალტერია გვიქმნიდა. თუ როგორ იჩინა თავი ამ დილემამ მოგვიანებით და რის საზღაურად პირადად ჩემთვის, გახსენებაც არ მინდა.

ძალიან თბილად მიგვიღეს „მედიაპალიტრის“ დიდ და ჯანსაღ ოჯახში. ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს დიდი ხნის ნანატრი წევრი დაუბრუნდა მშობლიურ კერას. შეგვიქმნეს შესანიშნავი სამუშაო პირობები, მოგვეხსნა გაზეთის წარმოებასა და რეალიზაციასთან, სხვა ურთულეს პროცესებთან დაკავშირებული პრობლემები. ურთიერთობის პირველი დღიდანვე ვიგრძენი: მორჩა, ბოლო მოეღო ამ ისტორიული გაზეთის მომავალ ბედზე დიდი ხნის გაუნელებელ წუხილს და დარდს. „მედიაპალიტრა“ და მისი ხელმძღვანელობა ამ ყველაფრისთვის, „ლელოს“ ყველა თაობის მკითხველთა და საერთოდ, ქართული სპორტის სამყაროს სახელით ალალ მადლობას იმსახურებს.

■ ■ ■

ფაქტია, რომ „მედიაპალიტრის“ ორბიტაში მოქცევამ, ბოლო წლებში „ლელოს“ სარედაქციო და საგამომცემლო საქმიანობის ხარისხობრივი გაუმჯობესების რეალური პირობები შექმნა. ახალი რუბრიკები ინტერესით მიიღო მკითხველმა. განსაკუთრებით გამოვყოფდი რუბრიკას „ლელოს“ სტუმარი. საგამომცემლო სახლის საკონფერენციო დარბაზში „ლელოს“ ბანერის ფონზე ტარდება ეს შეხვედრები. მოწვეულთა მიღება-გამასპინძლების ჩინებული პირობები და ატმოსფერო ამაღლებულ განწყობას ქმნის. არა მხოლოდ ლეგენდარული და საყოველთაოდ ცნობილი სპორტსმენები თუ სპორტის სპეციალისტები, არამედ გვსტუმრობდნენ ხელოვნებისა და კულტურის, მეცნიერების აღიარებული წარმომადგენლები, რომელთა ცხოვრება- შემოქმედებაში სპორტს გარკვეული ადგილი ეკავა თუ უკავია დღესაც.

ყველამ კარგად იცის, სიახლე თავისთავად გარკვეულ რისკსაც რომ შეიცავს. შოკისმომგვრელი აღმოჩნდა რედაქციის ზოგიერთი მუშაკისთვის გზა, რომელიც მე და **კობა სვინტრაძემ** ავირჩიეთ. იყვნენ ამ გზის მომხრეებიც, მოწინააღმდეგეებიც და ნეიტრალებიც - უფრო მოვლენების დამკვირვებლები. ჩვენი მხრიდან გადაწყვეტილების შეცვლა პრინციპულად გამოირიცხა. მერე ყველამ ყველაფერი კაცურად დავივიწყეთ. მაშინ პირველად დამაფიქრა იმან, რომ ზეციდან დაგვყურებდა გარდაცვლილ ლელოელთა სულები და მოგვიწოდებდა ერთიანობისა და სიყვარულისკენ, რითაც „ლელოს“ რედაქცია ქართულ მედიასივრცეში აშკარად სამაგალითო იყო ყოველთვის.

2013 წლის ბოლოს კიდევ ერთი ღირსსახსოვარი ნაბიჯი გადაიდგა „ლელოს“ ისტორიაში - შაბათობით გაზეთის ნაცვლად გამოდის ყოველკვირეული ჟურნალი „ლელო week“, რომელიც ფერადია და გამოირჩევა ბეჭდვის მაღალი დონით.

„მედიაპალიტრაში“ „ლელომ“ ზაფხულისა და ზამთრის ორ-ორი ოლიმპიური თამაშები მიითვალა. მეც მხვდა წილად ბედნიერება, მივლინებული ვყოფილიყავი ოთხივე ოლიმპიადაზე. თანამედროვე ტექნიკით კი შესაძლებელი გახდა არა მარტო გაზეთისთვის, არამედ ჩვენი საგამომცემლო სახლის სხვა მედიასაშუალებისთვისაც შეუფერხებლად და ოპერატიულად მომეწოდებინა ინფორმაციები.


ლაშა შავდათუაშვილი

ბარემ აქვე ვიტყვი ლონდონში გამართულ ზაფხულის ოლიმპიადაზე. ამჯერადაც ჩვენმა 35-მა ათლეტმა მოიპოვა თამაშებში გამოსვლის ლიცენზია. დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველად ყველაზე მეტი მედალი სწორედ ლონდონში დავიმსახურეთ. მონაგრიდან ერთი ოქრო იყო, სამ-სამი ვერცხლი და ბრინჯაო. მანამდე სამივე სინჯის ოლიმპიური ჯილდო ერთ თამაშებში ერთბაშად არასდროს დაგვიმსახურებია. ჩემპიონი გახდა გორში აღზრდილი ძიუდოისტი, 20 წლის **ლაშა შავდათუაშვილი**; ვერცხლის მედალს ამ ოლიმპიადაზე დაეუფლნენ მოჭიდავეები **დავით მოძმანაშვილი** და **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** (ორივე - თავისუფალი), **რევაზ ლაშხი** (ბ/რომაული); თავისუფალ ჭიდაობაში **გიორგი გოგშელიძემ** პეკინის შემდეგ ამჯერადაც ბრინჯაო მოიპოვა, იგივე წარმატება მის თანაგუნდელ **დავით მარსაგიშვილსაც** ხვდა წილად ლონდონში, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ასევე მესამე იყო **მანუჩარ ცხადაია**.

**თენგიზ გაჩეჩილაძე**

გაგრძელება იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიდაობა. მეტოქე

# სომხები ულიდეროდ დარჩნენ

მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე სულ რალაც ხუთიოდე დღე დარჩა – ეს პრესტიჟული შეჯიბრება 1 აპრილს აიღებს სტარტს ფინურ ვანტააში და მასში თავდაპირველად თავისუფალი სტილით მოჭიდავეები ჩაებმებიან. შეგახსენებთ, რომ იქ ჩვენგან **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** (57), **ბექა ლომთაძე** (61), **კონსტანტინე ხაბალაშვილი** (66), **დიმიტრი ბასილაშვილი** (70), **იაკობ მაქარაშვილი** (74), **დავით მარსაგიშვილი** (96), **დავით ქერაშვილი** (97) და **დავით მოძმანაშვილი** (125) გამოვლენ.

საქმეს ისეთი პირი უჩანს, ევროპის წლევანდელ პირველობას ბლომად დააკლდებიან ტიტულოვანი ფალავნები. უკვე გაცნობეთ, რომ რუსთა ჩეჩენმა და ოსმა ოლიმპიურმა ჩემპიონებმა, **ჯამალ ოთარსულთანოვმა** (61) და **ჰაჯიმურატ გაცალოვმა** (125) მსოფლიოს ჩემპიონატისთვის უკეთ მოსამზადებლად ამ შეჯიბრების გამოტოვება გადაწყვიტეს. ამ დღეებში სომხეთის ნაკრებიდან გავრცელდა იქაურთათვის არასასურველი ცნობა - მკერდის ტრავმის გამო კონტინენტის პირველობას გამოტოვებს მათი შარშანდელი ტრიუმფატორი, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი **დავიდ საფარიანი** (65), რომელიც სამკურნალოდ გერმანიაში გაემგზავრა. ცხადია, ეს სომეხთათვის დიდი დანაკლისია, მაგრამ შვებაა მისი მეტოქეებისთვის. ეს წონა ჩვენი ნაკრებისთვის არაა სტრატეგიული, თუმცა არც უშანსოდ ვართ, მაგრამ ხაბალაშვილისთვის ასეთი კონკურენტის გამოკლება მაინც მნიშვნელოვანია.

მნიშვნელოვნადაა გადახალისებული კიდევ ერთი ძლიერი ნაკრების – თურქეთის შემადგენლობა: **სეზერ აკგული** (57), **რეჯებ მუნირ აკტაში** (61), **სერვეტ კოშკუნი** (65), **იაკუპ გორი** (70), **სონერ დემირტაში** (74), **ფირატ ბინიჩი** (86), **რიზა ილდირიმი** (97) და **ტაჰა აკგული** (125) - ესენი დაიცავენ ფინეთში თურქეთის ღირსებას.

გუშინ შემადგენლობა გამოაცხადა ბელარუსთა დაღესტნელმა მწვრთნელმა **რუსლან შეიხოვმა**, ვინც გუნდში ოთხი თანამემამულე დააყენა: **სუხრო რაშიდხანოვი** (61), **აზამატ ნურიკოვი** (65), **ალი შაბანოვი** (74) და **მურად გაიდაროვი** (86), დანარჩენ წონებში კი **ვლადისლავ ანდრეევი** (57), **ანტონ აფანასიევი** (70), **ივან იანკოვსკი** (97) და **ვადიმ შვედოვი** (125) იასპარეზებენ. ამათგან აღსანიშნავია ევროპის ორგზის მეორე და სამგზის მესამე პრიზიორი გაიდაროვი, ვინც უკვე 34 წლისაა. ამ სპორტსმენებიდან შარშან თბილისში გამართულ ევროპის ჩემპიონატში ანდრეევმა ვერცხლი მოიპოვა. მაშინ ბელარუსებმა კიდევ ერთი მედალი მოიპოვეს – **ალექსანდრ კონტოევი** მაშინდელ 66 კილოგრამში მესამეზე გაჭიდა. წლეულს ის ახალშემოღებულ 70 კილოგრამში ცდილობდა დამკვიდრებას, მაგრამ როგორც შეიხოვმა განაცხადა, წონა არ ეყო და აფანასიევთან კონკურენციაში დამარცხდა.

უძლიერესი გუნდი არც ბულგარელებს ეყოლებათ: **გიორგი ვანგელოვი** (57), **ვლადიმირ დუბოვი** (61), **ბორისლავ ნოვაჩკოვი** (65), **მიროსლავ კიროვი** (70), **კირილ ტერზიევი** (74), **მიროსლავ გეჩევი** (86) და **ლიუბენ ილიევი** (97). აქ რამდენიმე დებიუტანტია, 74-ში კი **ლეონიდ ბაზანს** უნდა ეჭიდავა, მაგრამ ერთ-ერთ ვარჯიშზე სწორედ ტერზიევთან სპარინგისას ტრავმა მიიღო. მძიმე წონაში მათ ჯერ არ დაუსახელებიათ მონაწილე, მაგრამ არც ვინმე ჰყავთ ისეთი, მოძმანაშვილის რეალურ კონკურენტად რომ განვიხილოთ. უკრაინელთა შემადგენლობაში ამჯერად ვერ მოხვდნენ ქართველები – ევროპის შარშანდელი მესამე პრიზიორი **გია ჩიხლაძე** (74) და **ჯამბულ ცოტაძე** (86). მათ არც სხვა ლიდერები ეყოლებათ – ოლიმპიადისა და მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი **ვასილ ფედორიშინი** (61), მსოფლიოს ჩემპიონი **იბრაგიმ ალდატოვი** (86) და ვიცე-ჩემპიონი **ალენ ზასეევი** (125). ამ ბოლო ორის არყოფნა კი ნამდვილად კარგია მარსაგიშვილისა და მოძმანაშვილისთვის. უკრაინელთა ღირსებას **სერგეი რატუშნი** (57), **ვასილ შუპტარი** (61), **ანდრეი კვიატკოვსკი** (65), **სემენ რადულოვი** (70), **ოლეგ ბელოცერკოვსკი** (74), **ლიუბომირ საგალიუკი** (86), **პაველ ოლეინიკი** (97) და **ალექსანდრ ხოციანოვსკი** (125) დაიცავენ. ამათგან ოლეინიკი შარშან თბილისში ჩემპიონი გახდა.

აზერბაიჯანს უბრუნდება ოლიმპიური ჩემპიონი **ტოგრულ ასკეროვი** (65), ვისაც ოლიმპიადის შემდეგ თითქმის არც უჭიდავია. სამაგიეროდ, გუნდში ვერ მოხვდა მეორე ოლიმპიური ჩემპიონი **შარიფ შარიფოვი** (97), რომელიც **ხეტაგ გოზიუმოვთან** კონკურენციაში დამარცხდა. სხვა წონებში **გალიბ ალიევი** (57), **ჰაჯი ალიევი** (61), **რუსლან დიბირგაჯიევი** (70), **ჯაბრაილ ჰასანოვი** (74), **გამზათ ოსმანოვი** (86) და **ჯამალედდინ მაგომედოვი** (125) გამოვლენ. ამათგან პირველი ორი წონა ჩვენებისთვის დიდ საფრთხეს არ უნდა წარმოადგენდეს (ცხადია, ჩვენებიც თუ ფორმაში იქნებიან), მარსაგიშვილს წაგებები აქვს ოსმანოვთან, ხოლო მაგომედოვი, იმის მიუხედავად, რომ მსოფლიოს ჩემპიონია, ჩვენი მძიმეწონოსნებისთვის აქამდე იოლი ბარიერი იყო.

კიდევ ერთხელ შეგახსენებთ რუსთა ნაკრებს, რომელიც ადრეც გვეწერა: **რუსტამ ამპარი** (57), **ბეკხან გოიგერეევი** (61), **მაგომედ ყურბანალიევი** (65), **ისრაილ კასუმოვი** (70), **ანუარ გედუევი** (74), **რაშიდ სადულაევი** (86), **აბდუსალამ გადისოვი** (97) და **ალან ხუგაევი** (125). რუს ბერძენ-რომაელთა ქართველ მწვრთნელ **გოგი კოღუაშვილს** შემადგენლობა ოფიციალურად ჯერ არ დაუსახელებია, თუმცა გამოცხადდა, რომ არ იჭიდავებენ ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი **რომან ვლასოვი** (75) და მსოფლიოს შარშანდელი გამარჯვებული **ნიკიტა მელნიკოვი** (98). პირველს **ალექსანდრ ჩეხირკინი** შეცვლის, მეორეს – **მუსა ევლოევი** ანუ ისინი, რომლებმაც ლიდერებს ივან პოდუბნის მემორიალის ფინალში მოუგეს.


დავით მოძმანაშვილი

**ირაკლი თავაძე**

ჭიდაობა. რიგის ტურნირი

# 16 მედლით – რიგიდან

ქართველი ახალგაზრდები დიდი წარმატებით გამოვიდნენ რიგაში ჩატარებულ ფრეიდენფელდსის ტრადიციულ მემორიალში. ის ორივე სტილის ჭიდაობაში ტარდება, მხოლოდ ახალგაზრდებში, სადაც ბოლო წლებში ჩვენები სისტემატურად მიდიან. წლეულს მასში 17 ნაკრები გამოდიოდა, ჩვენგან კი ორივე გუნდი მონაწილეობდა. ქართველთა საერთო მონაგარი 16 მედალია - 8 ოქრო, 1 - ვერცხლი და 7 - ბრინჯაო. „თავისუფალთა" ნაკრების წილად 8 ჯილდოა – 3 ოქრო და 5 ბრინჯაო. ამ ძლიერი შეჯიბრების ჩემპიონები **შოთა ფარტენაძე** (60, ოლიმპიური რეზევების სასწავლებელი), **ომარ გურჯიძე** (66, ქუთაისი) და **ნოდარ კურტანიძე** (96, თბილისი) გახდნენ, მესამე საპრიზო ადგილებზე კი **ალექსანდრე კილაძე** (რუსთავი), **ნუგზარ ბოლქვაძე** (აჭარა, ორივე – 50), **რამაზ დარჩიძე** (55, ოლიმპიური რეზერვები), **ტარზან მაისურაძე** (74, თბილისი) და **გიორგი ჩხარტიშვილი** (84, თბილისი) გავიდნენ.

ბერძენ-რომაელებმაც 8 მედალი ირგუნეს – 5 ოქრო, 1 – ვერცხლი და 2 – ბრინჯაო. უკლებლივ ყველა შეხვედრა მოიგეს **გიზო მელაძემ** (5, ოლიმპიური რეზერვები), **შმაგი ბოლქვაძემ** (66, ოლიმპიური რეზერვები), **გელა ბოლქვაძემ** (74, აჭარა), **ლაშა გობაძემ** (84, აჭარა) და **აკაკი კანდელაკმა** (120, ოლიმპიური რეზერვები). **კუკური კირცხალია** (96) მხოლოდ ფინალში დამარცხდა, თუმცა მეორე შეხვედრიდან მოყოლებული, ტრავმირებული ფეხით ჭიდაობდა, **მურად მიქელაძე** (60, აჭარა) და **ბაკურ გოგოლი** (66, ოლიმპიური რეზერვები) მესამე ადგილს დასჯერდნენ.

ამ ნაკრებში საინტერესო იყო შმაგი ბოლქვაძისა და გოგოლის შეხვედრა. მათ საქართველოს პირველობის ფინალშიც იჭიდავეს და დრამატულ შეხვედრაში გოგოლმა იმარჯვა, ამჯერად კი ბოლქვაძემ რევანში აიღო. მწვრთნელების თქმით, შმაგიმ ძალიან ძლიერად იჭიდავა და ქულა არ დაუკარგავს, ტურნირი ისე მოიგო. ჩვენთვის საინტერესო ამბები მოხდა მძიმე წონაშიც, სადაც თავიდან ჭაბუკებში მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონმა **ზურაბ გედეხაურმა** ასევე ჭაბუკებში შარშანდელი სეზონის ტრიუმფატორი, მსოფლიოს ჩემპიონი და ევროპის ბრინჯაოს მედალოსანი **ზვიად პატარიძე** დაამარცხა. ქუთაისელი პატარიძე ჯერ ისევ ჭაბუკებში გამოდის და თავის ასაკში გამოკვეთილი ლიდერია, უფროსებთან პაექრობა კი გაუჭირდა. ამასთან, ის წონითაც პატარაა ჯერ (ჭაბუკებში მძიმე წონა 100 კილოგრამია), რიგაში კი ქართული დუელები ამით არ დასრულებულა და მოგვიანებით უკვე გედეხაურმა წააგო კანდელაკთან. კირცხალია რიგაში შარშან მესამეზე გავიდა, წლეულს კი ცოტა დააკლდა ჩემპიონობამდე. როგორც გითხარით, მან მეორე შეხვედრაში ფეხი იტკინა, მაგრამ მაინც შეძლო ფინალში გასვლა, გზად კი ორ ტიტულოვან მეტოქეს მოუგო – ახალგაზრდებში ნორვეგიელთა ევროპის ვიცე-ჩემპიონ **ფელიქს ბალდაუფს** და ამავე ასაკში ლიტველთა ევროპისა და მსოფლიოს შარშანდელ ბრინჯაოს მედალოსან **რომას ფრიდრიკასს**.

ჩვენი გუნდები ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადებიან, რომელიც 17-22 ივნისს პოლონურ კატოვიცეში გაიმართება. იქამდე ჩვენები კიდევ ორ საერთაშორისო ტურნირში გამოვლენ - ერთ თვეში ბაქოში იჭიდავებენ აზერბაიჯანის ჭიდაობის ფედერაციის თასზე, 16-18 მაისს კი თურქულ იზმირში გამოვლენ ახალგაზრდების ტრადიციულად ძლიერ საერთაშორისო ტურნირში „ჩემპიონები".

**ირაკლი თავაძე**

კალათბურთი. ვიზიტი



# რიჩარდ სტოკსი მოდის

თბილისს ოფიციალური ვიზიტით ეწვევა ფიბა-ევროპის სამსაჯო და საშეჯიბრო დეპარტამენტის უფროსი რიჩარდ სტოკსი, რომელიც 27-29 მარტს თბილისში სემინარებს ჩაატარებს. სტოკსის კომბინირებული სემინარები განკუთვნილი იქნება საქართველოს კალათბურთის მსაჯებისთვის, კომისრებისთვის, მსაჯ-მდივნებისა და მწვრთნელებისთვის. სემინარებს დაესწრებიან ასევე მწვრთნელები აზერბაიჯანიდან.

27 მარტს რიჩარდ სტოკსი სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილეს, თამაზ თევზაძეს ესტუმრება. 28 მარტს, როგორც ევროპის ოლიმპიური კომიტეტის ტექნიკური დელეგატი, სტოკსი საქართველოს ოლიმპიური კომიტეტისა და „თბილისი 2015-ის" ხელმძღვანელებს შეხვდება და ინსპექტირებას ჩაუტარებს ფესტივალისთვის განკუთვნილ საკალათბურთო არენებს.

იგი ასევე დაესწრება საქართველოს თასის ფინალს, რომელშიც ერთმანეთს „სოხუმი" და „ქუთაისი" დაუპირისპირდებიან.

**ვაჟა სიმონიშვილი**

კალათბურთი. ქართველები ფინეთში

# ბაქრაძე სასტარტოს დაუბრუნდა

ფინეთის ჩემპიონატის დასაწყისში **გივი ბაქრაძე** „კორიკობრატის" სასტარტო ხუთეულის უცვლელი წევრი იყო, თუმცა შუა სეზონში სიტუაცია შეიცვალა და გივი არათუ ხუთეულიდან ამოვარდა, სათამაშო დროც შეუმცირდა.

ბოლო ტურის მატჩში კი გივიმ სასტარტოში დაიბრუნა ადგილი. მან „ნილან ბიზონსთან" 17 წუთი ითამაშა და 5 ქულას 2 პასი და 1 ჩაჭრა მიამატა. განაცხადში იყო, მაგრამ არ უთამაშია ლაპუას „კორიკობრატის" მეორე ქართველს **არჩილ პულუზაშვილს**.

არ გეგონოთ, მატჩის შედეგის დაწერა დაგვავიწყდა - „კორიკობრატმა" სტუმრად 85:98 დათმო.

ამ მოგებით „ბიზონებმა" ფინეთის ჩემპიონატის სატურნირო ცხრილში პირველ ადგილზე აინაცვლეს. კორიკობრატს კი 13 გამარჯვების პარალელურად 24 წაგება აქვს და თორმეტგუნდა ჩემპიონატში მეათე ადგილზეა.

**ვაჟა სიმონიშვილი**


გივი ბაქრაძე

კალათბურთი. ქართველი ლიბანში

# მეორე დუბლი, მეორე მოგება


გიორგი ცინცაძე მეტოქის ფარქვეშ

ქართველმა გამთამაშებელმა **გიორგი ცინცაძემ** ლიბანის „ჩამპვილში" გადასვლის შემდეგ მეორე ორმაგი დუბლი მოაგროვა და მისმა გუნდმა მეორე გამარჯვება მოიპოვა. ჩამპვილელებმა „ჰუპსს" უმასპინძლეს და თითქმის თანაბარ ორთაბრძოლაში 88:79 იმარჯვეს.

ცინცაძემ მოედანზე 39 წუთი დაყო, 15 ქულა, 11 პასი, 5 მოხსნა და 1 ჩაჭრა მიითვალა. მან 10-დან 4 ორქულიანი, 5-დან 1 სამიანი და 6-დან 4 საჯარიმო ჩააგდო.

მატჩის სნაიპერი ცინცაძის თანაგუნდელი **ვლადან ვუკოსავლიევიჩი** გახდა - 26 ქულა, 15 მოხსნა. მისი დამსახურებით „ჩამპვილს" დიდი უპირატესობა ჰქონდა ფარქვეშ - მოხსნებში 48:24 იმარჯვა.

ცინცაძის გუნდს 5 მოგება აქვს და მერვე ადგილზეა, მომდევნო მატჩს 27 მარტს „ბიბლოსის" მოედანზე ჩაატარებს.

**ვაჟა სიმონიშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ინციდენტი



# სადისციპლინო კომისიამ გადაწყვიტა

20 მარტს საქართველოს ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრაში რუსთავის „ხარებსა“ და თბილისის „ყოჩებს“ შორის ჩხუბი ატყდა, რის შემდეგაც მატჩის არბიტრმა მასპინძელთა ორ მორაგბეს წითელი ბარათი უჩვენა. სტუმართა გუნდიდან კი ამდენივე მოთამაშე სინბინში გაუშვა. მსაჯის ამ გადაწყვეტილებით უკმაყოფილო რუსთაველებმა მოედანი დატოვეს და თამაში ჩაიშალა.

საქართველოს რაგბის კავშირის სადისციპლინო კომიტეტმა იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და გადაწყვიტა:

რუსთავის „ხარებს“ ჩაეთვალოს წაგება და დაჯარიმდეს 2000 ლარით.

რუსთავის ხარების მორაგბე **გიორგი ხაბაშვილი** დისკვალიფიცირებულია ორი სათამაშო კვირით. ხოლო **გიორგი ნათელაშვილი** ოთხი სათამაშო კვირით და დაჯარიმებულია 400 ლარით.

ბოლნისის „ყოჩების“ მორაგბე **დავით გრძელიშვილი** დისკვალიფიცირებულია ორი სათამაშო კვირით, ხოლო **გიორგი ხარშილაძე** დისკვალიფიცირებულია ოთხი სათამაშო კვირით და დაჯარიმებულია 400 ლარით.

**ბესიკ ჯანგავაძე**

საქართველოს ჩემპიონატი

# ორი დებიუტანტი დაემატა

საქართველოს ჩემპიონატის ჭაბუკთა B ლიგაში გათამაშება წლეულს უწინდელისგან განსხვავებული ფორმატით ჩატარდება. აქ მოასპარეზე 37 გუნდი რვა ჯგუფში განაწილდა. შეჯიბრება 3 ეტაპად გაიმართება და 31 ოქტომბერს დასრულდება.

გათამაშებაში რამდენიმე დებიუტანტია. ესენია: „ზვავი“ ყაზბეგი, „პონტო“ ქობულეთი და „ლომები“ ასპინძა. პირველი გამარჯვება მიითვალეს არსებობის მანძილზე თელავის „მუტრუკებმა“ და კიკეთის „იუნკრებმა“.

**ჭაბუკთა B ლიგა**

**A ჯგუფი**

**I ტური**

არმაზი-ლოკომოტივი 51:0, ჯიქები-ზვავი 126:0,

**II ტური**

ლოკომოტივი2-ჯიქები 3:56, ზვავი-არმია (გადაიდო).

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ჯიქები - 10 ქულა, 2. არმაზი - 5, 3. არმია - 0, 4. ლოკომტივი 2 - 0, 5. ზვავი - 0.

**B ჯგუფი**

**I ტური**

ჯვაროსნები-მუტრუკები 33:0, ყოჩები-მერანი 0:29.

**II ტური**

მუტრუკები-ყოჩები 15:3, მერანი-ხარები 5:27

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ჯვაროსნები - 5 ქულა, 2. ხარები - 5, 3. მერანი - 5, 4. მუტრუკები - 5, 5. ყოჩები - 0.

**C ჯგუფი**

**I ტური**

წიქარა-ვეფხვები 27:24, ხულიგანა-იუნკრები 21:3

**II ტური**

ვეფხვები-ხულიგანა 7:36, იუნკრები-აკადემია 16:10

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ხულიგანა - 9 ქულა, 2. წიქარა - 4, 3. იუნკრები - 4, 4. აკადემია - 1, 5. ვეფხვები - 1.

**D ჯგუფი**

**I ტური**

ლელო-თსუ 22:6, ტორნადო-ჩოხოსნები 8:26

**II ტური**

თსუ-ლოკომოტივი 39:5, ჩოხოსნები-ლელო 12:42

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ლელო - 10 ქულა, 2. თსუ - 5, 3. ჩოხოსნები - 5, 4. ტორნადო - 0, 5. ლოკომოტივი - 0.

**E ჯგუფი**

**I ტური**

ქუთაისი 2-პონტო ს32:6, იმერეთი-ქუთასი 5 12:22

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ქუთაისი 2 - 5 ქულა, 2. ქუთაისი 5 - 4, 3. იმერეთი - 0, 4. პონტო - 0.

**F ჯგუფი**

**I ტური**

ლეგიონი-გურია 12:6, ქუთაისი 3-დინოზავრი 31:5ს

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ქუთაისი 3 - 5 ქულა, 2. ლეგიონი - 4, 3. გურია - 1, 4. დინოზავრი - 0.

**G ჯგუფი**

**I ტური**

ქუთაისი 1-ლომები 29:3, რაინდები-ადიგენი 12:15

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ქუთაისი 1 - 5 ქულა, 2. ტაო - 4, 3. რაინდები - 1, 4. ლომები - 0.

**H ჯგუფი**

**I ტური**

არწივები-ჯიხა 3:3, ჯრუჭი-ტაო 5:5

**II ტური**

ტაო-არწივები 31:12, ჯიხა-ქუთაისი 4 0:0

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ტაო - 7 ქულა, 2. ჯიხა - 4, 3. ჯრუჭი - 2, 4. ქუთაისი 4 - 2, 5. არწივები - 2.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ლეგიონერები

# მჭედლიშვილი მონპელიეში?

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში მოასპარეზე ქართველ მორაგბეთა გუნდს, **მამუკა გორგოძისა** და **მიხეილ ნარიაშვილის** „მონპელიეს“ პირველხაზელების ტრავმების ეპიდემია აქვს. გამორიცხული არ არის, მონპელიელებმა სამედიცინო ჯოკერის პრინციპით რომელიმე პირველხაზელი აიყვანოს. ფრანგულ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ამ გუნდის ხელმძღვანელებმა მზერა ფედერალ 1 დივიზიონში, „ბაგნერეში“ მოასპარეზე **გიორგი მჭედლიშვილს** მიაპყრეს. აღმოჩნდება თუ არა „ლელოს“ კიდევ ერთი აღზრდილი საფრანგეთის ელიტურ დივიზიონში, უახლოეს დღეებში გაირკვევა.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ინფრასტრუქტურა

# სარაგბო კომპლექსი სექტემბერში გაიხსნება

ქუთაისს სულ მალე თანამედროვე სტანდარტების სარაგბო კომპლექსი ექნება და წარსულს ჩაბარდება ის დრო, როცა ადგილობრივი სარაგბო გუნდები ახლომდებარე სოფლებში ეძებდნენ სავარჯიშო მოედნებს და უმაღლესი თუ პირველი ლიგის გუნდებს ხან ბაშში, ხან კი ვანში მასპინძლობდნენ.

არც „დინამოს"' სტადიონზეა შესაბამისი პირობები, სადაც ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი „აია“ ამჟამად საშინაო შეხვედრებს ატარებს. პრობლემების მიუხედავად, ქუთაისელი მორაგბეები თავიანთ საყვარელ საქმეს წარმატებით აკეთებენ და მოთმინებით ელოდებიან იმ დღეს, როცა მეტოქეებს ახალ მოედანზე უმასპინძლებენ. როგორც „აიას'" მენეჯერმა **კობა გიორგაძემ** გვითხრა, სარაგბო კომპლექსის გახსნა მიმდინარე წლის სექტემბერში იგეგმება. დღეისათვის გაკეთებულია ძირითადი მოედანი, რომელსაც სამი მხრიდან აკრავს ტრიბუნები, მზად არის ადმინისტრაციული შენობა, იქ განთავსებულია გასახდელები, საშხაპეები, ფიტნეს დარბაზი, პრესცენტრი და სხვა ოთახები. ფიტნეს დარბაზის გარდა ყველა მათგანში შეტანილია თანამედროვე ინვენტარი.

*„ერთი მოედანი უკვე ბოლომდე მზადაა, მეორე მოედანზე კი, რომელიც ძირითადი სტადიონის უკან მდებარეობს, ყველაფერია გაკეთებული საფარის დასაგებად. დამატებით ორ მოედანზე, რომელიც ცალკე არის განთავსებული სადრენაჟო სისტემის მომზადებაა დაწყებული. ერთ მათგანზე დაიგება ბუნებრივი, ხოლო მეორეზე ხელოვნური საფარი. მზად არის ცენტრალური შესასვლელი შენობაც და საპარკინგე ადგილები. სამუშაოები ჩვეულ რიტმში მიმდინარეობს, დროებით მხოლოდ სასტუმროს მშენებლობაა შეჩერებული და როცა ოთხივე მოედანი საბოლოოდ მზად იქნება, სასტუმროს გაკეთებასაც დაიწყებენ. თუ რაიმემ ხელი არ შეგვიშალა, დიდი სურვილი გვაქვს, რომ კომპლექსი სექტემბერში გავხსნათ და მომდევნო ჩემპიონატის მატჩები იქ ჩავატაროთ“* - აღნიშნა ჩვენთან საუბარში კობა გიორგაძემ.

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან







ეროვნული ბიბლიოთეკა

● სპორტული წელი 2013

# ოსკარები დარიგებულია


სებასტიან ფეტელი სპორტული ოსკარით



მისი ფრანკლინი


მიუნხენის „ბაიერნი“

მალაიზიის დედაქალაქ კუალა ლუმპურში 2013 წლის სპორტული შედეგები შეაჯამეს. გუშინ, გაიმართა გალა-წარმოდგენა, რომელზეც Laureus World Sports Awards-ის პრესტიჟული პრემიები დაარიგეს. ამ პრიზს მეორენაირად „სპორტულ ოსკარებს“ უწოდებენ.

გთავაზობთ ყველაზე პრესტიჟულ ნომინაციებში გამარჯვებულთა სიას და შეგახსენებთ მათ მიღწევებს 2013 წელს:

### წლის სპორტსმენი (კაცი)
**სებასტიან ფეტელი**
**(გერმანია, ფორმულა 1)**

2013 წელს, **სებასტიან ფეტელი** შეუერთდა ფორმულა 1-ის სამ ლეგენდას - **ხუან-მანუელ ფანხიოს, მიხაელ შუმახერსა** და **ალენ პროსტს**, რომლებსაც მინიმუმ ოთხჯერ აქვთ მოგებული მსოფლიოს ჩემპიონატი. 26 წლისა და 116 დღის ასაკში, ფეტელი ფორმულა 1-ის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა ოთხგზის ჩემპიონი გახდა. გასულ სეზონში მან 13 გრანპრი მოიგო, მათ შორის ზედიზედ ცხრა, რაც ახალი რეკორდია.

### წლის სპორტსმენი (ქალი)
**მისი ფრანკლინი (აშშ, ცურვა)**

ამერიკელი მოცურავე ბარსელონაში გამართული მსოფლიოს ჩემპიონატის სენსაცია გახდა. ის არის პირველი ქალი ისტორიაში, ვინც ერთ ჩემპიონატზე ექვსი ოქრო მოიგო - სამი ინდივიდუალურ გაცურვაში და სამიც - ესტაფეტაში. და ეს მან 18 წლის ასაკში გააკეთა. შეგახსენებთ, რომ ფრანკლინი ლონდონის ოლიმპიადის ერთ-ერთი გმირიც იყო: მან 2012 წლის ზაფხულის თამაშებზე ოთხი ოქრო აიღო.

### წლის გუნდი
**ბაიერნი (გერმანია, ფეხბურთი)**

მიუნხენის „ბაიერნმა“ 2013 წელს ჰეთ-თრიკი შეასრულა: მოიგო გერმანიის ჩემპიონატი, გერმანიის თასი და ჩემპიონთა ლიგა. ბუნდესლიგაში მან მხოლოდ ერთი მატჩი წააგო და რამდენიმე რეკორდი დაამყარა: ყველაზე მეტი ქულა სეზონში (91), ქულათა ყველაზე დიდი სხვაობა უახლოეს კონკურენტთან (25), ყველაზე მეტი მოგება (29), ყველაზე ნაკლები გაშვებული გოლი (18). ნოემბერში მოსკოვის ცსკა-ს დამარცხების შემდეგ, „ბაიერნმა“ ჩემპიონთა ლიგაზე ზედიზედ 10 მატჩი მოიგო, რაც ასევე ახალი რეკორდია.

### წლის დაბრუნება
**რაფაელ ნადალი**
**(ესპანეთი, ჩოგბურთი)**

ესპანელი ჩოგბურთელი შვიდთვიანი პაუზის შემდეგ დაუბრუნდა კორტს, რის შემდეგაც მერვედ მოიგო როლან გაროსი, გაიმარჯვა აშშ-ის ღია პირველობაზე (მე-13 ტიტული „დიდ სლემზე“), დაიბრუნა პირველი ადგილი მსოფლიოს კლასიფიკაციაში და ხუთ „მასტერსზე“ მოიპოვა მთავარი პრიზი.

### წლის გარღვევა
**მარკ მარკესი**
**(ესპანეთი, მოტოგრანპრი)**

ესპანელი მოტომრბოლი ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონი გახდა - პირველობის დებიუტანტმა ტიტული 20 წლისა და 26 დღის ასაკში მოიპოვა. მან სეზონის განმავლობაში ექვსი რბოლა მოიგო და გაიმეორა **კენი რობერტსის** შედეგი, რომელმაც 1978 წელს, დებიუტანტის რანგში გაიმარჯვა ჩემპიონატზე.

### წლის სპორტსმენი შეზღუდული შესაძლებლობებით
**მარი ბოშე**
**(საფრანგეთი, სამთო თხილამურები)**

ფრანგი **მარი ბოშე**, რომელიც მარცხენა ხელის თანდაყოლილი ნაკლით დაიბადა, 2013 წელს დომინირებდა სამთო თხილამურებში. ის გახდა პირველი ქალი მოთხილამურე, ვინც მსოფლიოს ჩემპიონატზე ხუთივე დისციპლინა (სწრაფდაშვება, სუპერგიგანტი, გიგანტური სლალომი, სლალომი, სუპერკომბინაცია) მოიგო. მან ეს 19 წლის ასაკში გააკეთა.


რაფაელ ნადალი


მარკ მარკესი


მარი ბოშე

● კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# ასეთი დირკი არასოდეს გვინახავს

დასავლეთ კონფერენციაში სერიოზული ბრძოლა მიმდინარეობს პლეი ოფში მოსახვედრად. ნებისმიერი მარცხი, შესაძლოა, სადებისწერო გამოდგეს და არ შეუშვას ესა თუ ის კლუბი პლეი ოფში. ერთ-ერთი გუნდი, რომელიც ამ რბოლაში მონაწილეობს, „დალას მავერიქსია“. ის შინ ილებდა „ოკლაჰომას“. ერთმატჩიანი პაუზის შემდეგ, „თანდერს“ დაუბრუნდა **რასელ უესტბრუკი**, მაგრამ მას შეზღუდული სათამაშო დრო ჰქონდა. სავარაუდოდ, სწორედ ამან იმოქმედა მატჩის საბოლოო შედეგზე.

გუნდებმა პირველ ტაიმში „გაქცევები“ გაცვალეს: თავდაპირველად, 10 ქულით გავიდა წინ „მავერიქსი“, მოგვიანებით კი 9-ქულიანი უპირატესობა მიიღო „ოკლაჰომამ“. მაგრამ შემდეგ ანგარიში გათანაბრდა და ლიდერობა ხელიდან ხელში გადადიოდა. მოკლედ, საჩუქრების კეთება ძირითადი დროის ბოლომდე გაგრძელდა, როცა თითოეულმა გუნდმა სამქულიანი ჩამორჩენა შორეული ტყორცნით გააბათილა. **ხოსე კალდერონის** სამქულიანის შემდეგ, ტაბლოზე ექვსი „ერთიანი“ დაიწერა - 111:111. ძირითადი დროის ბოლოს, ვერც **კევინ დურანტმა** და ვერც **დირკ ნოვიცკიმ** ეს თანაფარდობა ვერ დაარღვიეს.

ოვერტაიმში კი, რომელიც „თანდერმა“ უესტბრუკის გარეშე დაიწყო, ნოვიცკიმ 7 ქულა დააგროვა და ეს გადამწყვეტი ფაქტორი აღმოჩნდა. უესტბრუკი სირენამდე ორი წუთით ადრე დაბრუნდა მოედანზე, მაგრამ ვერც მან და ვერც დურანტმა თამაშის გადარჩენა ვერ შეძლეს. საინტერესოა, რომ ნოვიცკიმ, რომელიც საუკეთესო წლებში თითქმის ყოველ მატჩში ასრულებდა ორმაგ დუბლს, ამ სეზონში მხოლოდ მეოთხედ მიაღწია ასეთ შედეგს. თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ გერმანელს 1306 მატჩი აქვს ჩატარებული ლიგაში და არასოდეს შეუგროვებია ერთ შეხვედრაში 32 ქულა, 10 მოხსნა, 6 პასი ლა 4 ჩაჭრა.

ამ მოგების წყალობით, ტეხასელებმა გაუსწრეს „ფინიქსს“ და ახლა, სწორედ ისინი იმყოფებიან დასავლეთში მერვე ადგილზე. მოვლენათა სასურველი განვითარების შემთხვევაში, „დალასს“ ცხრილში მეხუთე ადგილამდე ასვლაც შეუძლია.

კევინ დურანტის გულშემატკივრებმა კი თავი იმით უნდა ინუგეშონ, რომ მან ზედიზედ 36-ე მატჩი ჩაატარა, რომელშიც მინიმუმ 25 ქულა დააგროვა. მასზე წინ მხოლოდ სამი ლეგენდაა: **მაიკლ ჯორდანი** - 1986/87 (40), **ოსკარ რობერტსონი** - 1963/64 (46) და **უილტ ჩემბერლენი** - 1961/62 (80).

■ ■ ■

„ორლანდოსა“ და „პორტლენდის“ მატჩში მხოლოდ თამაშის სტარტზე ჩანდა, რომ „ბლეიზერსი“ დასავლეთში პლეი ოფის ზონაში იმყოფება, ხოლო „მეჯიქი“ აღმოსავლეთის ერთ-ერთი მთავარი აუტსაიდერია. მატჩის მეორე ნახევარში გუნდებმა თითქოს როლები გაცვალეს.

ახალბედა **ვიქტორ ოლადიპოს** აგრესიული თამაშით და **ტობიას ჰარისის** დამაჯერებელი მოქმედებებით, „ორლანდომ“ ჯერ წინ გასვლა შეძლო, შემდეგ კი მესამე მეოთხედი 11:0 გაქცევით დაასრულა. „ბლეიზერსის“ ჩამორჩენა 19 ქულამდე ავიდა. სტუმრებმა გაიბრძოლეს და სირენამდე 2.32 წუთით ადრე, **უესლი მეტიუზის** სამქულიანის შემდეგ, სხვაობა 11 ქულამდე შემცირდა. მაგრამ **ჟაკ ვონის** ახალგაზრდა გუნდის წევრებმა ბოლოს უშეცდომოდ ისროლეს საჯარიმოები და შეწყვიტეს ცხრამატჩიანი წაგებათა სერია.

„პორტლენდს“, რომელიც ერთი პირობა დასავლეთში ლიდერობდა, ახლა, კითხვის ნიშნის ქვეშ აქვს პლეი ოფში გასვლა. გუნდმა მეშვიდე მატჩი ჩაატარა **ლამარკუს ოლდრიჯის** გარეშე და ზედიზედ მესამე შეხვედრა წააგო. ამან ის გამოიწვია, რომ „ბლეიზერსს“ ძალიან მიუახლოვდნენ „გოლდენ სტეიტი“, „მემფისი“, „დალასი“ და „ფინიქსი“. ეს უკანასკნელი, რომელიც მეცხრე ადგილზეა, მხოლოდ ორი მოგებით ჩამორჩება ორეგონელებს.

■ ■ ■

**კარმელო ენტონის** ცუდი სტარტის მიუხედავად, როცა „ნიუ იორკის“ ლიდერმა პირველი შვიდი ტყორცნა ააცილა მიზანს, პირველი ნახევრის შემდეგ „ნიქსი“ „ლეიკერსთან“ მხოლოდ 8 ქულას აგებდა. მაგრამ დიდი შესვენების შემდეგ, კალიფორნიელებმა არანორმალური შედეგიანობა აჩვენეს. მათ არ შეიმჩნიეს **პაუ გასოლის** არყოფნა და საკლუბო რეკორდი დაამყარეს - ერთ მეოთხედში 51 (!) ქულა ჩააგდეს. „ნიქსმა“ ამას „მხოლოდ“ 31 ქულით უპასუხა, რის შემდეგაც, მატჩის ბედი გარკვეული იყო. მესამე მეოთხედში კალიფორნიელებმა 26-დან 19 ტყორცნა გამოიყენეს, მათ შორის იყო ექვსი ზუსტი სამქულიანი.

ზედიზედ რვა მატჩის მოგების შემდეგ, „ნიუ იორკმა“ მიჯრით ორი მატჩი წააგო, თან ურთულესი ხუთმატჩიანი ტურნე დაეწყო, რაც ძალიან ართულებს ამ გუნდის პლეი ოფის ზონაში მოხვედრას. „ნიქსს“ რეგულარულის ბოლომდე 11 მატჩი რჩება, ამასთან, მერვე ადგილზე მყოფ „ატლანტას“ **მაიკ ბუდენჰოლცერის** შეგირდებზე ოთხი წაგებით ნაკლები აქვს.



დირკ ნოვიცკი (მარცხნივ)

**კლივლენდი-ტორონტო 102:100**

26:17, 33:28, 29:36, 14:19

კ: უეიტერსი (24+7 პასი), დენგი (19+7 პასი), ტომპსონი (15+13 მოხსნა), ჯეკი (13), ჰეიესი (11), ვარეჟაო (11+8 მოხსნა).

ტ: ლოური (22+10 პასი), ვასკესი (16), როსი (16), დეროზანი (13+8 პასი), ჯონსონი (12+9 მოხსნა).

**ორლანდო-პორტლენდი 95:85**

23:26, 27:16, 29:23, 16:20

ო: ჰარისი (25+11 მოხსნა), ვუჩევიჩი (22+10 მოხსნა), ოლადიპო (13), ლემბი (11), აფლალო (10).

პ: ლოპესი (20+13 მოხსნა), მეტიუზი (18), ლილარდი (17).

**დალასი-ოკლაჰომა 128:119 (ო)**

28:24, 31:36, 25:29, 27:22, 17:8

დ: ნოვიცკი (32+10 მოხსნა+4 ჩაჭრა), კალდერონი (22+8 პასი), ელისი (17+4 ჩაჭრა), კარტერი (16), მერიონი (11), დალემბერი (10), კრაუდერი (10).

ო: დურანტი (43), უესტბრუკი (23+8 პასი), ფიშერი (13), ჯექსონი (11+8 პასი), იბაკა (10), ბატლერი (10).

**ლეიკერსი-ნიუ იორკი 127:96**

14:22, 36:20, 51:31, 26:23

ლ: ჰენრი (22), იანგი (20), ბეიზმორი (18), მიქსი (14+4 ჩაჭრა), კამანი (13+9 მოხსნა).

ნ-ი: ენტონი (29+9 მოხსნა), ჰარდუეი (17), სტაუდმაიერი (16), სმიტი (12), ჩენდლერი (12).

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ამბები

**ჭადრაკი**

### ოთხივე ყაიმი

რუსეთის ქალაქ ხანტი-მანსიისკში გრძელდება პრეტენდენტთა ტურნირი, რომლის გამარჯვებული შემოდგომაზე მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონს, ნორვეგიელ **მაგნუს კარლსენს** შეხვდება.

გუშინ მე-11 ტური გაიართა და ცენტრალური იყო პარტია ინდოელ **ვიშვანათან ანანდსა** და რუს **ვლადიმერ კრამნიკს** შორის. 31-ე სვლაზე ყაიმი დაფიქსირდა, ისევე როგორც დღის დანარჩენ სამ პარტიაში.

**XI ტური:** კრამნიკი (რუსეთ)-ანანდი (ინდოეთი) 0,5:0,5; სვიდლერი (რუსეთი)-არონიანი (სომხეთი) 0,5:0,5; ანდრეიკინი (რუსეთი)-მამედიაროვი (აზერბაიჯანი) 0,5:0,5; ტოპალოვი (ბულგარეთი)-კარიაკინი (რუსეთი) 0,5:0,5.

**სატურნირო მდგომარეობა:** ანანდი - 7 ქულა; არონიანი - 6; კარიაკინი, მამედიაროვი, სვიდლერი - 5,5-5,5; ანდრეიკინი, კარმნიკი - 5-5; ტოპალოვი - 4,5.

**კალათბურთი**

### ბოში მაიამიში დარჩა

„მაიამი ჰიტის" ლიდერმა **კრის ბოშმა** განაცხადა, რომ ფლორიდულ კლუბში დარჩენას აპირებს. უახლოეს ხანში, 30 წლის მძიმე ფორვარდი „ჰიტთან" ახალ კონტრაქტს გააფორმებს. ამ სეზონის შემდეგ, ბოშს შეუზღუდავი თავისუფალი აგენტის სტატუსი უნდა მიეღო, მაგრამ გადაწყვიტა არ განეხილა სხვა კლუბების შეთავაზებები.

ამ სეზონში ბოშის სტატისტიკა 16.6 ქულასა და 6.8 მოხსნას უდრის.

### შაკი ექვმიტანილია

NBA-ის ლეგენდარული კალათბურთელი **შაკილ ო'ნილი** ადამიანზე თავდასხმაშია ექვმიტანილი. ატლანტას პოლიცია ამ საქმის გამოძიებას აწარმოებს და სწავლობს ტელეარხ TNT-ის თანამშრომლის **რობერტ უილიამსის** სარჩელს.

დაზარებულის თქმით, ინციდენტი 2013 წლის 9 მარტს TNT-ის შენობაში მოხდა. უილიამსი ამტკიცებს, რომ შაკმა ის მუშტის დარტყმით იატაკზე დასცა, შემდეგ მთელი სხეულით დაეცა მსხვერპლს და ზურგის ტრავმა მიაყენა.

**ფორმულა 1**

### ფერარის ძველი პრეზიდენტი ეყოლება

**ლუკა დე მონტეძემოლო** კიდევ სამი წელი დარჩება „ფერარის" პრეზიდენტის პოსტზე - ასეთი გადაწყვეტილება მიიღო იტალიური კომპანიის დირექტორთა საბჭომ.

„ფერარის" დამაარსებლის ვაჟმა **პიერო ფერარიმ** შეინარჩუნა ვიცე-პრეზიდენტის პოსტი, **ამედეო ფელისა** კი ისევ აღმასრულებელი დირექტორი იქნება.

**ჰოკეი**

### მალკინმა უნდა დაისვენოს

„პიტსბურგ პინგვინზის" ფორვარდი **ევგენი მალკინი** ორ-სამ კვირას გამოტოვებს ტერფის ტრავმის გამო. ეს ინფორმაცია ჟურნალისტებს გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **დენ ბილსმამ** აცნობა. რუსმა ვარსკვლავმა დაზიანება ორი დღის წინ, „სენტ ლუისთან" 0:1 წაგების შემდეგ მიიღო.

## ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

**ტორონტო-სტ ლუისი 3:5**

1:2, 0:2, 2:1

**გოლები:** 1:0 ლუპული-21 (კადრი-30, გარდინერი-14), 1:1 ოში-18 (პოლაკი-8, ჯეკმენი-12), 1:2 ბეკსი-25 (ოში-38), 1:3 ბეკსი-26 (პიეტრანჯელო-41, სტინი-25), 1:4 სტინი-31 (მატენკირკი-33, ბერგლუნდი-18), 2:4 გუნარსონი-3, 3:4 ვან რიმსდიკი-28 (კესელი-41, გარიდნერი-15), 3:5 ბეკსი-27 (ოში-39, სტინი-26).

**პიტსბურგი-ფინიქსი 2:3**

2:1, 0:1, 0:0

**გოლები:** 0:1 მოსი-7 (ჰანზალი-25, მაკმილანი-3), 1:1 ი. იოკინენი-18 (ჯ. ნილი-30, კროსბი-61), 1:2 ვერმეტი-24 (დოუნი-22, ბოდკერი-28), 2:2 პიატი-3 (სკუდერი-4, დესპრე-5), 2:3 ბოდკერი-18 (დოუნი-23, სტოუნი-12).

**ვაშინგტონი-ლოს ანჯელესი 4:5 (ბ)**

2:0, 1:1, 1:3, 0:0, 0:2

**გოლები:** 1:0 ოვეჩკინი-47 (ჯ. კარლსონი-22, ბროუერი-15), 2:0 ოვეჩკინი-48 (ბროუერი-16, ბექსტრიომი-57), 2:1 მ. რიჩარდსი-11 (მარტინესი-8, მუზინი-16), 3:1 პენერი-14 (კ. ბრაუნი-1), 3:2 კინგი-14 (დ. ბრაუნი-11, უ. მიტჩელი-6), 3:3 გაბორიკი-9 (ტოფოლი-16, მუზინი-17), 3:4 დ. ბრაუნი-14 (კინგი-15, სტოლი-17), 4:4 კუზნეცოვი-1 (ოვეჩკინი-24, ფერი-15).

**ბულიტები გაიტანეს:** კოპიტარი (ლოს ანჯელესი), ჯ. კარტერი (ლოს ანჯელესი).

**კაროლინა-აილენდერსი 4:5**

2:4, 2:1, 0:0

**გოლები:** 0:1 კ. მაკდონალდი-7 (ჰიკი-16, სტროუმი-7), 0:2 კლატერბეკი-11 (ბეილი-22, ჰამონიკი-12), 0:3 კ. მაკდონალდი-8 (დე ჰაანი-12, ჰამონიკი-13), 0:4 მ. მარტინი-6 (ჩუჩმანი-1, ჰიკი-17), 1:4 სკინერი-27 (ლოკტიონოვი-10, ჰარისონი-8), 2:4 ლოკტიონოვი-6 (ტლუსტი-12, ბელემორი-3), 3:4 სიომინი-22 (ჯ. სტაალი-23, ლაილსი-5), 3:5 მ. მარტინი-7 (სტროუმი-8, კ. მაკდონალდი-8), 4:5 გერბე-16 (ჯ. სტაალი-24, ჰეინსი-11).

**ფლორიდა-ოტავა 3:2 (ბ)**

0:0, 2:2, 0:0, 0:0, 2:1

**გოლები:** 0:1 სტოუნი-2 (ე. კარლსონი-49, ტარისი-28), 0:2 მაკარტური-22 (ვირჩიოკი-14, ტარისი-29), 1:2 ბერგენჰაიმი-15 (ბ. კემპბელი-26, ბიუგსტადი-19), 2:2 ტოჩეკი-3 (აპშოლი-21, ფლიშმანი-19).

**ბულიტები გაიტანეს:** ტარისი (ოტავა), ტროჩეკი (ფლორიდა), პირი (ფლორიდა).

**კოლამბუსი-დეტროიტი 4:2**

2:1, 0:1, 2:0

**გოლები:** 1:0 რ. იოჰანსენი-28 (ჯენერი-10, ვიშნიევსკი-34), 2:0 დუბინსკი-15 (ჯ. ჯონსონი-24, ვიშნიევსკი-35), 2:1 ნიკუისტი-24 (შიჰენი-14, ტატარი-15), 2:2 ნიკუისტი-25 (ტატარი-16), 3:2 ატკინსონი-19 (კალვერტი-13, დუბინსკი-29), 4:2 რ. იოჰანსენი-29 (ვიშნიევსკი-36).

**ჩიკაგო-დალასი 4:2**

1:0, 2:1, 1:1

**გოლები:** 1:0 შოუ-19 (შარპი-40, ტეივზი-39), 2:0 ვერსტიგი-12 (კიტი-51, სიბრუკი-33), 2:1 გარბუტი-13 (სეგუინი-43, ჯორდი ბენი-14), 3:1 კიტი-6 (შარპი-41, შოუ-17), 3:2 გარბუტი-14 (ფიდლერი-11, რუსელი-13), 4:2 მარიან ჰოსა-26.

**ნეშვილი-კოლორადო 4:5 (ბ)**

2:1, 1:1, 1:2, 0:0, 1:2

**გოლები:** 1:0 იოსი-10 (გ. ბურკი-15, კ. სმიტი-22), 2:0 იოსი-11 (იარნკროკი-3), 2:1 ლანდესკოგი-22 (პ. შჩასტნი-29, მაკინონი-32), 2:2 ლანდესკოგი-23 (პ. შჩასტნი-30), 3:2 კულენი-8 (ელისი-17, ფიშერი-21), 3:3 მაკლეოდი-4 (დუშენი-46, ბენუა-20), 4:3 კულენი-9 (ჰორნკვისტი-25, ელისი-18), 4:4 ჰოლდენი-9 (ლანდესკოგი-36, ბერი-22).

**ბულიტები გაიტანეს:** იანკროკი (ნეშვილი), რ. ო'რაილი (კოლორადო), ლანდესკოგი (კოლორადო).

**ედმონტონი-სან ხოსე 2:5**

1:0, 0:3, 1:2

**გოლები:** 1:0 პერონი-26 (ტ. ჰოლი-42, პეტრი-10), 1:1 პაველსკი-35 (მარლო-33, ჯ. ტორნტონი-59), 1:2 მარლო-31 (პაველსკი-34, ბერნსი-20), 1:3 ჰავლატი-9 (დემერსი-28), 1:4 პაველსკი-36 (დ. ბოილი-21, ბერნსი-21), 1:5 პაველსკი-37 (ჯ. ტორნტონი-60, ბ. სტიუარტი-7), 2:5 ტ. ჰოლი-25 (ფერენსი-15, ებერლე-32).

**მონრეალი-ბაფალო 2:0**

0:0, 0:0, 2:0

**გოლები:** 1:0 პასიორეტი-32 (ვანეკი-34, დეშარნე-32), 2:0 ბრიერი-13 (რ. ბურკი-6).

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ევრო 2014**

**UNDER 17**

| | |
|---|---|
| შვეიცარია-უელსი | 1:0 |
| ესპანეთი-რუსეთი | 1:1 |
| იტალია-ალბანეთი | 2:1 |
| ინგლისი-ჩეხეთი | 1:0 |
| სერბეთი-ირლანდია | 2:1 |
| რუმინეთი-ბოსნია | 0:1 |
| ბელგია-შოტლანდია | 1:3 |
| ისლანდია-უკრაინა | 0:2 |
| პორტუგალია-ლატვია | 3:0 |

**ინგლისი**

| | |
|---|---|
| ვესტ ჰემი-ჰალი | 2:1 |
| ლივერპული-სანდერლენდი | 2:1 |

**I ლიგა**

| | |
|---|---|
| ქოვენთრი-სტივენეიჯი | 1:0 |

**კონფერენსი**

| | |
|---|---|
| სალისბერი-კემბრიჯი | 0:3 |

**იტალია**

| | |
|---|---|
| ატალანტა-ლივორნო | 2:0 |
| კალიარი-ვერონა | 1:0 |
| კატანია-ნაპოლი | 2:4 |
| კიევო-ბოლონია | 3:0 |
| ფიორენტინა-მილანი | 0:2 |
| ჯენოა-ლაციო | 2:0 |
| იუვენტუსი-პარმა | 2:1 |
| სასუოლო-სამპდორია | 1:2 |

**ესპანეთი**

| | |
|---|---|
| ბარსელონა-სელტა | 3:0 |
| ვალეკანო-ოსასუნა | 1:0 |
| ატლეტიკო-გრანადა | 1:0 |
| სევილია-რეალი | 2:1 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| აუგსბურგი-ლევერკუზენი | 1:3 |
| აინტარხტი-ბორუსია (მ) | 1:0 |
| ჰამბურგი-ფრაიბურგი | 1:1 |
| ჰოფენჰაიმი-ჰანოვერი | 3:1 |
| ნიურნბერგი-შტუტგარტი | 2:0 |

**II ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| აუე-ფრანქფურტი | 2:1 |
| კოტბუსი-მიუნხენი | 1:2 |
| კიოლნი-კარლსრუე | 2:0 |
| კაიზერი-არმინია | 1:1 |

**III ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| ჰალეშერი-დორტმუნდი II | 0:0 |
| დუისბურგი-ელვერსბერგი | 3:0 |
| კილი-შტუტგარტი II | 3:0 |
| მიუნსტერი-ხემნიცი | 3:1 |
| ლაიპციგი-ჰაიდენჰაიმი | 1:1 |

**რეგიონალლიგა (დას)**

| | |
|---|---|
| კიოლნი II-ფორტუნა | 0:2 |
| ლიპშტადტი-ფერლი | 1:1 |

**რეგიონალლიგა (ს-დ)**

| | |
|---|---|
| კობლენცი-პფიულენდორფი | 3:0 |
| მანჰაიმი-კასელი | 3:0 |
| ვორმატია-კაიზერი II | 1:0 |

**საფრანგეთის თასი**

**1/4 ფინალი**

| | |
|---|---|
| კანი-გინგამი | 0:2 |
| მონაკო-ლანსი | 6:0 |

**ჰოლანდიის თასი**

**1/2 ფინალი**

| | |
|---|---|
| ცვოლე-ნიიმეგენი | 2:1 |

**პორტუგალიის თასი**

**1/2 ფინალი. I მატჩები**

| | |
|---|---|
| ბრაგა-რიუ ავე | 0:0 |
| პორტუ-ბენფიკა | 1:0 |

**შოტლანდია**

| | |
|---|---|
| დანდი იუნ-ინვერნესი | 2:1 |
| პარტიკი-სელტიკი | 1:5 |

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| ანდორა-ინდონეზია | 0:1 |

**დანიის თასი**

**1/2 ფინალი. I მატჩი**

| | |
|---|---|
| კოპენჰაგენი-ნორდსილანდი | 1:0 |

**ავსტრია**

| | |
|---|---|
| ავსტრია-ზალცბურგი | 3:0 |
| პელეტსი-რიდი | 0:2 |
| გრიოდიგი-შტურმი | 0:6 |
| ვინერი-რაპიდი | 0:3 |

**შვეიცარიის თასი**

**1/2 ფინალი**

| | |
|---|---|
| ბაზელი-ლუცერნი | 1:0 |
| ციურიხი-თუნი | 0:0 პენ. 5:4 |

**საბერძნეთი**

| | |
|---|---|
| პლატანიასი-ლევადია | 2:0 |
| ვერია-ქსანტი | 3:2 |
| არისი-ერგოტელისი | 0:2 |
| ოფი-ატრომიტოსი | 2:0 |
| პანიონიოსი-პანაიტოლიკოსი | 1:1 |
| ასტერასი-ოლიმპიაკოსი | 2:1 |
| პანათინაიკოსი-კალონი | 3:0 |

**თურქეთის თასი**

**1/2 ფინალი. I მატჩი**

| | |
|---|---|
| ესქისეჰირი-ანთალია | 0:1 |

**ჩეხეთის თასი**

**1/4 ფინალი. I მატჩები**

| | |
|---|---|
| პლზენი-იქსკრა | 4:0 |
| დუკლა-სპარტა | 2:1 |
| სლავია-ბრნო | 0:1 |

**რუსეთის თასი**

**1/4 ფინალი**

| | |
|---|---|
| ტომი-ლუჩ ენერგია | 1:1 დ.დ. 1:2 |
| კრასნოდარი-ტოსნო | 3:0 |
| როსტოვი-როტორი | 3:0 |

**უკრაინის თასი**

**1/4 ფინალი**

| | |
|---|---|
| დესნა-შახტარი | 0:2 |
| სლავუტიჩი-ნივა | 1:1 პენ. 4:3 |
| ტერნოპოლი-ჩერნომორეცი | 0:1 |
| მეტალისტი-დინამო | 2:3 |

**პოლონეთის თასი**

**1/4 ფინალი. II მატჩები**

| | |
|---|---|
| სანდესია-ზაგლეზე | 0:5 (0:2) |
| გურნიკი-ზავიშა | 0:3 (1:2) |

**ხორვატიის თასი**

**1/2 ფინალი. II მატჩები**

| | |
|---|---|
| დინამო-სლავენი | 2:1 (2:0) |
| ისტრა-რიეკა | 0:1 (1:2) |

**სერბეთის თასი**

**1/2 ფინალი. I მატჩები**

| | |
|---|---|
| ოფკ-იაგოდინა | 1:2 |
| ვოივოდინა-სპარტაკი | 1:0 |

**სლოვენიის თასი**

**1/2 ფინალი. I მატჩები**

| | |
|---|---|
| რუდარი-გორიცა | 0:1 |
| მარიბორი-ოლიმპია | 1:0 |

**უნგრეთის თასი**

**1/4 ფინალი. II მატჩი**

| | |
|---|---|
| დიოშდიორი-ლომბარდი | 3:0 (2:2) |
| დიორი-მტკ | 3:3 (0:2) |
| უიპეშტი-პეჩი | 4:0 (3:1) |

**რუმინეთის თასი**

**1/2 ფინალი. I მატჩი**

| | |
|---|---|
| პეტროლული-ასტრა | 0:0 |

**ბულგარეთი**

| | |
|---|---|
| ბოტევი-ჩერნო მორე | 1:1 |
| ლოკომოტივი (ს)-ბეროე | 0:0 |
| ლიუბიმეცი-პირინი | 1:2 |
| ცსკა-ლუდოგორეცი | 0:1 |

**ლიტვა**

| | |
|---|---|
| გრანიტასი-კრუოია | 2:2 |
| სუდუვა-ტრაკაი | 0:1 |

**ბოსნია**

**1/4 ფინალი. II მატჩები**

| | |
|---|---|
| ოლიმპიკი-შიროკი ბრიეგი | 3:2 (0:2) |
| სარაევო-ჟელეზნიჩარი | 0:0 (1:1) |
| ველეჟი-სლიკი | 1:1 (0:0) |
| ჟრინსკი-მლადოსტი | 5:1 (1:0) |

**მაკედონია**

| | |
|---|---|
| ბრეგალნიცა-ტურნოვო | 1:0 |
| გოსტივარი-მეტალურგი | 1:5 |
| მაკედონია-ვარდარი | 2:2 |
| ნაპრედოკი-პელისტერი | 1:3 |
| შკენდია-რაბოტნიჩკი | 3:1 |

**ჩერნოგორია**

| | |
|---|---|
| გრბალი-სელიკი | 1:0 |
| მლადოსტი-ლოვჩენი | 2:4 |
| მოგრენი-სუტიესკა | 0:2 |
| მორნარი-დეციჩი | 2:1 |
| რუდარი-ბუდუჩნოსტი | 2:0 |
| ზეტა-პეტროვაცი | 1:2 |

**ისრაელის თასი**

**1/4 ფინალი**

| | |
|---|---|
| ირონი-ბეითარი | 2:0 |

**ჩილე**

| | |
|---|---|
| პალესტინო-უნ. ესპანიოლი | 1:2 |

**გვატემალა**

| | |
|---|---|
| მუნისიპალი-ისტაპა | 3:1 |
| კოატეპეკე-სუჩიტეპეკესი | 1:1 |
| დეპ. მალაკატეკო-ჩელახუ | 2:0 |
| მიკტლანი-კომუნიკასიონესი | 3:0 |

**ჰონდურასი**

| | |
|---|---|
| დეპ. სავიო-მარათონი | 0:1 |

**სინგაპური**

| | |
|---|---|
| იანგ ლაიონსი-ტანიონგი | 2:3 |
| ვუდლენდსი-ნიიგატა | 1:1 |

**კორეა**

| | |
|---|---|
| ჩუნამი-ულსანი | 1:0 |
| გიეონგნამი-ინჩეონი | 1:0 |
| ჟეონბუკი-პოჰანგი | 1:3 |
| ბუსანი-სანგჯუ | 1:1 |
| სეული-ჯეჯუ | 2:0 |
| სეონგნამი-სუვონი | 2:0 |

**ს. აფრიკა**

| | |
|---|---|
| კაიზერ ჩიფსი-ბაფალო | 2:1 |
| მოროკა-სუპერსპორტი | 0:1 |

**კალათბურთი**

**ევროთასი**

| | |
|---|---|
| უნიქსი-ანკარა | 88:52 |
| ნ. ნოვგოროდი-ჰაპოელი (ი) | 88:72 |
| ცრ. ზვეზდა-ბუდიველნიკი | 63:60 |

**ჰოკეი**

**კჰლ**

| | |
|---|---|
| სკა-ლოკომოტივი | 2:3 |
| ლევი-დონბასი | 3:1 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| ჰამბურგი-იზერლონი | 3:1 |
| კრეფელდი-ინგლოშტადტი | 4:5 |
| მანჰაიმი-კიოლნი | 1:2 |

**სლოვაკეთი**

| | |
|---|---|
| ნიტრა-ზვოლენი | 6:2 |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| ბლუზი-ლუკო | 4:5 (ო) |
| პელიკანსი-ტაპარა | 2:3 |
| ჰპკ-კერპეტი | 0:4 |
| იუვიასკიულა-სეიპა | 2:1 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| ზლინი-კრალოვე | 4:0 |
| პლზენი-ბრნო | 2:3 |
| ტრშინეცი-პარდუბიცე | 6:3 |
| სპარტა-ვიტკოვიცე | 2:1 (ო) |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| ლულეა-ვექშიო | 0:1 |

**ჩოგბურთი**

**ATP. მაიამი**

| | |
|---|---|
| მარეი-ჯოკოვიჩი | 5:7, 3:6 |

**WTA. მაიამი**

| | |
|---|---|
| ციბულკოვა-ა. რადვანსკა | 3:6, 7:6, 6:3 |

## TV პროგრამა

**27 მარტი. ხუთშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** გერმანიის ჩემპიონატი. XXVII ტური. ნიურნბერგი-შტუტგარტი.
**12:00** გერმანიის ჩემპიონატი. XXVII ტური. ჰამბურგი-ფრაიბურგი.
**14:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. გრონინგენი-ვიტესი.
**16:00** გერმანიის ჩემპიონატი. XXVI ტური. მაინცი-ბაიერნი.
**18:00** არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**19:00** გერმანიის ჩემპიონატი. XXVII ტური. აუგსბურგი-ლევერკუზენი.
**21:00** ევროპის ლიგა. სტუდიური მიმოხილვა.
**22:00** პორტუგალიის ჩემპიონატი. XXIV ტური. პორტო-ბელენენსეში.
**00:00** გერმანიის ჩემპიონატი. XXVII ტური. დორტმუნდი-შალკე.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ეინდჰოვენი-როდა.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. ევროლიგა. TOP16. ბარსელონა-ფენერბახჩე.
**14:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MUNDIAL.
**15:00** ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. სეტუბალი-ეშტორილი.
**17:00** რაგბი. ექვსი ერის თასი. შოტლანდია-საფრანგეთი.
**19:00** სპორტ-NEWS.
**19:30** მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდები.
**20:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**21:15** პროგრამა - სპორტი ქუსლებზე.
**21:45** კალათბურთი. ევროლიგა. TOP16. XII ტური. ჟალგირისი-გალათასარაი (LIVE).
**23:45** კალათბურთი. ევროლიგა. TOP16. XII ტური. უნიკახა-ოლიმპიაკოსი (LIVE).

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მაიამი. აშშ.
**13:30** სპორტ-NEWS.
**14:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მაიამი. აშშ.
**17:30** საჩოგბურთო მიმოხილვა.
**17:50** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მაიამი. აშშ.
**19:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მაიამი. აშშ.
**21:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მაიამი. აშშ.
**23:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მაიამი. აშშ (LIVE).

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მხოლოდ ვავრინკამ ვერ გაამართლა

როგორც ჩანს, ინდიან უელსის მასტერსის შემდეგ, მამაკაცთა პროფესიული ტურის ლიდერებმა ოპტიმალური ფორმა აკრიფეს და მაიამის მასტერსზე დამაჯერებლად იგებენ საწყისი ეტაპების მატჩებს. ერთადერთი, ვისზეც ამის თქმა არ შეიძლება, ავსტრალიის ღია პირველობის ჩემპიონი **სტანისლას ვავრინკაა**. გუშინ, მერვედფინალური რაუნდის დღე იყო და შვეიცარიელმა ზედიზედ მეორე ტურნირზე ვერ შეძლო მეოთხედფინალში გასვლა. თუმცა მის წაგებას უკრაინელ **ალექსანდრ დოლგოპოლოვთან** სენსაციას ვერ ვუწოდებთ, რადგან ეს ჩოგბურთელი კვირანახევრის წინ, ინდიან უელსში ნახევარფინალამდე მივიდა და გზად **რაფაელ ნადალი** დაამარცხა.

რაც შეეხებათ სხვა ფავორიტებს, მათ იოლი გასეირნება ელოდათ. ესპანელმა **ტომი რობრედომ** ვერაფერი დაუპირისპირა სერბ **ნოვაკ ჯოკოვიჩს**. მსოფლიოს მეორე ჩოგანმა თითო სეტში თითო ბრეიკი გაიფორმა და ეს საკმარისი აღმოჩნდა გამარჯვებისთვის.

ნოვაკის შემდეგი მეტოქე იქნება **ენდი მარეი**, რომელიც ძალიან კარგ ფორმაში შევიდა და აღარ სჭირდება სამსეტიანი მატჩების ჩატარება. ტურნირის მოქმედი ჩემპიონი ძალიან იოლად გაუმკლავდა **ჟო-ვილფრიდ ცონგას**. ბრიტანელს არც ზურგის არეში ტკივილებმა შეუშალეს ხელი, რის გამოც მან კორტზე ექიმს უხმო. ცონგა ძალიან ბევრს ცდებოდა და საერთოდ არაფერი გამოსდიოდა მიღებაზე - მთელი მატჩის განმავლობაში ენდის მოწოდებაზე ფრანგმა მხოლოდ ექვსი ქულა აიღო. თუ პირველ სეტში ცონგა ასე თუ ისე წარმატებით თამაშობდა საკუთარ გეიმებში, მეორე სეტში ესეც აღარ გამოსდიოდა - 4:6, 1:6.

თითქოს უნდა გაჭირვებოდა მეოთხედფინალის საგზურის მოპოვება **როჯერ ფედერერს**, რადგან მას მეტოქედ ტოპათეულის წევრი **რიშარ გასკე** ჰყავდა, სინამდვილეში კი ფრანგმა ვერანაირი წინააღმდეგობა ვერ გაუწია შვეიცარიელ ლეგენდას. ფედერერმა კიდევ ერთხელ გვიჩვენა შესანიშნავი შემტევი ჩოგბურთი, რასაც გასკემ ვერაფერი დაუპირისპირა. როჯერმა 49 წუთში მოამთავრა საქმე - 6:1, 6:2. ფედერერს მეოთხედფინალში თავის შემდეგ მეტოქესთან - **კეი ნიშიკორისთან** შედარებით მეტი ენერგია ექნება, რადგან იაპონელმა სამი საათი მოანდომა შარშანდელი ფინალისტის **დავიდ ფერერის** დამარცხებას. ნიშიკორიმ შესაშური საბრძოლო ჟინი გამოავლინა, როცა პირველ სეტში ორი სეტბოლი მოიგერია, გადამწყვეტი სეტის ტაიბრეიკზე კი ოთხი მატჩბოლი გადაარჩინა.


დოლგოპოლოვი აღარ ხუმრობს

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ რაფაელ ნადალის დამაჯერებელი გამარჯვება **ფაბიო ფონინიზე**. იტალიელმა უამრავი შეცდომა დაუშვა და მთლიანად ჩააგდო მატჩი. მეოთხედფინალში ესპანელი **მილოშ რაონიჩს** შეხვდება, შემდეგ კი ინდიან უელსში წაგებისთვის **ალექსანდ დოლგოპოლოვთან** რევანშის საშუალება ექნება. თუმცა მანამდე, უკრაინელს **ტომაშ ბერდიხის** ბარიერი ექნება დასაძლევი.

### 1/8 ფინალი

**მილოშ რაონიჩი (კან, 12)**-ბენჯამინ ბეკერი (გერ) 6:3, 6:4; **რაფაელ ნადალი (ესპ, 1)**-ფაბიო ფონინი (იტა, 14) 6:2, 6:2; **ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 2)**-ტომი რობრედო (ესპ, 16) 6:3, 7:5; **ალექსანდრ დოლგოპოლოვი (უკრ, 22)**-სტანისლას ვავრინკა (შვეიც, 3) 6:4, 3:6, 6:1; **კეი ნიშიკორი (იაპ, 20)**-დავიდ ფერერი (ესპ, 4) 7:6(7), 2:6, 7:6(9); **როჯერ ფედერერი (შვეიც, 5)**-რიშარ გასკე (საფ, 9) 6:1, 6:2; **ენდი მარეი (ბრიტ, 6)**-ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ, 11) 6:4, 6:1; **ტომაშ ბერდიხი (ჩეხ, 7)**-ჯონ ისნერი (აშშ, 10) 6:3, 7:5.

### 1/4 ფინალი

ნადალი (1)-რაონიჩი (12); დოლგოპოლოვი (22)-ბერდიხი (7); ფედერერი (5)-ნიშიკორი (20); მარეი (6)-ჯოკოვიჩი (2).

# შარშანდელი ფინალი ნახევარფინალში

მაიამის ქალთა ტურნირზე პირველი ნახევარფინალური წყვილი დაკომპლექტდა. გაიმართა ორი შეხვედრა და ერთმანეთის წინააღმდეგ თამაშის უფლება მიიღეს ტრადიციულმა მეტოქეებმა - **მარია შარაპოვამ** და **სერენა უილიამსმა**.

ამერიკელი, როგორც ჩანს, თანდათან მოდის თამაშის ხასიათზე. მეოთხედფინალში ის გერმანელ **ანჟელიკ კერბერს** ხვდებოდა. ამ ჩოგბურთელთა წინა ოთხი შეხვედრა ორ სეტში დასრულდა (სერენამ სამი მოიგო, კერბერმა - ერთი) და ტრადიცია არც ამჯერად დაირღვა. ამერიკელმა თავიდანვე მოიპოვა ინიციატივა, გერმანელმა კი სცადა შეტევებით ეპასუხა, მაგრამ ძალიან ბევრი შეცდომა დაუშვა. ამერიკელს მოწოდებაც კარგად გამოსდიოდა და მიღებაც. საერთო ჯამში, თამაში სანახაობრივი გამოვიდა და კერბერმაც რამდენიმე ლამაზი გათამაშება აჩუქა მაყურებელს, მაგრამ სერიოზული ბრძოლა მეტოქეს ვერ შესთავაზა. კორტზე ერთი საათის გატარების შემდეგ, სერენამ 6:2, 6:2 გაიმარჯვა.

მარია შარაპოვა ჩეხ **პეტრა კვიტოვას** ხვდებოდა. წინა ეტაპზე ორივეს სამსეტიანი მატჩის ჩატარება დასჭირდა. რუსმა რთულ ბრძოლაში აჯობა **კირსტენ ფლიპკენსს**, კვიტოვას კი უცნაური მატჩი ჰქონდა **ანა ივანოვიჩთან** - 21 გეიმის გათამაშებას მხოლოდ 76 (!) წუთი დასჭირდა და პეტრამ 3:6, 6:0, 6:0 მოიგო. შარაპოვასა და კვიტოვას პირად შეხვედრებში რუსი წინ იყო - 4:2.

მარიამ ჩააგდო მეოთხედფინალის სტარტი და თავიდანვე წააგო საკუთარი მოწოდება. პეტრამ თავისი გეიმიც აიღო, 2:0 დაწინაურდა და თუ წინა მატჩს გავითვალისწინებთ, ჩეხს ზედიზედ 14 მოგებული გეიმი დაუგროვდა. მარია თანდათან შევიდა თამაშში და მიღებაზე ბრძოლა დაიწყო. ჩეხმა გადაარჩინა ერთი გეიმი ორი ბრეიკ-პოინტიდან, მაგრამ 4:2-ზე მაინც მოუწია საკუთარი გეიმის დათმობა. პარტიის ბოლოს, 5:4-ზე რუსმა კიდევ უფრო მოუმატა და „მშრალი" ანგარიშით აიღო ბრეიკი - 7:5.

მეორე სეტი კი შარაპოვას ნამდვილ ბენეფისად იქცა. მარიამ ზეწოლა გააგრძელა, კვიტოვას თამაში კი სრულიად მოიშალა და მალე რუსი 5:0 დაწინაურდა. პეტრამ პრესტიჟის გეიმი აიღო, მაგრამ მეტი ვერ შეძლო.

რაც შეეხება შარაპოვასა და სერენა უილიამსის მორიგ დაპირისპირებას, გვახსენდება ამ ტურნირის შარშანდელ ფინალში მათი დაპირისპირება, რომელშიც მარიამ ხუთწლიანი პაუზის შემდეგ მოუგო სერენას სეტი, მაგრამ მაინც ვერ გაუძლო ამერიკელის შეტევებს.

■ ■ ■

აუცილებლად უნდა მივაქციოთ ყურადღება წყვილთა თანრიგს, სადაც თამაშობს შვეიცარიელი **მარტინა ჰინგისი**. მას პარტნიორად გერმანელი **საბინ ლისიცკი** ჰყავს და სახელდახელოდ შეკოწიწებულმა დუეტმა უკვე მეოთხედფინალში გაალწია. მერვედფინალში შვეიცარიელმა და გერმანელმა რუსი **ანასტასია პავლიუჩენკოვასა** და რუმინელი **სორანა კირსტეას** წყვილს მოუგო - 6:2, 6:1.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



# ცრუ განგაში მაიამიში

გუშინ, მაიამის ტურნირზე სერიოზული არეულობა იყო. შეშფოთება გამოიწვია Crandon Park-ის საჩოგბურთო კომპლექსის შესასვლელთან დატოვებულმა საეჭვო პაკეტმა. მაიამის პოლიცია იძულებული იყო დაეხურა კომპლექსის ტერიტორიის ყველა შესასვლელი. სააგენტო AP-ის ინფორმაციით, ამ ინციდენტს არ უმოქმედია მატჩების მსვლელობაზე და გამოძიების დასრულების შემდეგ, სპორტული ობიექტის ფუნქციონირება ჩვეულ რეჟიმში აღდგა.

მოგვიანებით, ტურნირის ორგანიზატორებმა ბოდიში მოუხადეს გულშემატკივრებს მცირე დისკომფორტის გამო: *„ჩვენ ვადასტურებთ, რომ სალამოს, კომპლექსის შესასვლელთან აღმოაჩინეს საეჭვო საგანი. მაყურებელთა უსაფრთხოების მოსაზრებით, დაიხურა ყველა შესასვლელი და გამოსასვლელი. გულშემატკივრებს ბოდიშს ვუხდით, მაგრამ უსაფრთხოება - მთავარია".*

*„დაახლოებით ერთი საათი ველოდი, როდის გააღებდნენ კომპლექსის კარს"*, - დაწერა საკუთარ „ტვიტერზე" ამერიკელმა მწვრთნელმა **ბრედ გილბერტმა**.

*„გავიგეთ, რომ მაყურებელს აუკრძალეს Crandon Park-ს ტერიტორიის დატოვება სავარაუდო ტერაქტის გამო. მაგრამ ამის მეტი არაფერი გვითხრეს"*, - აღნიშნა **სერენა უილიამსმა**.




დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**
მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი** (599 56 17 38); მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე** (595 09 03 28), **გია ტუხაშვილი** (555 50 05 13);
მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 19 60 13; 2 19 60 53. ელფოსტა: contact@pallitra.ge; მისამართი: **იოსებიძის, 49.** ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:30 ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: გია ტუხაშვილი
ტელეფონი: 238 84 44; 238 74 44 (რედაქცია). 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge ინდექსი 66435 INDEX. სარეკლამო განყოფილება: 237 78 07; 2 38 78 70
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608